# ლელო

№088 (12 158)

17 აპრილი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტოპმიოლერი:

## მეხუთეზე თუ გავედით, კარგი იქნება

ვის რა ეგონა არ ვიცით, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერზე უკეთ ვინ იცის საქართველოს ნაკრებს რისი უნარი შესწევს და რისი - არა. ჰოდა, ამბობს კაცი, ჯგუფში მეხუთე ადგილზე რომ გავიდეთ, კარგი იქნებაო. გუშინ, ყოველკვირეული "ფუტბოლის" ჟურნალისტებთან საუბარში თქვა ასეთი რამ. ამის გარდა სხვაზეც ილაპარაკა მწვრთნელმა...

**- როგორ შეაფასებდით თქვენს მუშაობას საქართველოს ნაკრების მწვრთნელად?**

- შედეგები დამაკმაყოფილებელია. რეიტინგში საგრძნობლად წავიწიეთ წინ. 15 თამაშიდან რვა წავაგეთ, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია ვისთან - მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებთან. სამაგიეროდ, მოვუგეთ თურქეთსა და ურუგვაის.

**- თურქეთთან მოგებას ბევრი იღბლის წყალობად მიიჩნევს...**

- შეიძლება დაეთანხმო ამ მოსაზრებას. თურქების ძალა ყველამ იცის. ისინი თბილისშიც მოსაგებად ჩამოვიდნენ, მაგრამ ყველაფერი კარგად ვერ გათვალეს. ჩვენი მოგება მათთვის ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც, ვთქვათ, იქნებოდა ლუქსემბურგის მოგება გერმანიასთან.

**- თავდაპირველად მხოლოდ ლეგიონერებს ენდობოდით, დღეს კი შემადგენლობაში ნელ-ნელა ჩნდებიან ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატიდან. ასე საგრძნობლად მოიმატა ეროვნული პირველობის დონემ?**

- თუკი საქართველოს ჩემპიონატის დონე გაიზარდა, არა იმდენით, რომ იქ მოთამაშეები შეადგენდნენ ნაკრების ბირთვს. სადღეისოდ საქართველოს ჩემპიონატში არ მოიძებნებიან ფეხბურთელები, რომლებიც სრულფასოვნად შეცვლიან კალაძეს, არველაძეს, ხიზანიშვილს, კობიაშვილს, ასათიანს, დემეტრაძეს, ცქიტიშვილს. კიდევ რამდენიმეს დასახელება შემიძლია. ცუდი ისაა, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი ერთად შეკრება ვერ მოვახერხე. ორსამ მოთამაშეს, ხანდახან ოთხსაც ყოველთვის ტრავმები აქვს.

**- ჯგუფში რომელი ადგილი დაგაკმაყოფილებთ?**

- როცა ასეთ ჯგუფში თამაშობ, რეალურად, წარმატებაზე ვერ იფიქრებ. კმაყოფილი ვიქნები, თუკი მეხუთეზე გავალთ. მეოთხეზეც შეიძლება გასვლა, მაგრამ საამისოდ დიდი ბრძოლაა საჭირო.

2

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი

# 13 მაისი უფროს ახალკაცს უკვე მოგებული აქვს, უმცროსიც აპირებს...




ყრილობის ჩატარების თარიღი გადაწყვეტილია

2



## სათასო ბატალიები: ევროიმედები და ამბიციები






ნახევარფინალის წინასამატჩო

4

დღეს. 16:00

ამერი vs სიონი, ზესტაფონი vs ბათუმი



## აბა, ჩავიცვით და წავედით!

მზად ვართ სოფიაში საჭიდაოდ?

11

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ნოდარ ახალკაცი: გამარჯვებას ვაპირებ!




ალმასკომმის სხდომაზე ყრილობის ჩატარების თარილი დაამტკიცეს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ნოდარ ახალკაცი მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თავდაჯერებული სიტყვა-პასუხი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იმდენად აშკარა იყო, კითხვაც კი დაუსვეს, თქვენი განწყობიდან ხომ არ დავასკვნავთ, რომ ფაქტობრივად, არჩევნები მოგებული გაქვთო?**

**ახალკაცს ჩაეცინა და განწყობის შესაბამისი პასუხი გასცა:**

**- რას მატყობთ? ღვინის ნაცვლად "ბორჯომი" მიდგას. ისე, ღმერთმა ქნას, თქვენს პირს ერთი ტონა შაქარი.**

**ფედერაციის პრეზიდენტი საკუთარ ძალებში დარწმუნებულია. სადაც საჭირო იყო, ეტყობა, ყველაფერი გარკვეულია.**

**გუშინდელ პრესკონფერენციაზე ალმასკომის სხდომის გადაწყვეტილებები გაჟღერდა, მათ შორის უმთავრესი საპრეზიდენტო არჩევნების თარილი გახლდათ. ის, რაც უკვე ცნობილი იყო, ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ოფიციალურად დაადასტურა:**

- ყრილობა 13 მაისს ჩატარდება და დილის 11 საათზე დაიწყება, მაგრამ სად, მალე დაზუსტდება. კანდიდატების წარმოდგენის უფლება ფედერაციის სუბიექტებს 4 მაისამდე შეუძლიათ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი წევრების რაოდენობა იზრდება, მეთორმეტე საარჩევნო-საანგარიშო ყრილობას 71 დელეგატი დაესწრება, მათ შორის ხმის უფლებით 33 ისარგებლებს.

**- ალმასკომის წევრებს ხმის უფლება გააჩნიათ?**

- უეფას და ფიფას წესდებით ეს მკაფიოდაა განსაზღვრული და აკრძალული. დელეგატები, მათ შორის ალმასკომის წევრებიც, მხოლოდ ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ და არა ალმასკომს.

***(თუ ვის გააჩნია ხმის უფლება, ფედერაციის ალმასკომის დღის წესრიგის ოქმში გაეცნობით)***

**- ბატონო ნოდარ, დღეს თქვენ ბრძანდებით პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი?**

- ოფიციალური კანდიდატი ჯერ მეც არ ვარ, რადგან საამისოდ პროცედურაა გასავლელი. მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება, ავტობიოგრაფია და ფედერაციის სუბიექტის წარდგინება.

თუმცა, რა თქმა უნდა, არჩევნებში მონაწილეობას და არჩევნებში გამარჯვებასაც ვაპირებ. ერთხელ მამაჩემს ფინალის წინ ჰკითხეს, რა იქნება თქვენ მიზანიო? თუ ფინალში გავედი, მარტო მონაწილეობას ხომ არ დავჯერდებიო. მეც ასე ვარ.

**- სერიოზული კონკურენტი თუ გყავთ?**

- ჯერ კანდიდატურა არავის წარმოუდგენია, მაგრამ ყველას სერიოზულად აღვიქვამთ.

**- წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას ახლაც აპირებთ?**

- რა თქმა უნდა. ყველა დელეგატთან და რეგიონების წარმომადგენლებთან შეხვედრას ჩვეულებრივ და საჭირო საქმედ ვთვლი.

**- წინასაარჩევნო პროგრამაში ცვლილებებს შეიტანთ?**

- ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა და პროგრამა, რეალობასთან მივაახლოვეთ. ბუნებრივია, რაც გაკეთდა, იმას აღარ ჩავწერთ. ფეხბურთი ცოცხალი ორგანიზმივითაა, მუდმივად რაღაც იცვლება.

**- არჩევნების თარილის გამოცხადებიდან მის ჩატარებამდე შუალედი ფიფა-უეფას წესდებებს შეესაბამება?**

- ეს უშუალოდ ფეხბურთის ფედერაციის წესდებით უნდა განისაზღვროს. ჩვენთან კი შეუალედის მინიმალური ვადა სამი კვირაა.

**- ტოპმიოლერთან კონტრაქტს გააგრძელებთ?**

- კონტრაქტი ნოემბერში იწურება, მაგრამ ორივე მხარეს მისი გახანგრძლივება გვსურს. ჩვენთვის სიახლე არაა, რომ მას "კაიზერი", ადრე კი "დორტმუნდი" იწვევდა. სხვათა შორის, ჩამოსვლამდე ხუთი წინადადება მიიღო.

***...ამ დროს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ რეპლიკა ისროლა:***

- ამის კვალობაზე სასაცილოა, როდესაც ტოპმიოლერის კვალიფიკაციას ვილაცა ეჭვქვეშ აყენებს.

**- პრეზიდენტად ხელახლა არჩევის შემთხვევაში, პრიორიტეტულად რომელ სფეროს განიხილავთ?**

- მხოლოდ ერთი მიმართულების პრიორიტეტულად გამოცხადება არასწორია. ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი - ბავშვთა ფეხბურთს თუ მივხედავთ, ეს არ ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურას დავივიწყებთ. კომპლექსური მიდგომაა საჭირო.

**- ტურის ერთ დღეს ჩატარება მედიას ჩემპიონატის უკეთ გაშუქების პრობლემას უქმნის. უცხოური ანალოგიების მსგავსად, არ შეიძლება ტური სამი დღით დაიგეგმოს?**

- ფედერაციაში ამ თემაზე ვისაუბრეთ და მომდევნო წელს შეხვედრები შაბათ-კვირას ჩატარდება და მინიმუმ ორი დღე გაგრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტოპმიოლერმა, მეხუთეო...

პირველი გვერდიდან

**- ახლობლებს თუ მოეთათბირეთ, როცა მიიღეთ გადაწყვეტილება წასულიყავით სამუშაოდ საქართველოს ნაკრებში?**

- დიახ. სხვათა შორის, ამ საქმეში წერტილი ჩემმა ცოლმა დასვა. ჩვენ ჩავედით თბილისში, რამდენიმე დღე ვიცხოვრეთ იქ, შევაფასეთ მდგომარეობა და როზიმ მითხრა: "დათანხმდი", თუმცა სხვა საინტერესო წინადადებებიც მქონდა.

**- ვისგან თუ საიდუმლო არაა...**

- თურქული, არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და სხვა ქვეყნების კლუბებიდან. მოსკოვის ცსკას მწვრთნელადაც მეძახდნენ. პორტუგალიისა და ისრაელის ფეხბურთის ფედერაციები ეროვნული ნაკრების გაწვრთნას მთავაზობდნენ, მაგრამ მე არჩევანი საქართველოზე შევაჩერე და ამას არ ვნანობ. იქაურ პირობებთან ადაპტაცია სწრაფად და უმტკივნეულოდ მოხდა.

**- ქართულ სუფრასაც იოლად შეეგუეთ?**

- ძალიან იოლად. ქართული სამზარეულოთი და ღვინით აღფრთოვანებული ვარ. არც კი ვიცი, როგორ ვცხოვრობდი ერთი წლის წინათ. გერმანიაში იმ მხარეში ვიზრდებოდი, სადაც მევენახეობა განვითარებულია, ასე რომ, გარკვეულწილად, ეს ყველაფერი გენებში მაქვს.

ეროვნული ნაკრები

# უელსი ან ლუქსემბურგი?

რახანია ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე მიდის მუშაობა, მაგრამ კონკრეტული ამ დრომდე ჯერ კიდევ არაფერია. შემოდგომით, თუ ვარაუდი გამართლდა, არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებებს უნდა გავეჯიბროთ. აი, ზაფხულში კი... 22 აგვისტოსთვის ჩვენს ფედერაციას ერთბაშად რამდენიმე შეთავაზება აქვს. პარაგვაის, პერუს, ბოლივიის, ირანის, ხორვატიის, უელსის, ირანისა და ლუქსემბურგის ნაკრებებს სურთ ჩვენთან თამაში.

*"აღსანიშნავია ის, რომ 22 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის კლუბები ვალდებულნი არიან ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებს არა 4, არამედ მხოლოდ 2 დღით ადრე დაუთმონ. ეს მცირე პერიოდია და ბუნებრივია, შორეულ ქვეყნებთან სტუმრად თამაში ამის გამო გამორიცხულია. ამ შემთხვევაში სამხრეთი ამერიკის ქვეყნებს, პარაგვაის, პერუს, ბოლივიას ვგულისხმობთ. დარჩენილი ვარიანტებიდან კი ევროპულ ნაკრებთან გაჯიბრება გვიჯობს. ერთი სიტყვით, ამჟამინდელი ვითარებით, დიდი შანსია, რომ უელსსა და ლუქსემბურგს შორის გავაკეთოთ არჩევანი. თუმცა ეს საბოლოო გადაწყვეტილება ნამდვილად არაა. აგვისტომდე კიდევ 4 თვეა. ყველაფერს კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონით და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ"*, - განგვიმარტა გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

მასვე არგენტინასა და ბრაზილიასთან მიმდინარე მოლაპარაკებებზეც ვკითხეთ, თუმცა როგორც გაირკვა, ამ საკითხში ჯერჯერობით სიახლე არაა.

გუშინდელ ნომერში სომხეთის ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელის **იან პორტერფილდის** სიტყვები გაგაცანით, სადაც ის 22 აგვისტოს სავარაუდო მეტოქედ საქართველოს ასახელებდა. უჩა უგულავას თქმით, სომხეთიდან ჩვენს ფედერაციას ამხანაგური მატჩის ჩატარების თაობაზე არანაირი წინადადება არ მოსულა.

# XII ყრილობის წარმომადგენლობა

| სუბიექტები | დელეგატი | ხმა |
|---|---|---|
| 1. აჭარის ავტონომიური რესპუბ. ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ. ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 3. ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 4. იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 5. გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 6. კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 7. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონ. ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 8. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 9. ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 10. შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 11. რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონ. ფეხ. ფედერაცია | 3 | 1 |
| 12. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 13. საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი | 3 | 1 |
| 14. საქართველოს ფუტსალის ასოციაცია | 3 | 1 |
| 15. საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია | 3 | 1 |
| 16. საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი | 3 | 1 |
| 17. საქართველოს მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია | 3 | 1 |
| 18. საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია | 3 | 1 |
| 19. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა (წარმოადგენს პირველი დივიზიონის საფეხბურთო კლუბების ინტერესებს) | 3 | 1 |
| 20. ამერი თბილისი | 1 | 1 |
| 21. ბორჯომი | 1 | 1 |
| 22. დილა გორი | 1 | 1 |
| 23. დინამო ბათუმი | 1 | 1 |
| 24. დინამო თბილისი | 1 | 1 |
| 25. ვიტ ჯორჯია თბილისი | 1 | 1 |
| 26. ზესტაფონი | 1 | 1 |
| 27. კახეთი თელავი | 1 | 1 |
| 28. ლოკომოტივი თბილისი | 1 | 1 |
| 298 მერანი თბილისი | 1 | 1 |
| 30. ოლიმპი რუსთავი | 1 | 1 |
| 31. სიონი ბოლნისი | 1 | 1 |
| 32. ტორპედო ქუთაისი | 1 | 1 |
| 33. ჩიხურა საჩხერე | 1 | 1 |

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# მერიამ ლოკომოტივზე კონკურსი გამოაცხადა

## ბათუმში მინი-ტურნირები იგეგმება

**მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონი ბოლო დროს საზიზღარ დღეშია. სოფლის საძოვარზე უკეთესი მოედნებია, ვიდრე თბილისის მეორე არენაზე. სკამების ფერიც გახუნდა, სტადიონის მდგრადობაზე დასკვნა არ არსებობს. ასეთ სტადიონზე სოლიდური შეხვედრის მასპინძლობა შეუძლებელია.

და რაც მთავარია - ბოლო ორი თვე ბევრს კი ვეცადეთ, მაგრამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ვერაფრით შევიტყვეთ, "მიხეილ მესხს" რა ბედი ელის, ყიდიან, არემონტებენ, პატრონობის მსურველი გამოჩნდა თუ არა.

ნახევარი წლის წინათ რკინიგზის დეპარტამენტმა სტადიონის შენახვა ალარ ისურვა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გასხვისების პროცესის დასაწყებად გადასცა. სამინისტროში ზუსტ პასუხს ვერ ვეღირსეთ, ეს პროცესი დაიწყო თუ არა. ვითარებაში ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გაგვარკვია და დამაიმედებელი ამბავი გვითხრა:

- თბილისის მერიამ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კონკურსის გამოცხადება გადაწყვიტა და ფედერაცია კონკურსში აუცილებლად ჩაერთვება.

- როგორ, ფედერაცია სტადიონის ყიდვას აპირებს?!

- ამ შემთხვევაში საუბარია ხანგრძლივ არენდაზე, ანუ ეროვნული სტადიონის მსგავს პრეცედენტზე. ეს თავად მერიამ გადაწყვიტა და ეს ჩვენთვის სასურველი ვარიანტია. ვფიქრობ, არენდის მსურველებიც გამოჩნდებიან, ჩვენ კი პარტნიორს მოვნახავთ.

ჩვენი დაინტერესება ლოგიკურია. სტადიონი მნიშვნელოვანი ობიექტია და მისი მდგომარეობა ძალიან გვაღელვებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი სეზონის დაწყებამდე საფარი უნდა გამოვცვალოთ. ინვესტორსაც ფედერაცია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.

*გუშინ ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც იგივე ბრძანა და სხვა სტადიონების თემასაც შეეხო:*

- "მესხის" რეკონსტრუქციის გარდა, სტადიონის აშენებას ბათუმშიც აპირებენ. იქ მალე საერთაშორისო აეროპორტი გაიხსნება, რაც ნიშნავს, რომ ბათუმში მაღალი დონის მატჩების მასპინძლობასაც შევძლებთ, რადგან ასეთი შეხვედრის გამართვა საერთაშორისო აეროპორტიდან 100 კილომეტრის რადიუსში შეიძლება. ეს ფაქტი კი აჭარას ერთ-ერთ საფეხბურთო ცენტრად გადაქცევის პერსპექტივას უქმნის. სხვათა შორის, ბათუმში მინი-ტურნირები იგეგმება. ბოლო დროს აჭარაში სასტუმროების მშენებლობის ბუმია და სტუმართა დაბინავების პრობლემაც მოიხსნება.

- აჭარაში ეს პერსპექტივა კი არსებობს, მაგრამ თავად ინვესტორებთან შეხვედრის მცდელობა არ გქონიათ, სასტუმროებთან მოედნებიც რომ მოაწყონ? ზამთრის მკვდარი საკურორტო სეზონის ფეხბურთით გამოცოცხლება, მათთვისაც მომგებიანი იქნება.

- ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრას ვაპირებთ, რადგან თავადაა ასეთი პროექტების განხორციელებით დაინტერესებული. ადრე ქართული კლუბები აფხაზეთის სანაპიროზე თუ ემზადებოდნენ, ახლა აჭარას აქვს შანსი, ეს შემოსავლები თავისკენ მიიზიდოს. საამისოდ კი სტადიონების მშენებლობაა საჭირო.

ამასთანავე, ფოთის, რუსთავის, ზუგდიდის, გორის სტადიონების რეკონსტრუქცია იწყება. გრიგოლეთის ბაზაზეც გამოცოცხლებაა. არ დაგვავიწყდეს, რომ ლაგოდეხის ბაზა კეთდება, რომელიც კლიმატით სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნება. დარწმუნებული ვარ, რომ წლის ბოლოს საქართველოს ახლანდელზე უკეთესი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

# HTB ქართული ფეხბურთით დაინტერესდა

## ევროპაში ყურადღება მოგვაქციეს

მოულოდნელი და სასიხარულო ფაქტია - ბოლო ერთი წელია საქართველოს ჩემპიონატს ევროპულმა ტოტალიზატორებმა და ინტერნეტ-გამოცემებმა ყურადღება მიაქციეს.

ცნობილი და ავტორიტეტული გერმანული "კიკერის" ვებგვერდი ჩვენი ჩემპიონატის პირდაპირ რეპორტაჟს ტექნიკური შედეგების დონეზე აშუქებს, გაზეთში კი მეორე დღეს ტურის მიმოხილვაა. ასევე აკეთებენ რუსული გაზეთები "სპორტ-ექსპრესი" და "სოვეტსკი სპორტი".

ჩვენი პირველობის შესახებ ამომწურავ სტატისტიკურ მონაცემებს ცნობილ "სოკერვეიზეც" გაეცნობით. გერმანული ვებ-გვერდი "ტრანსფერმარკტი" საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების სრულ სტატისტიკურ ინფორმაციას, ურთიერთშეხვედრების ისტორიასა და სხვა საინტერესო ცნობებს ოპერატიულად აქვეყნებს, რადგან ამის საჭიროება ევროპაში უკვე გაჩნდა - ავსტრიული, გერმანული ტოტალიზატორები ჩვენი პირველობის შეხვედრებზე ფსონებს იღებენ. მართალია, გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული, მაგრამ თავისთავად ფაქტია მრავლისმეტყველი. ცნობილი ტოტალიზატორებიდან კი ყურადღება "ბეთენდვინმა" მოგვაქცია.

ეს ბოლო ერთ წელიწადში მოხდა, თუმცა ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** კითხვაზე, მისი დამსახურებაა თუ არა საქართველოს პირველობის ამგვარი სახით პოპულარიზაცია - პირდაპირი პასუხის გაცემა არ ისურვა და ორაზროვანი პასუხით შემოიფარგლა - დაგვიტოვეთ უფლება, ამ თემაზე ღიად არ ვისაუბროთო.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** კი ერთ-ერთ მიზეზად ქვეყნისადმი უცხოელთა ინტერესის ზრდაც დაასახელა: *"საქართველოთი ევროპელები ნელ-ნელა ინტერესდებიან და ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია ისიც, რომ ბოლო დროს წამყვანი გამოცემები ჩვენს პირველობას აშუქებენ".*

ქავთარაძის მინიშნებამ სამი წლის წინანდელი ამბავი გაგვახსენა. ევროკავშირში გაწევრიანებამდე კანდიდატი ქვეყნების (სლოვენია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთის) ჩემპიონატებს ყურადღება მიაქციეს, არადა მანამდე არასდროს აინტერესებდათ. ესეც დასავლეთისკენ სწრაფვის ერთ-ერთ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ევროპელები ასეთ ქვეყნებს ყველა სფეროსა და დონეზე "აპიარებენ".

და ბოლოს, ცნობილი რუსული ტელეკომპანია "ნტვ-პლუსიდან" პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილს** დაუკავშირდნენ და მეტად მნიშვნელოვანი წინადადებით მიმართეს. ინფორმაცია რამიშვილმა დაგვიდასტურა და ჩვენთვის უცნობი სიახლეებიც გაგვიმხილა:

- "ნტვ-პლუსიდან" მართლა დაგვიკავშირდნენ და საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი გვთხოვეს. მათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ყველაზე საინტერესო ლიგების გაშუქება გადაწყვიტეს. ამ სიაში უკრაინა, საქართველო და კიდევ რამდენიმე ქვეყანაა. ჯერ ხელშეკრულება არ გაფორმებულა, მაგრამ პროექტი უნდა განხორციელდეს. მათ ყიფიანის სახელობის თასის "ყაზბეგის" გათამაშების ფინალის და ლიდერების შეხვედრების პირდაპირი რეპორტაჟების გადაცემაც სურთ.

ამას გარდა, უკრაინული არხი "სპორტ 1" მაყურებელს ჩვენი ჩემპიონატის შედეგებს მორბენალ სტრიქონში აცნობს. ჩვენთვის ეს დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

**- რუსები რეპორტაჟებში თანხას გადაიხდიან?**

- რა თქმა უნდა, ეს თავად შემოგვთავაზეს. მთავარია, ხარისხიანი მასალა მივაწოდოთ. რუსებმა არა მარტო თანხები, მათთვის საინტერესო შეხვედრებზე საკუთარი ბანერების განთავსებაც გვთხოვეს. ესეც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება. მოლაპარაკება საქართველოს ბაზარზე შემოსულ რამდენიმე რუსულ კომპანიასთანაც დავიწყეთ. ეს ფაქტები მახარებს და მაიმედებს კიდეც, რომ ნელ-ნელა ჩვენი პირველობის დონე გაიზრდება.

*ჩვენი ფეხბურთის მომავლისთვის დასახელებული ფაქტები უმნიშვნელოვანესია. ცნობადობის გაზრდაზე დამოკიდებულია ინვესტიციის შემოსვლა და ფეხბურთელთა ძლიერ ლიგებში მოხვედრა.*

*მეორე მომენტი: როდესაც ცნობილი ტოტალიზატორი საქართველოზე ფსონს იღებს, ამით ჩემპიონატს საიმედოდ და ნაკლებად გასვრილად მიიჩნევს. ეს კი, ისევ და ისევ, ინვესტიციის ზრდას ემსახურება.*

*რა თქმა უნდა, ჩვენი ჩემპიონატი საშუალო ევროპული დონისგან ჯერ შორსაა, ჩაწყობა და გარიგებებიც არაა იშვიათობა, მაგრამ ევროპელთა დაინტერესებას დამატებული პოლიტიკური ფაქტორები იმედს გვიტოვებს, რომ უახლოეს წლებში ვითარების უკეთესობისკენ შემოტრიალება შესაძლებელია.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი. მეორე ბუნდესლიგა

# სამეულიდან მხოლოდ ლომაია

**გუშინ** მეორე ბუნდესლიგის ერთი მატჩი გაიმართა. "კარლ ცაისმა" "აუეს" უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა. ქართველთაგან მხოლოდ **გიორგი ლომაიამ** ითამაშა, რომელიც საშუალო დონეზე გაირჯა. იგი "შპორტალმა" 3,5-ით შეაფასა. იენელები პირველივე ტაიმში 2:0 დაწინაურდნენ, შეხვედრის მიწურულს ლომაიას კარში ავტოგოლი მისმა თანაგუნდელმა **სიკორამ** გაიტანა.

რაც შეეხებათ კარლცაისელ **მიხეილ აშვეთიასა** და აუელ **დავით სირაძეს**, ისინი განაცხადშიც კი არ ყოფილან. ამ გამარჯვების მიუხედავად, "კარლ ცაისი" გასავარდნ ზონაში დარჩა, მაგრამ სადღეისოდ სამშვიდობოზე მყოფ "როტ-ვაისს" მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება. "როტ-ვაისს", "უნტერჰახინგსა" და "კარლ ცაისს" 29-29 ქულა აქვთ. "აუე" 42 ქულით მე-8 ადგილზეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება XVII
www.pfl.ge
ნახევარფინალი I მატჩები

# ევროიმედები

თასის ნახევარფინალების დროც დ ადგა. ჩემპიონატში მოვლენები იმგვარად განვითარდა, თასის გათამაშების ნახევარფინალის ზოგიერთ მონაწილეს ევროასპარეზზე გასასვლელად ერთადერთ გზად თასის მოგება დარჩენია. ამდენად, დღეს გლდანსა და ზესტაფონში დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი.

**ამერი–სიონი**
16 აპრილი. თბილისი. ამერი. 16:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, ჯელაძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

სიონი: მამალაძე, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, რაქვიაშვილი, სილაგაძე, კორლალიძე, სანიკიძე, ბაბუნაშვილი, დარასელია, ჩასემი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე

**"ამერი" და "სიონი"** მიმდინარე სეზონში ერთმანეთს მეოთხედ ხვდებიან. ჩემპიონატის ორ მატჩში გლდანელებმა ოთხი ქულა აიღეს, ამას გარდა, ბოლნისელებს სუპერთასის შეხვედრაშიც სძლიეს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები შარშანდელი თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ფინალში "ამერმა" გააღწია.

წინასამატჩო პრესკონფერენცია "მიხეილ მესხის" საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა. მასმედიის წარმომადგენელთა წინაშე ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი წარდგა. აქვე გეტყვით, რომ "ამერი"-"სიონის" შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს.

### გიორგი ჩიხრაძე
ამერი

- ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გულშემატკივარი საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლას იხილავს. "ამერს" ამ თამაშში ერთადერთი ფეხბურთელი დააკლდება - მიხეილ მესხი ტრავმირებულია. მოგეხსენებათ, ჩემპიონატშიც და თასზეც უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძვით და იმედი მაქვს, საწადელს მივაღწევთ. გლდანში დიდი ბრძოლა იქნება, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ბოლნისში გადაწყდება...

- სათასო მატჩებს თავისი სპეციფიკა აქვს. ბუნებრივია, შევეცდებით, მეტოქის სისუსტეები საჩვენოდ გამოვიყენოთ. "სიონს" კარგად ვიცნობთ და ვფიქრობ, ამას შევძლებთ. ვიმედოვნებ, მსაჯობა ობიექტური იქნება და არბიტრის რომელიმე ტენდენციური გადაწყვეტილება შეხვედრის საბოლოო შედეგზე გავლენას არ იქონიებს...

- "ამერის" ფეხბურთელები თასის ფინალში გასვლის შემთხვევაში, პრემიებს მიიღებენ.

### კახა ცხადაძე
სიონი

- "სიონი" ჩემპიონატში არასახარბიელოდ ასპარეზობს, შესაბამისად, ევროასპარეზისკენ მიმავალი ერთადერთი გზა ჩვენთვის თასის გათამაშებაზე გადის. "ამერთან" დაპირისპირებისთვის საგანგებოდ ვემზადებით, შეკრებაზე ვართ სასტუმრო "კალაში". უამინდობის გამო, თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ვერ ვივარჯიშეთ, წვრთნას 35-ე საფეხბურთო სკოლის სტადიონზე გავდივართ. ტრავმების გამო, **ოქროპირიძე, კვიტაიშვილი** და **ევოჩე** ვერ დაგვეხმარებიან. ჩემპიონატისგან განსხვავებით, თასზე განცდილ მარცხს ვერაფრით აანაზღაურებ, ასე რომ, წარმატებისთვის თავს არ დავზოგავთ. "ამერი" სოლიდური, მზარდი გუნდია, დიდი ბრძოლა გველის...

- მსაჯობაზე საუბრით დავიღალე, ღმერთმა ქნას, ამ თამაშებში მაინც იყოს ნორმალური სიტუაცია...

- "სიონში" პრემიები მხოლოდ თასის აღებაზეა დაწესებული და არა ფინალში გასვლაზე.

**ლევან ჯანეზაშვილი**



პრესკონფერენციაზე

**ზესტაფონი–ბათუმი**
17 აპრილი. ზესტაფონი.
ცენტრალური. 16:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, რ. ონიანი, ჟონატასი, ვიეირა, ფიფია, იონანიძე

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, შალამბერიძე, ნერგაძე, კერესელიძე, კუნჭულია, ბეჟანიძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია

დისკვალიფიკაცია: ხოხონიშვილი, ცანავა

არბიტრი: ლ. სილაგავა

ასისტენტები: ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე

**ნახევარფინალში** გასასვლელად "ბათუმმა" ქუთაისის "ტორპედო" დაამარცხა, "ზესტაფონმა" კი "ბორჯომი" გამოთიშა გათამაშებიდან. ეს გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში უკვე ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველ წრეში ბათუმში თამაში უგოლოდ დასრულდა, ათიოდე დღის წინათ კი ზესტაფონელებმა აჭარლები იმერეთში დიდი ანგარიშით 4:0 დაამარცხეს. რაღა თქმა უნდა ჩემპიონატისგან განსხვავებით თასის გათამაშება სპეციფიკურია და ჯერ კიდევ ნახევარფინალის წილისყრისთანავე ითქვა, რომ "ზესტაფონს" ფინალში გასასვლელად სულაც არ ელოდა იოლი გასეირნება.

### გრიგოლ ჭანტურია
ზესტაფონი

- ყველა ჯანმრთელადაა. დისკვალიფიცირებული ფეხბურთელებიც არ გვყავს. ასე რომ, თასის ნახევარფინალის პირველი მატჩისთვის სრული საბრძოლო შემადგენლობით ვემზადებით...

- მეტოქე სუსტი ნამდვილად არაა. მართალია ბათუმელები ბოლო მატჩებში დამარცხდნენ, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ისინი მეორე წრეში ბევრად უკეთ ათამაშდნენ. ბოლნისში, მოქმედი ჩემპიონი "სიონი" დაამარცხეს. "ბათუმი" ის გუნდია, რომელთანაც მოდუნება არ შეიძლება. ამასთან თასის გათამაშებას სხვა სპეციფიკა გააჩნია და ეს მეტოქისთვის დამატებითი სტიმულიც შეიძლება იყოს...

- შემადგენლობისა და განვლილი მატჩების სტატისტიკის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ჩვენ მეტოქეზე მეტი შანსი გვაქვს. მთავარია, ეს შანსი სათანადოდ გამოვიყენოთ.

### გიორგი ნერგაძე
ბათუმი

- ხოხონიშვილი და ცანავა გვყავს დისკვალიფიცირებული. ასევე, ტრავმირებული თურმანიძეც გამოგვაკლდება. ვფიქრობ ეს მცირედი დანაკლისი არაა, მაგრამ მაინც იმედიანად ვართ განწყობილნი და მონდომებით ვემზადებით...

- "ზესტაფონი" კარგი გუნდია. მოწინააღმდეგეს უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. ამასთან, გასათვალისწინებელია მწვრთნელის ფაქტორიც. თემურ მახარაძე მაღალი დონის მწვრთნელია.

მიუხედავად ყველაფრისა, ფარ-ხმალს არ დავყრით, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ბედნიერი ვიქნები თუ ფინალში მოგვიწევს თამაში. ბურთი მრგვალია და ეს იქნებ შევძლოთ კიდეც...

- ჩემი აზრით, ორი თამაშის ჯამში მეტოქეს მეტი შანსი აქვს. ალბათ 60 პროცენტია მათია, დანარჩენი კი ჩვენი. თუმცა საპასუხო მატჩში ჩვენ მასპინძლები ვიქნებით და ეს ერთგვარად ჩვენი პლუსია.

**დავით ცაბაძე**



პაატა ჯინჭარაძე (7)

ლეგიონი

# ბრიანსკის ტყის ზღაპრები

ასე უწოდებენ რუსი სპორტული ჟურნალისტები პირველი დივიზიონის ბრიანსკის "დინამოს" ირგვლივ შექმნილ სიტუაციას. კლუბს არ წაუგია არც ერთი მატჩი სეზონისწინა შეკრებებზე, დიდი შანსი აქვს, გავიდეს რუსეთის თასის ნახევარფინალში და, ამასთან, წაუგებლად ლიდერობს პირველ დივიზიონს. "დინამოს" წარმატებაში დიდი წვლილი ვეტერან ქართველ ნახევარმცველ **პაატა ჯინჭარაძეს** მიუძღვის. "გამოცდილი ცენტრალური ნახევარმცველები ჯინჭარაძე და **მალინი** "დინამოს" წარმატების მთავარი ფიგურები არიან", - წერს "გაზეტა". 32 წლის ქართველი მუდმივად შეუცვლელად თამაშობს.

პირველი დივიზიონის მე-5 ტური დღეს გაიმართება, თუმცა ერთი მატჩი ნაადრევად ჩატარდა. რუსეთის თასზე მონაწილეობის გამო "დინამომ" სხვებზე ადრე ითამაშა, შინ დებიუტანტი "მეტალურგ-კუზბასი" მიიღო და 3:1 დაამარცხა. ჯინჭარაძემ 90 წუთი ითამაშა. ქართველმა მატჩის მე-14 წუთზე მცირე შეხლა-შემოხლაში ყვითელი ბარათი მიიღო. "დინამოს" სამი მოგებით და ორი ფრით 11 ქულა დაუგროვდა და დივიზიონში პირველია. ხვალ ბრიანსკის "დინამო" თასის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში "როსტოვს" მასპინძლობს. პირველი მატჩში, რომელიც "დინამომ" სტუმრად 2:1 მოიგო, პაატა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

### ბრძოლა ვერცხლისთვის

კვიპროსში სათასო ბატალიების შემდეგ 23-ე ტურით განახლდა ეროვნული ჩემპიონატი. განახლდა და ჩემპიონის ვინაობაც გაირკვა, ნიქოზიის აპოელ-ი ისტორიაში მეცხრამეტედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც აპოელ-ის ერთადერთი კონკურენტი "ომონია" დამარცხდა. სხვათა შორის, ახალი ჩემპიონი "ომონიას" ტიტულებით გაუთანაბრდა.

**თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" ქვეყნის 12-გზის ჩემპიონია, კლუბი ვერცხლის მედლებისთვის იბრძვის, მას 47 ქულა აქვს და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება "ომონიას". ბოლო ტურში თემურის გუნდი აეკ-ს ესტუმრა, სადაც **კლიმენტი ნიტაიშვილი** თამაშობს და 3:0 მოუგო. ქართველი მწვრთნელის გასახარად გოლები **პახარსმა, ნიკოლაუმ** და **ფრუსოსმა** გაიტანეს. თავად თემურს არ უთამაშია, რადგან შეტევაში **ჟარდელი-პახარსის** წყვილი დააყენა, რომელსაც შემდეგ ფრუსოსიც დაურთო. კლიმენტი ნიტაიშვილმა, ყოფილმა ანორთოსისელმა პირველი 45 წუთი ითამაშა. კვიპროსში კიდევ ერთი ქართველი ფორვარდი თამაშობს, **ლევან ქებაძე**, რომლის "ეთნიკოსმა" სტუმრად 1:0 იმარჯვა აეპ-თან. ქებაძე მეოთხე დამატებულ წუთზე შეცვალეს დროის გაყვანის მიზნით.

### გოლი ხუთი წლის შემდეგ

მოლდოვაში მე-14 ტურის მატჩები გაიმართა, ამ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა **ლადო ახალაიამ**. "დაჩიამ" "ოლიმპიას" უმასპინძლა, 0:2-ზე ლადომ ერთი ბურთი გაქვითვა, თუმცა ამით მატჩის გადარჩენა ველარ შეძლო - 1:2. ლადო შეცვლაზე შევიდა და 70-ე წუთზე "ოლიმპიის" გოლკიპერის მშრალი სერია შეწყვიტა, რომელიც 2006 წლის დეკემბერში დაიწყო. ქართველმა საჰაერო დუელი მოუგო სტუმართა კარის დარაჯს და გოლი თავით გაიტანა. ბოლოს მოლდოვაში ახალაიამ 2002 წელს გაიტანა "ზიმბრუს" რიგებში, მაშინ კიშინიოველებმა 10:0 მოუგეს "ჰეფი ენდს", რომელიც უკვე აღარ არსებობს. "მგლებმა" (ასე უწოდებენ გულშემატკივრები "დაჩიას") ზედიზედ სამი მატჩი წააგეს, თუმცა მეოთხე ადგილზე მაინც მყარად არიან.

ჩემპიონატის უპირობო ლიდერმა "შერიფმა" 4:2 მოუგო "ტილიგულს" ამ მატჩში დუბლი შეასრულა გუნდის ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა**, რომელმაც მატჩის მე-20 და 62-ე წუთებზე აუღელვებლად შეასრულა თერთმეტმეტრიანი დარტყმები. "შერიფის" კონკურენტმა "ზიმბრუმ" კვლავ წააგო, ამჯერად სტუმრად "ისკრასთან" - 0:1. ზიმბრუელმა **მამუკა ლომიძემ** 90 წუთი ითამაშა. ამ მარცხმა "ზიმბრუს" მწვრთნელის, **ტაბანოვის** თანამდებობა შეიწირა.

ჩემპიონატს "შერიფი" 70 ქულით ლიდერობს და მეორე ადგილზე მყოფ "ზიმბრუს" 17 ქულით უსწრებს. "დაჩია" 42 ქულით მეოთხეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# კვარაცხელია საუკეთესოა

ცოტა ხნის წინათ პორტუგალიაში, კასტელო ბრანკოს საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მონაწილეობდა.

ამავე ტურნირზე იმსაჯა ქართველმა არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ**. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, კვარაცხელია ტურნირის საუკეთესო არბიტრად დაასახელეს. ეროვნული კატეგორიის მსაჯი კასტელო ბრანკოს საერთაშორისო ტურნირზე ორ მატჩს მოემსახურა.

**დავით ცაბაძე**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. XXVI ტური

# რაჭა: პირველად, სამშვიდობოზე



ზესტაფონის ბრაზილიელ ახალწვეულ ლეანდროს დუბლებით უწევს დაკმაყოფილება

გასულმა ტურმა ლიდერები უმაღლეს ლიგას კიდევ უფრო მიაახლოვა. სასწაული უნდა მოხდეს, "მგლებმა" და "მესხეთმა" ნანატრი საგზური რომ ვერ მოიპოვონ. ზუგდიდელები და ახალციხელები ქულების სტაბილურად დაგროვებას აგრძელებენ, ჩავარდნებით მოასპარეზე მათ მდევრებს კი სხვაობის გაბათილების მიზერული შანსი აქვთ.

მესამე, საფლეიოფო პოზიციაზე აგარელები კომფორტულად გრძნობენ თავს, მაგრამ ამ ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლების გადატანა კიდევ მოუწევთ. "მეშაქრეს" ბედად, სახარბიელოდ ვერ ასპარეზობს მისი მდევარი "გაგრა", რომელმაც მორიგი ძვირფასი ქულები გაატანა ქარს. ბოლოდროინდელი პროგრესის წყალობით, საფლეიოფო პერსპექტივა ჭიათურის "მალაროელსაც" გაუჩნდა.

ცვლილებებია ცხრილის ქვედა ნაწილში. სეზონში პირველად, "რაჭამ" სახიფათო ზონას თავი დააღწია. შეგახსენებთ, რეგიონულ ლიგაში ოთხი გუნდი ვარდება.

### მალაროელი-გურია 4:0

12 აპრილი. ცენტრალური.
200 მაყურებელი

1:0 იოსავა (5), 2:0 ხაჭიპერაძე (36), 3:0 ვ. ტყემალაძე (68), 4:0 სეფერთელაძე (75)

მალაროელი: დარჯანია, ზ. ტყემალაძე, ბრეგვაძე, შუკაკიძე, სამხარაძე, ჯაჯანიძე (59. გოგბერაშვილი), იოსავა, ტყებუჩავა, სეფერთელაძე (71.ტყემალაძე), ხაჭიპერაძე, ვ. ტყემალაძე (65. ნაყოფია)

სათადარიგოები: ბადურაშვილი, კუტალია, ცერცვაძე, გაბრიჭიძე

გურია: მემარნიშვილი, გოგიბერიძე, იმნაიშვილი (43.სულაქველიძე),ქურიძე, თელია, მალლაკელიძე, ქობალია, ნილოსანი, კვერენჩხილაძე (46. რუსიეშვილი), მგელაძე, კოტრიკაძე (46. მოდებაძე)

სათადარიგოები: ჩხაიძე, სიამაშვილი, ენდელაძე, ლომაძე

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

### სამტრედია-მეშაქრე 1:0

12 აპრილი. სამტრედია.
ე. მანჯგალაძე. 500 მაყურებელი

1:0 ეცადეიშვილი (72)

სამტრედია: მუჯრიშვილი, გოგია, კვესეიშვილი, მახარაძე, ჯიქიძე, ჯანელიძე, ჯინჭარაძე, გაბედავა, სამსეიშვილი (59. ივეჩიანი), ეცადეიშვილი, ჩუბინიძე

სათადარიგოები: რაფაელოვი, ნუცუბიძე, ივანიაძე, ნინუა, გრიგოლია

მეშაქრე: დერევიაჩენკო, ებრალიძე, გვარუციძე, გაგნიძე, ხაჩიძე (81. კვასხვაძე), ლაცაბიძე, ავალიანი, ლობჟანიძე, კობახიძე, ჩიხლაძე, კრავეიშვილი (64. გოცირიძე)

სათადარიგოები: ტუხაშვილი, კიკნაძე, მანთიძე, ვიშნიაკოვი, ნიკვაშვილი

მსაჯი: დ. სანაია

### მეშახტე-ოლიმპი 4:0

12 აპრილი. ტყიბული.
ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 ავალიშვილი (30), 2:0 ავალიშვილი (53), 3:0 ხაჟალია (80), 4:0 ავალიშვილი (88)

მეშახტე: მერკვილიშვილი, ხაჭიპერიძე, კვანტრიშვილი, ბოჭორიშვილი, დოხნაძე, ძაგანია (80. გვენეტაძე), მაჩალაძე (46. ჭელიშვილი), ფანჩულიძე, გიორგობიანი (65. ცქიფურიშვილი), ხაჟალია, ავალიშვილი

სათადარიგოები: გიორგაძე, ქურციკიძე

ოლიმპი: ხარჩილაძე(62. დგებუაძე), ჭაფოძე, ქორიძე, დონდოლაძე, თარგამაძე, ოდიშარია, ნეფარიძე, ჯანელიძე (62. კაკულია), მეტრეველი, სამსონია

სათადარიგოები: შენგელია, ჩიხრაძე

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

### მერცხალი-მგლები 1:4

12 აპრილი. ოზურგეთი.
ცენტრალური. 150 მაყურებელი

1:0 ჩხაიძე (12. პენ), 1:1 თოდუა (55. პენ), 1:2 თოდუა (69), 1:3 ლიპარტია (77), 1:4 ქირია (86)

მერცხალი: გოგუა, ხურციძე, თენეიშვილი, ტუტოიანი, რამიშვილი, მაკასარაშვილი, ქობულაძე, სურგულაძე, ჭეიშვილი, ჭანუყვაძე (63. გობრონიძე), ჩხაიძე

სათადარიგოები: ქურასბედიანი, ნაკაიძე, გულბანი

მგლები: დევაძე, გ. ქირია, ფარულავა, ხუხია, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა (46. ლომია), კუტალია, ჯოჯუა (46. გაბედავა), თოდუა, ბაკარანძე (67. ლიპარტია)

სათადარიგოები: ძაგანია, ქომეთიანი, ჭკადუა, მოდებაძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

### ნ. დინამო-სპარტაკი 3:2

12 აპრილი. თბილისი.
ოლიმპი. 200 მაყურებელი

1:0 რუსიძე (27), 2:0 რუსიძე (42), 3:0 შენგელია (58), 3:1 ჯაში (72. პენ), 3:2 ჯაში (87)

ნ. დინამო: კობახიძე, ლოლაძე, დონაძე, ბოკუჩავა, ჩალაძე, ლობჟანიძე, რუსიძე, ქობალია (46. შენგელია), გოგოხია (64. დემეტრაძე), კემუხტაშვილი, ტოლონჯაძე (26. ბარაბაძე)

სათადარიგოები: შენგელია, კუტივაძე, მაყაშვილი, ხორგუაშვილი

სპარტაკი: ჩალაძე (46. ლაძაძე), რ. კუკულაძე, ბაბაშვილი, ცქვიტაია (46. კობალაძე), შუბითიძე, მარგიანი, ჯობავა, მჭედლიშვილი, ჩხაიძე (46. ჯაში), ჯიშკარიანი, სახოკია

სათადარიგოები: ჯელაძე, გლოველი, მეტრეველი, ჩიკვაიძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

### მესხეთი-ჩიხურა 2 5:0

12 აპრილი. ახალციხე.
გ. იაძე. 500 მაყურებელი

1:0 მ. თაყაძე (27), 2:0 მუშკუდიანი (64), 3:0 ტ. კუკულაძე (64), 4:0 ტ. კუკულაძე (83), 5:0 პ. პარამონოვი (85)

მესხეთი: ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, კობესაშვილი, თელიაშვილი, ილურიძე, გამცემლიძე, გვირჯიშვილი, მ. თაყაძე, ინასარიძე (72. ზ. სუდაძე), მუშკუდიანი (72. პ. პარამონოვი), რუსია (65. ტ. კუკულაძე)

სათადარიგოები: ჩომახიძე, ელისაშვილი, მუმლაძე, გ. სუდაძე

ჩიხურა 2: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ხვედელიძე, შუკაკიძე, როგავა, დეკანოიძე (72. მეგრელიშვილი), მეტონიძე (68. ივანაშვილი), აბდუშელიშვილი (65. ვაშაყმაძე), ნადირაძე, გაფრინდაშვილი, გულიაშვილი

სათადარიგო: ჯაჯანიძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

### ზესტაფონი 2-ამერი 2 1:6

12 აპრილი. ზესტაფონი.
ფერო. 100 მაყურებელი

0:1 ვაჩეიშვილი (9), 0:2 ნიკოლაიშვილი (45), 1:2 ჩოხელი (44), 1:3 კბილცეცხლაშვილი (52), 1:4 სილაგავა (62), 1:5 სევასტოპულო (63), 1:6 სილაგავა (84)

ზესტაფონი 2: რ. კვასხვაძე, დოლონაძე, ხიდეშელი, სანაია, ბახტურიძე, დაუშვილი, ჩოხელი, ივანაშვილი, ჯანელიძე, ლეანდრო (52. თარხნიშვილი), გოცირიძე (46. მაისურაძე)

სათადარიგოები: ჯალალონიან გიორგიძე, შარანგია, საცერაძე, ხუმარაშვილი

ამერი 2: ნაჭყეპია, ფირანიშვილი, მეტონიძე, ბერიანიძე, ნაჭყებია (86. ჩიკვაიძე), სილაგავა, შენგელია, ვაჩეიშვილი (77. გადელია), ნიკოლაიშვილი, სევასტოპულო (70. მშვილდაძე), კბილცეცხლაშვილი

სათადარიგოები: გვენცაძე, ბოჯგუა, ხარიტონაშვილი

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

### გაგრა-რაჭა 1:1

12 აპრილი. მუხრანი.
ცენტრალური. 100 მაყურებელი

0:1 სილაგაძე (13. პენ.), 1:1 მეტრეველი (41)

გაგრა: ტალახაძე, მგალობლიშვილი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, თოთაძე, აფრიამაშვილი, ტყეშელაშვილი, დათუნაშვილი (83. მესხი), მამუკაშვილი, ფანცხავა, მეტრეველი

სათადარიგოები: ოთარაშვილი, მერაბიშვილი, მგელაძე, შარიქაძე, კორიფაძე, სუხიშვილი

რაჭა: გონგაძე, მეტონიძე, რობაქიძე, სილაგაძე, გობეჯიშვილი, კიკვაძე, რატიანი, მიქაძე, სახელაშვილი, ე. კობახიძე, რეხვიაშვილი

სათადარიგოები: ი. კობახიძე, ჭელიძე, მაისაშვილი, ჯელაძე, ჯავოიანი

მსაჯი: ო. ხეცაძე

## გადადებული მატჩები

### დინამო2-ვიტ ჯორჯია2 1:3

14 აპრილი. თბილისი.
სინათლე. 100 მაყურებელი

0:1 კიკნაძე (35), 0:2 ბეჭვაია (38), 1:2 სირბილაძე (55), 1:3 ჯიქიძე (78)

დინამო: მაკარიძე, კაშია, თომაშვილი, გუგავა, ჯანაშია (84. ყიფიანი), აკობია, ჩირიკაშვილი, სირბილაძე, მამრაში (84. ჯიშკარიანი), ფირცხალავა, სნასოვიჩი (46. ქანთარია)

სათადარიგოები: ნაჭყეპია, გაბუნია, ნემსაძე, კობიაშვილი

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე (63. ლურბელეიშვილი), პირველი, ადამაძე, მენთესაშვილი, კირთაძე, ინჯგია, იმერლიშვილი (46. მაისაშვილი), ბეჭვაია, შაიშმელაშვილი, კიკნაძე (63. ჯიქიძე), ლიპარტია

სათადარიგოები: კაიშაური, აფციაური, უშარაული

მსაჯი: არსენ ნონიკაშვილი

### ნ. დინამო-ზესტაფონი 2 1:1

15 აპრილი. თბილისი.
ნ. დინამოელი. 100 მაყურებელი

1:0 კუტივაძე (7), 1:1 ჯანელიძე (55)

ნ. დინამო: შენგელია, ხორგუაშვილი, უსენაშვილი, ქემოკლიძე, მაყაშვილი (46. შენგელია), კუტივაძე, შერმადინი, დემეტრაძე (46. ტოსტიაშვილი), კამლაძე, ბარბაძე (46. ზურაბიშვილი), მაისურაძე

სათადარიგო: კობახიძე

ზესტაფონი 2: ჯალალონია, შარანგია, ხიდეშელი, ხუმარაშვილი, დაუშვილი, ჩოხელი (64. მაისურაძე), თარხნიშვილი, ივანაშვილი, სანაია, გოცირიძე (58. დ. პარამონოვი), ჯანელიძე

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, გორგიაშვილი, გიორგიძე, ბახტურიძე

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

### მეშახტე-ჩიხურა 2 3:1

15 აპრილი. ტყიბული.
ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 ხაჟალია (2), 1:1 სტეფნაშვილი (14), 2:1 მაჩალაძე (60), 3:1 გიორგობიანი (89)

მეშახტე: მერკვილიშვილი, კვანტრიშვილი, ხაჭიპერაძე, ბოჭორიშვილი, დოხნაძე, ხაჟალია, მაჩალაძე, ფანჩულიძე, გიორგობიანი, ქურციკიძე, ავალიშვილი

სათადარიგოები: გიორგაძე, ცქიფურიშვილი, ძაგანია, ჭელიშვილი, გვენეტაძე

ჩიხურა 2: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი (80. მეტონიძე), ვ. ზაბახიძე, როგავა, დეკანოიძე (15. შუკაკიძე), გვეტაძე, სტეფნაშვილი, ფალავა (41. ნადირაძე), გულიაშვილი, მ. მიქაძე, ხვედელიძე

სათადარიგო: აბდუშელიშვილი

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

### რაჭა-სამტრედია 2:1

15 აპრილი. ონი.
ს. მეტრეველი. 200 მაყურებელი

1:0 სილაგაძე (24), 1:1 გაბედავა (45), 2:1 გობეჯიშვილი (78)

რაჭა: გონგაძე, მეტონიძე, რობაქიძე, სილაგაძე, რატიანი, გბეჯიშვილი, სახელაშვილი, კიკვაძე, მიქაძე, კობახიძე (46. მიქაბერიძე), კობახიძე (84. ჭელიძე)

სათადარიგოები: მაისაშვილი, კობახიძე, რეხვიაშვილი

სამტრედია: ხარძეიშვილი, მახარაძე, კალანდარიშვილი, რაფაელოვი, ჯიქიძე, ნუცუბიძე (82. სამსეიშვილი), ჯანელიძე, ივეჩიანი, ჯინჭარაძე, გაბედავა, ეცადეიშვილი.

სათადარიგოები: ჯულაყიძე, ჩუბინიძე, ნინუა, ჯანელიძე, ბეჯრიშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 25 | 19 | 2 | 4 | 43-14 | 59 |
| 2. მესხეთი | 25 | 17 | 4 | 4 | 46-14 | 55 |
| 3. ოლიმპი | 26 | 13 | 5 | 8 | 46-29 | 44 |
| 4. მეშაქრე | 26 | 12 | 8 | 6 | 31-22 | 44 |
| 5. ვიტ ჯორჯ. 2 | 26 | 12 | 6 | 8 | 41-22 | 42 |
| 6. ამერი 2 | 26 | 11 | 9 | 6 | 41-29 | 42 |
| 7. მალაროელი | 26 | 11 | 7 | 8 | 37-29 | 40 |
| 8. გაგრა | 26 | 11 | 5 | 10 | 35-31 | 38 |
| 9. ნ. დინამო | 25 | 11 | 4 | 10 | 37-35 | 37 |
| 10. სამტრედია | 26 | 10 | 7 | 9 | 26-33 | 37 |
| 11. მეშახტე | 25 | 10 | 5 | 10 | 37-32 | 36 |
| 12. დინამო 2 | 26 | 9 | 7 | 10 | 45-28 | 34 |
| 13. ზესტაფ. 2 | 25 | 7 | 10 | 8 | 24-25 | 31 |
| 14. რაჭა | 25 | 6 | 8 | 11 | 25-39 | 26 |
| 15. სპარტაკი | 26 | 7 | 3 | 15 | 17-38 | 24 |
| 16. ჩიხურა 2 | 26 | 6 | 5 | 15 | 23-48 | 23 |
| 17. გურია | 26 | 5 | 5 | 16 | 23-56 | 20 |
| 18. მერცხალი | 25 | 2 | 4 | 19 | 16-67 | 10 |

პროფლიგის ლატარია

# ჯეკპოტი ფეხბურთელისაა!



შალვა დოლაძე იღბლიანი ბილეთით ხელში

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ლატარიის პირველი გამარჯვებული გამოცხადდა. მან ბილეთში განთავსებული თერთმეტივე მატჩის შედეგი გამოიცნო და ჯეკპოტს - 7 000 ლარს დაეუფლა.

ეს ადამიანი საჩხერის "ჩიხურას" მეკარე **შალვა დოლაძე** გახლავთ, რომელმაც ბილეთი პარასკევს, გორში, "ქართლის" სტადიონზე "მერანთან" გამართული მატჩის წინ შეიძინა. როგორც ხედავთ, "ჩიხურას" თადარიგში გამწესებულ შალვას დრო უქმად არ დაუკარგავს. ის ფაქტი, რომ ლატარია ფეხბურთელმა მოიგო და არა გულშემატკივარმა, დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, სამწუხარო რეალობა ისეთია, რომ ჩემპიონატის თამაშებზე გულშემატკივართა რიცხვი მოთამაშეების რაოდენობას ბევრად არ აღემატება.

ბუნებრივია, გამარჯვებული სიხარულს ვერ მალავდა. "ბედნიერი ვარ, რომ ასე გამიმართლა. საინტერესო ისაა, რომ "დინამო"-"ზესტაფონის" წყვილში "დინამოს" გამარჯვებას ვვარაუდობდი, მაგრამ ბილეთში შეცდომით ფრე ჩავწერე. იმედია, ჩემი მოგების შემდეგ, "ჩიხურას" წარმატებებითაც გავიხარებ", - ამბობს საჩხერელი გოლკიპერი.

ალბათ, ეს მოგება ლატარიისადმი ინტერესს საგრძნობლად გაზრდის, როგორც ხედავთ, თერთმეტი თამაშის შედეგის წინასწარმეტყველება წარმოუდგენელი სულაც არ ყოფილა. უახლოეს დღეებში პროფესიული ფეხბურთის ლიგა შალვას პრიზს საზეიმო ვითარებაში გადასცემს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

შალკე

# კობიაშვილს კონკურენტი გამოუჩნდა

## 18 წლის მესუთ იოზილს დიდი მომავალი აქვს. რამდენად ჰგავს და რით განსხვავდება ის კობიაშვილისგან?

ამას წინათ „შალკეს“ ოფიციალური ფანკლუბის ფორუმს მივაშურეთ და ერთ მეტად საინტერესო თემას წავაწყდით, რომლის სათაურიც ასე ჟღერდა: *„უკვე დროა! იოზილი კობიაშვილის ნაცვლად!“* საუბარია „შალკეს“ 18 წლის ნახევარმცველ **მესუთ იოზილზე**, რომელიც წარმოშობით თურქი გახლავთ, მაგრამ გერმანიაში დაბადებული და გაზრდილია. ჰო, ვიცით, რომ იოზილი საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია, რომ გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობს და რომ **მათიას ზამერმა** მასზე არაერთხელ თქვა, ეს ბიჭი დიდ ფეხბურთს ითამაშებსო, მაგრამ „შალკეს“ გულშემატკივრების გარკვეული ნაწილის ასეთმა განწყობამ (იოზილი კობიაშვილის ნაცვლად), მაინც გაგვაკვირვა.

თემაში მიდის ბჭობა იმის შესახებ, რომ იმ პოზიციაზე, სადაც კობი ყველაზე ხშირად თამაშობს (ნახევრად მარცხენა გარემარბი), **მირკო სლომკამ** უკვე მესუთ იოზილი უნდა ათამაშოს. ეს თემა ახალგაზრდა გულშემატკივრების გახსნილია და ალსანიშნავია, რომ შედარებით ასაკოვანი და გამოცდილი ფანები ამ დისკუსიის წამომწყებ ლლაპებს მაგრად უჯავრდებიან. *„ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩვენ გამოცდილი ფეხბურთელები გვჭირდება;“ „იოზილმა ჯერ მინიმუმ ერთი სეზონი უნდა ჩაატაროს სტაბილურად, რათა კობიაშვილის ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდების პრეტენზია ჰქონდეს;“ „რაკი ორი-სამი თამაში მაღალ დონეზე ჩაატარა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასტარტოში უნდა ითამაშოს;“ „მოაშორეთ ეს ბავშვები კომპიუტერს, ფეხბურთის გაგებაში არ არიან;“* - წერენ „ძველი გულშემატკივრები“.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ ლევანს სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა. ფაქტია ისიც, რომ შაბათს, „მაინცთან“ შეხვედრაში სლომკამ ძირითად შემადგენლობაში სწორედ იოზილი ათამაშა, კობი კი მის ნაცვლად მოედანზე მხოლოდ 67-ე წუთზე შეუშვა. ეს კი უკვე სახიფათოა, მით უმეტეს, რომ იოზილმა კობიზე (3.5) უკეთესი შეფასება (3) დაიმსახურა.

როგორც იცით, „მაინცთან“ შეხვედრისთვის გელზენკირხენელებს **ლინკოლნი** დაუბრუნდათ, შესაბამისად, ის ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდა, იოზილმა კი ამ შემთხვევაში **პეტერ ლოვენკრანდსის** ადგილი დაიკავა (მარცხენა თავდამსხმელის პოზიციაზე), საყრდენებად კი **ფაბიან ერნსტი** და **ჰამით ალთინთოფი** ვიხილეთ. აქ სლომკამ ვარირებას მიმართა და ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც იოზილი ამჯობინა კობის (უფრო ჰამითი ამჯობინა), მაგრამ ფაქტია, რომ მესუთმა ძირითადში ითამაშა, ლევანმა კი არა. კობი რომ არცთუ სახარბიელო ფორმაშია, ამაზე ადრეც არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ ხომ შეიძლება, ახალგაზრდა ფანების იმ ნაწილის სურვილი მართლაც შესრულდეს? მოდით, გავარჩიოთ, რამდენად ჰგვანან და რით განსხვავდებიან იოზილი და კობიაშვილი ერთმანეთისგან.

დავიწყოთ იმით, რომ ორივე მათგანი ცაციაა, ეს კი ხაზს უსვამს იმას, რომ ორივეს მოქმედების არეალი მოედნის მარცხენა ნახევარია. მესუთიცა და ლევანიც, საკმაოდ კარგად ასრულებენ სტანდარტულებს – კობი რომ ჯარიმებს ურტყამს და კუთხურებს აწვდიდა და აწვდის, ვიცით (ადრე პენალტისტიც იყო), ამასთან უნდა გითხრათ, რომ იოზილსაც კარგად გამოსდის სტანდარტულების შესრულება. მესუთმა „შალკეს“ ძირითად შემადგენლობაში ჯერ მხოლოდ 4 თამაში ჩაატარა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ის ორთაბრძოლებში ვერ შედის ისე ვაჟკაცურად და თავდაუზოგავად, როგორც კობიაშვილი. იოზილი შედარებით ნაზი ფეხბურთელია და მას „მუშა მოთამაშეს“ ვერ დავარქმევთ. კობის კი, მოგეხსენებათ, თავის დროზე „შალკეს“ ნახევარდაცვის „ძრავის“ მეტსახელი ერგო. და აი, მივადექით მთავარსაც: იოზილი უფრო შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი, კობიაშვილი კი, მასთან შედარებით, უფრო პირიქით. იოზილი უტევს, კობიაშვილი მუშაობს, იოზილი დრიბლინგზე მიდის, კობიაშვილი პასს აკეთებს - ეს ყველაფერი შეტევის დროს, ხოლო თავდაცვისას ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან იოზილი არც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს და მით უმეტეს, არც მარცხენა მცველისა. ამ მხრივ, კობი მასზე ფართომასშტაბიანი ფეხბურთელია. იოზილს მარცხენა გარემარბად, მარცხენა თავდამსხმელად და ფლეიმეიქერად შეუძლია ასპარეზობა, კობიაშვილს კი, ამ სამთან ერთად, საყრდენობა და მარცხენა მცველობაც ძალუძს.

შესაძლოა, ვაჭარბებთ კიდეც, რადგან ჯერ მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ სლომკამ კობიაშვილი სკამზე დატოვა, 18 წლის მესუთი კი ძირითად შემადგენლობაში ათამაშა, მაგრამ მოდით, გავეცნოთ სტატიას, რომელიც „კიკერმა“ „შალკეს“ პერსპექტიულ ფეხბურთელს მიუძღვნა და თავად დარწმუდებით, თუ რაოდენ სახიფათო კონკურენტია ის ლევანისთვის.

### 18 წლის ჩემპიონი?

„შალკეს“ გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** სიხარულით იხსენებს წინა სეზონის ერთ-ერთ დღეს, როცა „შალკეს“ იუნიორთა მწვრთნელმა **ნორბერტ ელგერტმა** მას მესუთ იოზილის ძირითად გუნდში გადაყვანა ურჩია. მიულერმა ელგერტის რჩევა გაითვალისწინა და 17 წლის მესუთს **ბორდონთან, ლინკოლნთან, კურანისთან** და სხვებთან ერთად ვარჯიშის ნება დართო. *„პირველივე ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებმა ცოტა არ იყოს მასხრად აიგდეს, ზოგიერთები ამბობდნენ, რა უნდა ჩვენს ბოსს ამ ბავშვისგან, არაფერს აკეთებს, სულ ჩუმადაა და ორმხრივი თამაშის დროს კუთხეში დადგა, არ ინძრეოდა და მხოლოდ გვიყურებდაო. ერთი სიტყვით, 17 წლის ბავშვი პირველი გუნდის ფეხბურთელებს თავიდან მაინცდამაინც არ ეპიტნავათ,“* – იხსენებს მიულერი.

მიუხედავად ამისა, მიულერმა იოზილს მაინც გაუფორმა კონტრაქტი 2009 წლამდე, ამბობს, კარგად ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, თანაც ელგერტს ვენდეო. 2006 წელს ნორბერტ ელგერტის გუნდი გერმანიის A იუნიორთა ჩემპიონი გახდა, იოზილი კი იმ გუნდის ლიდერი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მესუთს შეეძლო, ბავშვებში კიდევ ერთი სეზონი გაეტარებინა, მიულერმა ის მაინც პირველ გუნდში გადაიყვანა. *„ასე განზებ მოვიქეცი, რადგან ვიცოდი, რომ მესუთი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი იყო. იუნიორებში გატარებული კიდევ ერთი წელი კი, მისთვის აშკარად დაკარგული იქნებოდა,“* – აცხადებს „შალკეს“ ბოსი.

სლომკა ამბობს, რომ მესუთი ზაფხულის მოსამზადებელი პერიოდის დროს ძალიან თავმდაბალი და ჩუმი იყო. *„ეს არცაა გასაკვირი, რადგან 17 წლის ბავშვი პირველად მოხვდა პროფესიონალ ფეხბურთელთა შორის და ადაპტაციისთვის გარკვეული დრო სჭირდებოდა,“* – აცხადებს „შალკეს“ თავკაცი. თუმცა იოზილმა ადაპტაცია ძალიან მალე გაიარა და უნდა აღინიშნოს, რომ „შალკეს“ ფეხბურთელებმა ის კოლექტივში მალევე მიიღეს, ანუ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

ზემოთაც გითხარით, რომ იოზილს გელზენკირხენული კლუბის სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 4 თამაში აქვს ჩატარებული. აქედან, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მატჩი სწორედ შაბათს, მაინცში ჩატარებული შეხვედრა გამოდგა. *„მესუთი გუნდის მყარი ფიგურა გახდა,“* – ამბობს სლომკა და იოზილს ტექნიკას, სწრაფ დრიბლინგს, ერთი შეხებით კომბინაციების გათამაშების შესაძლებლობასა და ახალგაზრდულ შემართებას უქებს. **იოზეფ შნუზენბერგი** კი, რომელიც სულ მალე „შალკეს“ პრეზიდენტი გახდება, მესუთზე ამბობს, ჩვენი გუნდის ბრილიანტიაო.

„მაინცთან“ სულ სამმა ისეთმა ფეხბურთელმა ითამაშა, რომლებიც გელზენკირხენში არიან დაბადებულები და საინტერესო ისაა, რომ სამივე მათგანი თურქია: იოზილი და ძმები **ალთინთოფები**. მაგრამ თუკი ჰამითი და ჰალილი თურქეთის ნაკრებში თამაშობენ, მესუთმა გერმანიის ღირსების დაცვა ამჯობინა. მარტში, გერმანიის 19-წლამდელებმა საქართველოს 19-წლამდელებს 2:0 რომ მოუგეს, ერთი გოლი სწორედ იოზილის ანგარიშზე იყო.

მესუთის მამა, **მუსტაფა**, რომელიც თურქეთიდან გერმანიაში ბავშვობაში გადასახლდა, ამბობს, რომ თურქეთის საფეხბურთო კავშირისთვის უარის თქმა მის ოჯახს ძალიან გაუჭირდა. *„პირველად თურქებმა დაგვირეკეს, მაგრამ გერმანელებს უფრო დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ მესუთს ბუნდესგუნდში ეთამაშა. განსაკუთრებით გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი მათიას ზამერი აქტიურობდა,“* – იხსენებს მუსტაფა იოზილი. ზამერისთვის კი, თავის მხრივ მიულერს შეუტყობინებია, ჩვენთან ძალიან ნიჭიერი თურქი ბავშვი თამაშობს და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო. მესუთმა სამშობლოს ზურგი აქცია და თურქული პასპორტიც გააუქმა... არცაა გასაკვირი, იოზილების ოჯახს თურქეთში მოღალატის სახელი რომ აქვს.

სლომკას თქმით, მესუთს თამაშის კითხვის იშვიათი უნარი გააჩნია, რის გამოც, მირკო ამტკიცებს, რომ მოვა დრო, როცა იოზილი „შალკეს“ 10 ნომრიან მაისურას მოირგებსო. დღესდღეობით კი ეს ნომერი ლინკოლნს აქვს, რომლის მხარდამხარ თამაშიც, მესუთისთვის დიდი პატივია. *„თუ ჩემპიონები გავხდით, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იარსებებს. მით უმეტეს, რომ მეცოდინება: ჩემპიონობაში მცირე, მაგრამ გარკვეული წვლილი მეც შევიტანე,“* – აცხადებს მესუთი. სხვათა შორის, 2001 წელს, როცა „შალკემ“ „ტრაგიკულად“ დაკარგა ვერცხლის სინი, იოზილი სულ რაღაც 12 წლის იყო...

**გოტფრიდ ლენცი**



გელზენკირხენელთა ახალი ვარსკვლავი მესუთ იოზილი

---

ეს საინტერესოა

### გერმანიის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონები

მესუთ იოზილი 34-ე ტურისთვის 18 წლისა და 216 დღის იქნება. თუ „შალკე“ ჩემპიონი გახდება, ის ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, მეექვსე პოზიციას დაიკავებს...

| წელი/დღე | ფეხბურთელი | სეზონი | თ/გ |
|---|---|---|---|
| 17/327 | იბრაჰიმ ტანკო (ბორუსია დ) | 1994/95 | 14/1 |
| 18/72 | დავიდ ოდონკორი (ბორუსია დ) | 2001/02 | 2/0 |
| 18/127 | რუდი ლორხი (შტუტგარტი) | 1983/84 | 1/0 |
| 18/168 | ბერქანთ გიოქთანი (ბაიერნი) | 1998/99 | 1/0 |
| 18/214 | ფრანც გერბერი (ბაიერნი) | 1971/72 | 1/0 |
| 18/278 | როკე სანტა კრუსი (ბაიერნი) | 1999/00 | 28/5 |
| 18/296 | ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი) | 2002/03 | 14/0 |
| 18/342 | ლარს რიკენი (ბორუსია დ) | 1994/95 | 21/2 |
| 18/343 | ჰერბერტ ციმერმანი (ბაიერნი) | 1972/73 | 1/0 |
| 19/26 | ვილფრიდ ჰანესი (ბორუსია მ) | 1975/76 | 9/1 |

---

ჯარიმა

# მილანს BWin 100 ათასი დაუჯდება

გერმანელებმა “მილანი” 100 ათასი ევროთი დააჯარიმეს. “ბაიერნთან” ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მეოთხედფინალში (2:0) “როსონერის” მაისურებზე ტოტალიზატორ “ბეთ ენდ ვინის” რეკლამა ეწერა. “ბეთ ენდ ვინი” იტალიური გრანდის სპონსორია, მაგრამ გერმანიაში ტოტალიზატორების რეკლამა აკრძალულია. თამაშამდე მილანელებს აფრთხილებდნენ, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური სანქცია არ ასცდებოდათ. იტალიელებმა გაფრთხილება ყურად არ იღეს. ახლა კი ჯიბის შეთხელება მოუწევთ. იმასაც შეგახსენებთ, რომ “ბეთ ენდ ვინი” ბრემენის “ვერდერის” სპონსორიცაა, მაგრამ ხსენებული აკრძალვის გამო მუსიკოსებს BWin-ის ნაცვლად WeWin (ჩვენ ვიმარჯვებთ!) აწერიათ. ეს პრობლემის ეშმაკური გადაწყვეტაა. ერთი მხრივ, WeWin ტოტალიზატორის სახელი არ არის, თუმცა ნებისმიერი ქომაგი ხვდება, რომ ამ სახელის მიღმა აკრძალული BWin იმალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

აი, პრემია!

# ბენიტესს ლიგა მილიონად დაუფასეს

“ლივერპულის” ბოსი **რაფა ბენიტესი** 1 მილიონ გირვანქას მიიღებს, თუ მისი შეგირდები ჩემპიონთა თასს დაეუფლებიან. ესპანელი სპეციალისტის წლიური ანაზღაურება 3.5 მილიონს შეადგენს, მაგრამ ორი წლის წინანდელი ტრიუმფის გამეორება დამატებით კიდევ ერთი მილიონს მოუტანს პრემიის სახით. შეთანხმებულია იმ პრემიის ოდენობაც, რომელსაც მწვრთნელს პრემიერლიგაში ზედიზედ მეორედ მესამე ადგილის დაკავებისათვის მიითვლის - 300 ათასი გირვანქა. ამხელა შემოსავალი ბენიტესს **ჟოზე მოურინიოსა** და **სერ ალექს ფერგიუსონის** გვერდით აყენებს. ისინი ინგლისური ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელები არიან. საინტერესოა, რომ სოლიდური ხელფასის მიუხედავად, ბენიტესისა და მისი ოჯახის წევრთა ინგლისური ენის გაკვეთილებს კვლავ “ლივერპული” აფინანსებს.

---

### ლიტბარსკისა და მათეუსს შოტლანდიაში უხმეს

“ჰართსის” მფლობელმა ვლადიმირ **რომანოვმა** გუნდის გაძღოლა პიერ **ლიტბარსკისა** და **ლოთარ მათეუსს** შესთავაზა. თუ ისინი კონტრაქტებს გააფორმებენ, 2005 წლის თებერვლის შემდეგ ედინბურგელებს მეხუთე დამრიგებელი შეეცვლებათ. მარტში კარისკენ მიუთითეს ლიტველ **ვალდას ივანაუსკასს**. ამჟამად “ჰართსს” უკრაინელი **ანატოლი კორობოჩკა** ხელმძღვანელობს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ამჟამად მათეუსი **ჯოვანი ტრაპატონისთან** ერთად ზალცბურგის “რედ ბულს” ხელმძღვანელობს.

### ბურუჩაგა უმუშევარია

**ხორხე ბურუჩაგამ** “ინდეპენდიენტეს” მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. შაბათს მისმა გუნდმა შინ “გოდოი კრუსთან” 0:2 წააგო. 10 ტურის შემდეგ “ინდეპენდიენტეს” მხოლოდ რვა ქულა აქვს. ის კლაუსურის უსუსტესი დაცვითაც გამოირჩევა, რადგან ყველაზე მეტი, 18 გოლი აქვს გაშვებული. ბურუჩაგამ ამ თანამდებობაზე 10 თვე იმუშავა. მისი შემცვლელის ვინაობა უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ახალი ამბები

# მიატოვიჩი ფედერაციას დაუპირისპირდა

## სამეფო კლუბი მის წინააღმდეგ გაჩაღებულ მიზანმიმართულ კამპანიას ფარდას ახდის, საქმეში შეიძლება უეფა და ფიფაც ჩართონ...



ტურიენსო ალვარესმა რეალს სამი ქულა ჯიბიდან ამოაცალა

მადრიდის "რეალი" ომის პირასაა. **ტურიენსო ალვარესის** მსაჯობასთან დაკავშირებული სკანდალი აქტუალობას არ კარგავს. როგორც ჩანს, საქმე უფრო სერიოზულადაა. სამეფო კლუბის მესვეურები მიიჩნევენ, რომ მსაჯები მათ მთელი სეზონის განმავლობაში დევნიდნენ და რომ მათ წინააღმდეგ, ეგრეთ წოდებული, შავი ხელი მოქმედებს. ფეხბურთელები, მწვრთნელები, დირექტორატის წევრები და გულშემატკივრები ერთ მუშტად არიან შეკრულები. ისინი დაჩაგრულებად გრძნობენ თავს და საკუთარი უფლებების დასაცავად დაუნდობელი ბრძოლის დაწყებას აპირებენ. ამ საქმეს **პრედრაგ მიატოვიჩი** უხელმძღვანელებს. მადრიდული გიგანტის გენერალური დირექტორი სამსაჯო კომიტეტის წინააღმდეგ მასშტაბური საზოგადოებრივი კამპანიის აგორებას გეგმავს. ის ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ ფართო მასებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ. ინფორმაცია კი ერთადერთია, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციას "რეალის" ჩემპიონობა არ სურს, ამიტომ აღნიშნული ორგანოს მაღალჩინოსნები მიზანმიმართულად მუშაობენ, რათა სამეფო კლუბი ჩაიძიროს.

მიატოვიჩი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხალხის აბუნტებით არ დაკმაყოფილდება. ის სამართლებლივ გზებსაც მიმართავს. გენერალური დირექტორი ჯერ თავად ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დადებით პასუხს ვერ მიიღებს, მოქმედების არეალს გააფართოვებს და უკვე უეფასა და ფიფას ჩააყენებს საქმის კურსში. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, თავად მიატოვიჩის განცხადებას გაგაცნობთ: *"უდავოა, რომ მსგავსი რამ შემთხვევით არასოდეს მოხდება. შეუძლებელია, ტურიენსო ალვარესი ყოველ ეპიზოდში შემცდარიყო. არა, ის არ შემცდარა, მსაჯი ყველაფერს განგებ აკეთებდა. ამ სიტუაციაში, ჩვენ გულზეხელდაკრეფილები ვერ ვიჯდებით. რაოდენ ძნელი და დამღლელიც არ უნდა იყოს, არ დავნებდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ. სამეფო კლუბს პატივი უნდა სცენ და ასეთი რამ არ უნდა გაუბედონ."*

ამასობაში, ასპარეზზე **რაული** გამოვიდა და საზოგადოების წინაშე საკმაოდ მწვავე პრესკონფერენციით წარსდგა: *"ვგონებ, დროა, კლუბის ხელმძღვანელობამ კონკრეტულად მითხრას ჩემთან მიმართებაში რა გეგმები აქვთ. ყველამ იცის, აქ დარჩენა მსურს, მაგრამ დირექტორატის წინადადებას ვერ ველირსე. ბედნიერი ვიქნები, თუ პატივს დამდებენ და მეტყვიან, სურთ თუ არა გონსალეს ბლანკოსთან თანამშრომლობის გახანგრძლივება."*

**რამონ კალდერონმა** გადაწყვეტილება მალე უნდა მიიღოს, რადგან რაულის შეძენის სურვილი ერთბაშად რამდენიმე გუნდს გაუჩნდა. ყველაზე მეტად "ლივერპული" აქტიურობს. **რაფა ბენიტესმა** "წითელი ეშმაკების" ახალი მეპატრონეების თანხმობა უკვე მიიღო. ასე რომ, მათთვის ფული პრობლემა არ იქნება.



იურგენ კლინსმანი

სპეკულაციები

# კლინსმანი და ჩელსი: რა ხდება?

## მოურინიო დირექტორებს: ილაპარაკეთ, რომ მოვისვენო...



ჟოზე მოურინიო

კვირას "ჩელსიმ" "ბლექბერნს" მოუგო (2:1) და ასოციაციის თასის ფინალში გაალწია. ნამატჩევს **რომან აბრამოვიჩი** გასახდელში ჩავიდა და ყველას სათითაოდ მიულოცა წარმატება. მათ შორის, მთავარ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოსაც**. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეს მათი პირველი შეხვედრა იყო. "სანის" ცნობით, რუსი ოლიგარქი კმაყოფილებას ვერ მალავდა. მოგვიანებით მიმომხილველები მოურინიოს შეხვდნენ. კითხვაზე, როგორ ჩაიარა შეხვედრამ, მწვრთნელმა მიუგო:

*"რომანს ვესაუბრე. გადავეხვიე თუ არა? დიახ, გადავეხვიე კიდეც. მივულოცე და მანაც მომილოცა. სულ ეს იყო."*

იქამდე იყო მოურინიოს კომენტარი, რომელიც "ნიუს ოფ ზე უორლდმა" დაბეჭდა. ჟოზე საკუთარი მომავლის გარკვევას ითხოვდა, მე და ფანებს უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, ვიქნები თუ არა "ჩელსის" მწვრთნელი გაისადაც: *"მე ფეხბურთელებზე მეტს ვლაპარაკობ და მათ ნნეხისგან ვათავისუფლებ. თუ ხელმძღვანელობა ილაპარაკებს, მეც გამათავისუფლებდა ნნეხისგან და თავისუფლად მუშაობის საშუალებას მომცემდა. თუ ისინი ილაპარაკებენ, მე გავჩუმდები. ასე რომ, გთხოვთ, ილაპარაკოთ და დასვენების საშუალება მომცეთ. მწვრთნელები და ფეხბურთელები ვალდებულნი არიან, საზოგადოებას პრესის მეშვეობით ესაუბრონ. სხვებს ეს ვალდებულება არ აქვთ. ლაპარაკი მათი თავისუფალი არჩევანია. ფანებმა ჩემგან ყველაფერი იციან. მე მათ ვუთხარი, რომ დარჩენა მინდა. წარმოიდგინეთ, სეზონის ბოლოს რომ გამოვიდე და უცებ მივახალო, კარგად ბრძანდებოდეთ, მივდივარ! რას იფიქრებენ? რა თქმა უნდა, იტყვიან, რომ უსინდისო მატყუარა ვარ. მაგრამ მე ეჭვის საფუძველს ვსპობ. მეორასედ ვიმეორებ, რომ დარჩენა მინდა. ვფიქრობ, "ჩელსის" ქომაგებს ჩემი სჯერათ."*

"ბლექბერნთან" მატჩამდე მოურინიო **პიტერ კენიონს** შეხვდა. მწვრთნელმა დაადასტურა, რომ კონტრაქტის ერთგულია. კენიონმა კმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ აბრამოვიჩის სახელით, რაიმე გარანტიების მიცემისგან თავი შეიკავა. ის არც იყო უფლებამოსილი, აბრამოვიჩის სახელით ესაუბრა. განმუხტავს თუ არა დაძაბულობას პრეზიდენტისა და მწვრთნელის პირისპირ შეხვედრა? ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

■ ■ ■

ის, რომ ერთი მილოცვა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, „ბილდის" მასალაც მოწმობს. გერმანული ტაბლოიდი იუწყება, რომ აბრამოვიჩმა მოურინიოს შემცვლელად გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი **იურგენ კლინსმანი** შეიგულა. სტატიაში ვკითხულობთ: *"მიუხედავად იმისა, რომ მოურინიოს მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირის მოგება შეუძლია, თითქმის აღარავის სჯერა, რომ პორტუგალიელი გაისადაც ლონდონური გრანდის დამრიგებელი იქნება. კლინსმანსა და „ჩელსის" შორის პირველი მოლაპარაკებები უკვე შედგა: პარასკევს იურგენი ლოს ანჯელესში „ჩელსის" დირექტორ იუჯინ ტენენბაუმს შეხვდა."*

მიუხედავად იმისა, რომ „არისტოკრატების" პრესმდივანი **საიმონ ტეილორი** და კლინსმანის მრჩეველი **როლანდ აიტელი** ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ, „ბილდი" ირწმუნება, რომ კლინსი მოურინიოს შემცვლელად მოიაზრება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ კლინსმანი მთავარ მწვრთნელად მუშაობას არ მოისურვებს, მას შეუძლია, გუნდის გენერალური მენეჯერი გახდეს. რუსეთის ნაკრების თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** ამ თანამდებობაზე მუშაობა უკვე იუარა.

არსენალი. ტრანსფერები

# რიბერი 20 მილიონად

## ვენგერი ჟილბერტოს პარკერში ცვლის, ლემანს კონტრაქტი შესთავაზეს...

"მარსელი" **ფრანკ რიბერის** 20 მილიონ ევროდ გაყიდის. ეს ინფორმაცია კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ** გაავრცელა: *"არსებობს ზეპირი შეთანხმება: ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუშვებთ, თუ პირობები ყველას დააკმაყოფილებს, მაგრამ თუ ჩემპიონთა ლიგაში გავალთ, ფრანკს ახალ კონტრაქტს შევთავაზებთ."*

რიბერის "ბაიერნი" და "არსენალი" ეპატიჟებიან. ბრიტანული სააგენტოების მტკიცებით, ლონდონური გრანდი უპირობო ფავორიტია. **არსენ ვენგერი** 24 წლის ნახევარმცველს ორი წელია, აკვირდება. "მეთოფეების" თავკაცმა მისი შეძენა 2005 წელსაც სცადა, მაგრამ რიბერიმ "მარსელი" აირჩია.

"არსენალს" სხვა გეგმებიც აქვს. ვენგერმა გადაწყვიტა, **სკოტ პარკერის** სანაცვლოდ "ნიუკასლს" **ჟილბერტო სილვა** შესთავაზოს. ბრაზილიელი საინტერესო შეთავაზებების განხილვას აპირებს. მას კონტრაქტის გაგრძელებას მხოლოდ ერთი წლით სთავაზობენ. ფეხბურთელი კი მინიმუმ ორწლიან შეთანხმებას ითხოვს. ჯორდები ჟილბერტოს სამწლიან ხელშეკრულებასაც სიამოვნებით დაუდებდნენ. ვენგერი თანახმაა, ფეხბურთელის გარდა, კიდევ რამდენიმე მილიონი გადაიხადოს.

ამასობაში, "არსენალმა" **იენს ლემანს** ახალი კონტრაქტი შესთავაზა. გერმანელ გოლკიპერს "ემირიტსზე" დარჩენა 2008 წლის ივნისამდე შეუძლია. ლემანი ორწლიან ხელშეკრულებას ითხოვდა. კლუბმა მისი სურვილი არ გაითვალისწინა. იენსი გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს. ის ამბობს, რომ "არსენალში" დარჩენა უნდა.



ფრანკ რიბერი

### მარკა: კლოზე ბარსელონას მოურიგდა

ამასობაში ესპანურმა „მარკამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „ბარსელონის" ხელმძღვანელები უკვე შეუთანხმდნენ **მიროსლავ კლოზეს** და ტრანსფერი გაჩარჩულად ჯერ იმიტომ არ ცხადდება, რომ კატალონიური კლუბი „ვერდერს" მიროს ფასზე უნდა მოურიგდეს. ხსენებული ესპანური გამოცემის ცნობით, "ბარსას" „ვერდერისთვის" 5 მილიონ ევროზე მეტის გადახდა არ სურს. შეგახსენებთ, რომ მიროსთვის საბრძოლველად „ბაიერნიც" მზადაა. რეკორდმაისტერის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ამას წინათ თქვა, საკმარისია, მიროშ გვაგრძნობინოს, რომ ჩვენთან გადმოსვლა უნდა და მაშინვე საქმეს მივხედავთო.

### ბელეტი ერთი თვე დაისვენებს

"მალიორკასთან" მოპოვებული გამარჯვება ბარსელონელთაგან ყველაზე ძვირად **ჟულიანო ბელეტის** დაუჯდა. ბრაზილიელ მცველს შეხვედრის მიწურულს მარცხენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა. კატალონიური გრანდის სამედიცინო შტაბის ცნობით, ბელეტის ერთთვიან იძულებით შვებულებაში გასვლა მოუწევს. აღსანიშნავია, რომ ჟულიანო თამაშში 81-ე წუთზე ჩაერთო. მან **ძამბროტა** შეცვალა და რამდენიმე წუთში ასეთი უბედურება შეემთხვა. სხვათა შორის, უიღბლობა ამ ფეხბურთელის თანამგზავრად იქცა. სამხრეთამერიკელმა მცველმა "მალიორკასთან" მატჩამდე ორი კვირა აქილევსის ქუსლის ტრავმის გამო, ლაზარეთში გაატარა.

### კანმა კალცის რეკორდი დაამხო

„ლევერკუზენთან" მოგებული მატჩით, „ბაიერნის" კაპიტანმა **ოლივერ კანმა** ლეგენდარული **მანფრედ კალცის** რეკორდი გააუმჯობესა. ეს ოლისთვის რიგით 292-ე გამარჯვება გახლდათ ბუნდესლიგაში (528 თამაშში). შაბათამდე კანი მოგებული თამაშების რაოდენობით კალცთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა, ახლა კი ერთპიროვნული რეკორდსმენია. სხვათა შორის, მესამე და მეოთხე ადგილებს **ლოთარ მათეუსი** და **ზეპ მაიერი** იყოფენ – თითოეულმა მათგანმა ბუნდესლიგაში 249 გამარჯვება იზეიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანკ რიიკაარდთან

# ბარსელონას შემართება არ აკლია

## მწვრთნელი არ უარყოფს, რომ პენალტის ეპიზოდში ვალდესი წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ დაინდეს და მანაც გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი მოიგერია...

**პრიმერა დივიზიონის** გასული ტური "ბარსელონისთვის" უაღრესად სასიკეთო აღმოჩნდა. მართალია, რონალდინიოს ტრავმამ კატალონიელებს პრობლემები შეუქმნა, მაგრამ "მალიორკას" მაინც გამოგლიჯეს გამარჯვება. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე ხავიერ სავიოლას მიერ წამოწყებული იერიში ნავაროს ავტოგოლით დასრულდა. ამ გამარჯვებისა და კონკურენტების წაფორხილების წყალობით, "ბარსელონამ" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში პოზიციები გაიუმჯობესა. ფრანკ რიიკაარდის შეგირდები "სევილიას" ოთხი ქულით უსწრებენ, სამეფო კლუბს კი ხუთით. ჰოლანდიელი სპეციალისტი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა. გუშინ მოწყობილ პრესკონფერენციაზე რიიკაარდმა სხვადასხვა საინტერესო საკითხზე ისაუბრა.

**- ფრანკ, გილოცავთ, "ბარსელონამ" სოლიდური სხვაობით დაწინაურება შეძლო. ცხადია, ძალიან კმაყოფილი ხართ.**

- კმაყოფილება, რა თქმა უნდა, არ მაკლია. სასიხარულოა, რომ მოვიგეთ, თუმცა ვერ ვიტყვი, სოლიდური სხვაობით დავწინაურდით-მეთქი. "სევილიას" მხოლოდ ოთხი ქულით ვუსწრებთ, "რეალს" კი ხუთით. ეს, გარკვეული უპირატესობა კი არის, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მობილიზებულნი უნდა ვიყოთ. თუ წავიფორხილებთ, კონკურენტები წამოგვეწევიან.

**- "მალიორკასთან" მატჩში შედეგის გარდა რა მოგეწონათ?**

- კარგი კითხვაა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შედეგით გავიხარე (იცინის). გარდა ამისა, შეგირდების თავდადებით მოვიხიბლე. ბიჭებმა მთელი მონდომებით ითამაშეს. ყველაფერი ამით იწყება და სრულდება. თუ აქტიური და მოტივირებული არ ხარ, არაფერი გამოგივა. მსურს, შეგირდებს გულითადი მადლობა გადავუხადო. შევამჩნევდით, რომ გულშემატკივრებიც კმაყოფილები დარჩნენ.

**- მაგრამ გოლის გატანა საკმაოდ გაგიჭირდათ. "ბარსელონა" "მალიორკის" დაცვის ბარიერების გადალახვას ვერ ახერხებდა...**

- რას ნიშნავს გოლის გატანა უჭირდა? ეს არ არის ის საყვედური, რომელიც "ბარსელონის" მისამართით უნდა გამოითქვას. ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გუნდი ვართ. ჩაიხედეთ ცხრილში და დარწმუნდებით, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ვამბობ. მეტოქის დაცვას რაც შეეხება, მოგახსენებთ, რომ "მალიორკა" კარის უსაფრთხოებას დიდ ძალისხმევას ახმარდა. ზოგადად პრობლემურია, როცა დაცვაში ათი კაცით თამაშობენ. ახლა ამაზე საუბარი უაზრობაა, მთავარია, რომ მოვიგეთ და "ბარსელონამ" დიდი შემართებით იბრძოლა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს გუნდს სარაგოსაში სწორედ ეს შემართება აკლდა?**

- არსებობს დღეები, როცა შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ამჟღავნებ. სარაგოსაში სწორედ ასეთი მატჩი გვქონდა. გული დაგვწყდა, რომ წავაგეთ, მაგრამ არაბუნებრივიც არაფერი მომხდარა. მერწმუნეთ, წლევანდელ "ბარსელონას" შემართება არ აკლია. იშვიათი გამონაკლისებით საერთო სურათი არ იცვლება.

**- რას ნიშნავს "მალიორკასთან" მოპოვებული სამი ქულა, პრიმერა დივიზიონში გამარჯვებას?**

- მეგონა, სათქმელი უკვე გითხარით და ყველაფერი კარგად გაიგეთ. ჩემპიონობაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ქულები მოვიპოვეთ, რომელთა წყალობითაც დასახული მიზნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიეთ. ამ გამარჯვებას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ორმაგად ძვირი ფასი ჰქონდა. დაუშვებელი იყო, რომ ვერ მოგვეგო.

**- შესამჩნევი იყო, რომ უჩვეულოდ ბევრს ნერვიულობდით. ასეთი აღელვებული ლივერპულშიც კი არ იყავით...**

- ვნერვიულობდი, რადგან საგოლე მომენტები უშედეგოდ სრულდებოდა. შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე 100-პროცენტიანი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. დრო კი გადიოდა. როგორც გითხარით, ქულების დაკარგვა დაუშვებელი იყო. ამ სიტუაციაში სიმშვიდეს ვერავინ შეინარჩუნებს.

**- თქვენს გამარჯვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი "სევილიისა" და "რეალის" დამარცხება იყო. ელოდით მათ წაგებას?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მათ წაგებაზე ვოცნებობდი. მადლობა ღმერთს, სურვილი ამისრულდა. რა თქმა უნდა, კონკურენტების წარუმატებლობამ "მალიორკასთან" მიღწეულ გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი შესძინა.

**- მარკესი ჩავის პოზიციაზე რატომ ათამაშეთ?**

- რაფასთვის ეს ამპლუა უცხო სულაც არ არის. გასულ სეზონში ის თითქმის ყოველთვის საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ. მარკესის კარგი თამაშის წყალობით, გუნდის შემტევი პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვფიქრობ, სწორი ჩანაფიქრი იყო. მექსიკელმა იმედები მთლიანად გაამართლა. ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**- უკლებლივ ყველა მიმომხილველი აღნიშნავს, რომ "ბარსა" შარშანდელივით შთამბეჭდავად ვერ თამაშობს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? პრინციპში, ამ თვალსაზრისით გუშინაც არაფერი შეცვლილა. მოიგეთ, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ სანახაობრივი ფეხბურთი შემოგვთავაზეთ.**

- "ბარსელონას" ყველა სხვა კლუბისგან ერთი გარემოება განასხვავებს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, სანახაობრივი მხარე არ დავივიწყოთ და ლამაზი თამაშით მოვიგოთ. ადამიანი მუდამ თანაბრად პროდუქტიული ვერ იქნება. მაგალითად, სამსახიობო საქმე ავიღოთ. არტისტი ნებისმიერ სპექტაკლში ერთნაირად გასაგიჟებლად ვერ თამაშობს. მთელი სეზონის განმავლობაში მას მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებული სპექტაკლი აქვს. თუ "ბარსელონას" სხვა გუნდებს შევადარებთ, ვერავინ გვისაყვედურებს, რომ უსახურად ვასპარეზობთ. ამ მიმართულებით ჩვენ დღესაც საუკეთესოები ვართ. რაც შეეხება "მალიორკასთან" გამოაშკარავებულ ხარვეზებს, შეგახსენებთ, რომ რონალდინიო გვაკლდა. ბრაზილიელის პასების წყალობით, მეტოქეები ზონების გაკონტროლებას ველარ ახერხებენ და ფეხბურთიც უფრო სანახაობრივი ხდება.

**- როგორ ფიქრობთ, "მალიორკას" წარმატებული შეცვლების წყალობით მოუგეთ?**

- შეცვლაზე შესულმა ბიჭებმა საოცრად პოზიტიური როლი შეასრულეს, მაგრამ გამარჯვებას მხოლოდ მათ ვერ მივაწერ. სამი ქულა მთელი გუნდის მონაპოვარია. ამ საქმეში უკლებლივ ყველას მიუძღვის წვლილი.

**- გრეგორიო მანსანოს თქმით, ხონას გუტიერესის წაქცევისთვის მხოლოდ 11-მეტრიანის დანიშვნა საკმარისი არ იყო. მისი აზრით, ვიქტორ ვალდესი წითელი ბარათით უნდა დაესაჯათ. ძნელია "მალიორკის" დამრიგებელი გაამტყუნო. ვალდესი არ გააგდეს და მან პენალტი მოიგერია...**

- ვერაფერს გეტყვით, გადაწყვეტილებებს მსაჯი იღებს. გულწრფელად გითხრათ, მეგონა, ვიქტორს გააძევებდა, მაგრამ ასე არ მოიქცა. რა თქმა უნდა, პროტესტი არ გამომითქვამს (იცინის). ვალდესმა იყოჩაღა, პენალტის მოგერიება მეკარეს შესანიშნავად ახასიათებს.

**- სამსაჯო შეცდომები უაღრესად აქტუალურ თემად იქცა. გეცოდინებათ, რომ "რასინგთან" მატჩში სამეფო კლუბი სასტიკად დაჩაგრეს. ტურიენსო ალვარესმა "რეალის" კარში ორი გამოგონილი პენალტი დანიშნა. ამბობენ, დედაქალაქელებს მიზანმიმართულად ებრძვიანო...**

- მე რატომ მეკითხებით?

**- იმიტომ, რომ ამ საქმეში "ბარსელონის" კვალზეც საუბრობენ...**

- რიგორ გავიგოთ, მსაჯებს ფულს ვუხდით? იმედია, ამდენად არასერიოზული არავინაა. შეთქმულებების არ მჯერა. "რეალს" იმდენი ავტორიტეტი მაინც აქვს, რომ მიზანმიმართულად ბრძოლა ვერ გაუბედონ. არ ვიცი, ამ თემაზე საუბარი ჩემს კომპეტენციაში არ შედის. მომიტევეთ, მაგრამ მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

**- სეზონის დასკვნით მონაკვეთში ყველაზე დიდ წინააღმდეგობას რომელი გუნდისგან ელით, "რეალისა" თუ "სევილიისგან"?**

- ნათელია, რომ ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოლებს, ისევე როგორც ჩვენ. სხვათა შორის, საჩემპიონო აბიციებზე "ვალენსიასაც" არ უთქვამს უარი. კიკე სანჩეს ფლორესის გუნდმა "სევილიის" დამარცხებით სერიოზული განაცხადი გააკეთა. მოკლედ, სეზონის ბოლოს საინტერესო შეხვედრებს ვიხილავთ.

**- რატომღაც მეჩვენება, რომ ბოლომდე გულწრფელი არ ხართ. იქნებ გულახდილად გვითხრათ, "ბარსელონის" თამაშის ხარისხი თქვენს საფეხბურთო გემოვნებას ბოლომდე აკმაყოფილებს?**

- (იცინის) "ბარსას", რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი შეხვედრებიც ჩაუტარებია, მაგრამ რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ ჩვენი მეტოქეები არა იმპოტენტები, არამედ მებრძოლი, ძლიერი მამაკაცები არიან. ისინი იოლად არაფერს გვითმობენ.

**- დეკუს თამაშს როგორ შეაფასებთ?**

- დეკუ გენიალური იყო. ბურთი თითქმის არ დაუკარგავს. რაც მთავარია, პორტუგალიელს გასაოცარი მენტალობა აქვს. ის არასოდეს ნებდება.

**- დასასრულს, სავიოლაზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა...**

- ხავიერი გოლების გასატანადაა დაბადებული. მართალია, ნავაროს ავტოგოლი ჩაუთვალეს, მაგრამ ის შეტევა ხომ "ბაჭიას" ორგანიზებული იყო. მისით ძალიან კმაყოფილი გახლავართ.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ფრანკ რიიკაარდი

სკანდალური არბიტრი

# ჰოიცერს ზარალის ანაზღაურება მოუწევს

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირი სკანდალურად ცნობილი არბიტრის, **რობერტ ჰოიცერისაგან** ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. იურისტები ამზადებენ სარჩელს, რომელშიც ჰოიცერის ქმედებით მიყენებული ზიანი 1.8 მილიონ ევროდ იქნება შეფასებული. მოგეხსენებათ, ამ მსაჯს ბრალად ედება 2005 წელს მთელი რიგი მატჩების ჩაწყობა ტოტალიზატორების სასარგებლოდ. ის გასამართლებულია და ორწლინახევრიან სასჯელს იხდის. საფეხბურთო კავშირში განმარტავენ, რომ 1.8 მილიონ ევრო მოიცავს ჰოიცერის ანაზღაურებას, სასამართლოს ხარჯებს, აგრეთვე იმ თანხას, რომელიც გერმანული ფეხბურთის მამებმა "ჰამბურგს" უსამართლოდ წაგებული სათასო მატჩის ("პადერბორნთან" 2:4, რომლის დროსაც ჰოიცერმა "ჰამბურგის" კარში ორი პენალტი დანიშნა და მას ორი ფეხბურთელი გაუძევა) გამო გადაუხადეს.

ჰოიცერის სკანდალი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ. მსაჯმა ცხრა მატჩის ჩაწყობა და გასამრჯელოდ 67 ათასი ევროს მიღება აღიარა. დანაშაულებრივი სინდიკატის მოთავე, ხორვატიის მოქალაქე **ანტე საპინაც** მსჯავრდებულია და თავისუფლებას მხოლოდ 2 წლისა და 11 თვის შემდეგ ეღირსება.



რობერტ ჰოიცერი

იუვენტუსი

# კამორანეზი 2010 წლამდე?

## ფრინგსიც ტურინშია, რას მოიტანს პირველი მოლაპარაკებები...

**იტალიური** პრესის თანახმად, "იუვენტუსი" მზადაა, **მაურო ხერმან კამორანეზის** კონტრაქტი 2010 წლამდე გაუგრძელოს. როგორ ცნობილია, იტალო-არგენტინელს ზაფხულში სერია B-ში დარჩენა არ სურდა და აგენტთან ერთად წასვლისთვის ყველაფერი იღონა, მაგრამ ხელშეკრულება 2009 წლამდე ჰქონდა და "იუვენტუსმაც" გააკეთა ის, რისი იურიდული უფლებაც ჰქონდა: კლუბმა კამორანეზის ტრანსფერი დაბლოკა, თუმცა ფეხბურთელს სიტყვიერად შეუთანხმდა, რომ თუ ერთი სეზონის შემდეგ წასვლის სურვილი ისევ ექნებოდა, ხელს აღარ შეუშლიდა. ჩანს, რომ "ბებერ ქალბატონს" კამორანეზი გასაშვებად არ ემეტება და მის მოხიბვლას გაუმჯობესებული პირობებით ცდილობს. თავის მხრივ ფეხბურთელმაც შეარბილა პოზიცია და აღარ არის ისეთი კატეგორიული, როგორიც თუნდაც სამი თვის წინ იყო, როცა იძახდა, ტურინში დამრჩენი არ ვარო. საუბარი ახლა ახალ სამწლიან კონტრაქტზეა, რომლის მიხედვითაც ნახევარმცველი წელიწადში 3,5 მილიონ ევროს მიიღებს. ფეხბურთელის აგენტ **სერჯო ფორტუნატოს** ტურინულ კლუბში მომავალ კვირაში ელიან, სადაც საბოლოო დეტალებზე იქნება საუბარი.

კამორანეზი "იუვეს" ბოლო შეხვედრის მთავარი გმირი იყო. მისი გოლითა და ორი საგოლე პასით მოიგეს ტურინელებმა შაბათს ლეჩეში 3:1. შედეგიანი თამაშის გარდა, 30 წლის ნახევარმცველმა მაყურებელს თავი ბევრი ესთეტური ნომრითაც დაამახსოვრა.

გავაგრძელოთ ტურინული თემა. „ვერდერის" გულშემატკივრები, წესითა და რიგით, გახარებულები უნდა იყვნენ – მათმა საყვარელმა გუნდმა კვირას დორტმუნდის "ბორუსიას" 2:0 მოუგო და „შალკეს" არ ჩამორჩა. "მუსიკოსები" კვლავაც ბუნდესლიგის ფავორიტებად რჩებიან, მაგრამ ქომაგებს სანერვიულო არ ელევათ. სპეკულაციები **მიროსლავ კლოზესა და ტორსტენ ფრინგსის** მოსალოდნელი აბარგების შესახებ დღითიდღე რეალური ხდება.

იმ დროს, როცა დორტმუნდში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, კლოზემ სამომავლო გეგმების შესახებ არანაირი კომენტარის გაკეთება არ ისურვა, ფრინგსმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს პირდაპირ უთხრა, ხვალ ტურინში მივემგზავრები, რათა „იუვენტუსის" მიერ შემოთავაზებულ პირობებს გავეცნო, კლუბის ბაზა მოვინახულო და მოკლედ, „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელებთან პირველი მოლაპარაკებები გავმართოო. *„ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და გადავწყვეტ, გავაგრძელო თუ არა კარიერა „იუვენტუსში"*, - აცხადებს 30 წლის საყრდენი ნახევარმცველი. შეგახსენებთ, რომ ტორსტენს გერმანიის ნაკრებში 66 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგაში კი 294 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (32 გოლი). „ვერდერის" გარდა ის „ბაიერნისა" და დორტმუნდის „ბორუსიის" ღირსებას იცავდა.



ტორსტენ ფრინგსი ტურინის სასტუმროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სისე ნიუ იორკისკენ

ნიუ იორკის "რედ ბულმა" ჯიბრილ სისეს კონტრაქტი გაუმზადა. ფრანგი თავდამსხმელი "ლივერპულის" საკუთრებაა, მაგრამ მიმდინარე სეზონს იჯარით "მარსელში" ატარებს. მისი ფრანგული კარიერა არ აეწყო. საეჭვოა, "ოლიმპიკმა" ხელშეკრულების გაგრძელება მოისუროვს. ფეხბურთელის გამოსყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. "ლივერპულს" კი სისე არ სჭირდება. ამერიკული მხარე ასევე საიჯარო კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. 25 წლის სისეს პოზიცია უცნობია.

## ულიე ლიონში რჩება

ჟერარ ულიე "ლიონში" დარჩება. პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** განაცხადა, რომ საკითხი გადაწყვეტილია. მას წარმოდგენა არ აქვს, რატომ გაჩაღდა სპეკულაციები მწვრთნელის მოსალოდნელი აბარგების შესახებ. "ლივერპულის" ყოფილი ბოსი "ლიონში" 2005 წლის ზაფხულში დაინიშნა და გუნდს ზედიზედ მეხუთე საჩემპიონო ტიტული მოუტანა. "ლიონი" მეექვსე ტიტულსაც დღე-დღეზე გაიფორმებს. ულიეს შეგირდებს უახლოესი მდევრისაგან 17 ქულა აშორებთ. მაგრამ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნისა (რომასთან) და საფრანგეთის ლიგის თასის ფინალში დამარცხების (ბორდოსთან) გამო ულიეს მაინც აბარგება უწინასწარმეტყველეს. პრეზიდენტმა ოლამ გულშემატკივრებს აუწყა, რომ ახალ კონტრაქტებს გააფორმებენ წამყვანი ფეხბურთელები, **ჟუნინიო პერნამბუკანო** და **გრეგორი კუპეც**.

## ბორუცი: მესამე სელტიკელი ასტონ ვილაში?

"ასტონ ვილა" "სელტიკის" მეკარე **არტურ ბორუცს** ეპატიჟება. **მარტინ ონილმა** თავისი ყოფილი კლუბიდან ორი ფეხბურთელი - **სტილიან პეტროვი** და **შონ მელონი** შეიძინა. ბორუცი, შეიძლება, მესამე გახდეს. ის ბირმინგემში, ერთ-ერთ კალენდარულ მატჩზე დაპატიჟეს. მოლაპარაკებებს ის აგენტი უძღვება, რომელმაც პეტროვისა და მელონის ტრანსფერები სრულყო. ბორუცს გლაზგოური კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. "ვილას" მისი შეძენა 4 მილიონი გირვანქა დაუჯდება. სპეკულაციების თანახმად, პოლონელ გოლკიპერს "ბაიერნიც" ეპატიჟება. ბირმინგემელთა დღევანდელ კიპერ **ტომას სორენსენს** ხელშეკრულება 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება. მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ.

## კარპეჯანიმ კორინთიანსი ჩაიბარა

"კორინთიანსს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. კლუბმა, რომელმაც შარშანდელი სეზონი მეცხრე ადგილზე დაასრულა, **ემერსონ ლეაოს** კარისაკენ მიუთითა. მისი ადგილი **პაულუ სეზარ კარპეჯანიმ** დაიკავა. პარაგვაის ნაკრების ყოფილი თავკაცი კორინთელთა მერვე მწვრთნელი გახდა ბოლო ორ წელიწადში.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სენსაცია: ოუენი მანჩესტერში?

### ეშმაკებს ნიუკასლელი თავდამსხმელი 12 მილიონი დაუჯდებათ...

"ნიუს ოფ ზე უორლდმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა, "მანჩესტერ იუნაიტედი" **მაიკლ ოუენის** შეძენას აპირებსო. 27 წლის თავდამსხმელის ფასი მისივე კონტრაქტითაა განსაზღვრული - 12 მილიონი გირვანქა. ოუენს შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ უთამაშია. მუხლის უმძიმესი ტრავმის შემდეგ მას სამი ოპერაცია გაუკეთეს. მაიკლმა ვარჯიში ახლახან დაიწყო და ერთი კვირის წინ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ზოგიერთი პროგნოზით, ის მომავალ უქმეებზე "ჩელსისთანაც" ითამაშებს. თუ **ფერგიუსონი** დარწმუნდება, რომ ის ჯანმრთელია, "ნიუკასლს" გარიგებას შესთავაზებს. "მენიუსთან" დაახლოებული სანდო წყარო ამბობს: *"სერ ალექსს თავდამსხმელის შეძენა სურს. ბუნებრივია, რომ როცა ამ დონის ფორვარდი ასეთ ფასად იყიდება, ინტერესს აღძრავს. გვსურს, დავრწმუნდეთ, რომ მაიკლი საბოლოოდ განიკურნა. მას საგულდაგულოდ დავაკვირდებით."*

ოუენი "ნიუკასლში" 2005 წლის ზაფხულში, 16 მილიონ გირვანქად გადავიდა, მაგრამ ტრავმების გამო თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. ჯორდები მას გვერდში დაუდგნენ. ამ ფონზე, გამოჯანმრთელებისთანავე მანჩესტერში წასვლა უმადურობაც კი იქნებოდა, მაგრამ საეჭვოა, მაიკლმა "იუნაიტედში" თამაშის შანსი ხელიდან გაუშვას. ივნისში ინგლისი ესტონეთთან საკვალიფიკაციო შეხვედრას ჩაატარებს. ოუენს იმ თამაშში მონაწილეობაც სურს.



მაიკლ ოუენი



ჰუუბ სტევენსი და რაფაელ ვან დერ ვაარტი

ჰამბურგი

# ევროპა ნადირობს ვან დერ ვაარტზე

### ვან ბუიტენი რაფაელს მიუნხენში ეპატიჟება...

ის, რომ „ჰამბურგმა" გასავარდნ ზონას თავი დააღწია და უკვე მეტ-ნაკლებად მშვიდობიან გარემოში (მე-11 ადგილი, 35 ქულა) იმყოფება, პირველ რიგში ახალი მწვრთნელის, **ჰუუბ სტევენსისა** და გუნდის ლიდერის, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** დამსახურებაა. შავ სიაში, ყველაზე უკეთეს პირობებში მყოფ „არმინიას" HSV 5 ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდის ხელმძღვანელებს შეუძლიათ, ყურადღება დროებით მაინც სამომავლო გეგმებზე გადაიტანონ.

"ჰამბურგის" ფეხბურთელთაგან ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, მუდმივად ვან დერ ვაარტია მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელ ნახევარმცველს ჩრდილოგერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, "ჰამბურგის" ხელმძღვანელებს ზაფხულში მაინც დიდი ნერვიულობის გადატანა მოუხდებათ, რადგან „ბილდი" გვამცნობს, რომ რაფაელზე თითქმის ნახევარი ევროპა ნადირობს. ხსენებული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყველაზე მეტად ესპანური და ინგლისური კლუბები აქტიურობენ. ვან დერ ვაარტით დაინტერესებულ კლუბებს შორისაა „ვალენსია", „სევილია", „ტოტენჰემი" და „ევერტონი" – „ბილდის" ცნობით, ხსენებული კლუბების სკაუტები ჰოლანდიელს რეგულარულად აკვირდებიან.

ამასთან ერთად, ცნობილია, რომ რაფაელის ხელში ჩაგდება „ბაიერნის" შეფებსაც სურთ, თუმცა რამდენჯერაც ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადეს, „ჰამბურგიდან" რეგულარულად ალიყურებს ილებდნენ, ვან დერ ვაარტი არ იყიდებაო. რამდენიმე დღის წინ ეს თემა კიდევ ერთხელ წამოსწია მიუნხენური გიგანტის მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა**, რომელიც რეკორდმაისტერში ზაფხულში გადავიდა, მანამდე კი ვან დერ ვაარტთან ერთად „ჰამბურგის" ღირსებას იცავდა. *„ბაიერნი" რაფაელისთვის იდეალური გუნდი იქნებოდა,"* – განაცხადა ვან ბუიტენმა.

„ჰამბურგის" ბოსებმა კარგად იციან, რომ ვან დერ ვაარტს უამრავი მთხოვნელი ჰყავს. სწორედ ამიტომ, HSV-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანი** და სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი** ფეხბურთელის მრჩეველ **სიორენ ლერბის** შეხვდნენ და კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელებაზე ჩამოუგდეს სიტყვა. მათ სურთ, რომ ვან დერ ვაარტმა ახალი ხელშეკრულება გააფორმოს, რომელსაც ვადა 2012 წლამდე ექნება. ასე ჰოფმანი და ბაიერსდორფერი უფრო მშვიდად იქნებიან.

*"არაერთხელ მითქვამს, რომ მომდევნო წლებში სიამოვნებით ვითამაშებ „ჰამბურგში,"* - ეს თვითონ 24 წლის ვან დერ ვაარტის სიტყვებია, რომელიც იქვე ამატებს, - *„თუმცა საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ოდესმე ევროპის რომელიმე გრანდში თამაში მინდა."* ანუ, „სევილიას", „ტოტენჰემს" და ამგვარ გუნდებს ისევ HSV-ში ყოფნა ურჩევნია...

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი

# მაგათი: ბაიერნში გული მატკინეს

### დესპოტი ფელიქსი უცხოეთზე ფიქრობს, მაგრამ ჰერტაშიც დიდი სიამოვნებით იმუშავებდა...



ფელიქს მაგათი

მას შემდეგ, რაც „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა **ფელიქს მაგათი** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად რეკორდმაისტერის მწვრთნელად ისევ **ოტმარ ჰიტცფელდი** დააბრუნეს, ორთვენახევარი გავიდა. ერთადერთი, რასაც ბავარიულმა გიგანტმა მაგათის გათავისუფლების შემდეგ მიაღწია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან მადრიდის „რეალის" გაგდება იყო. სხვა მხრივ კი, ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა – მართალია, მიუნხენელები ჰიტცფელდის ხელში გაცილებით სტაბილურად ათამაშდნენ, მაგრამ ბუნდესლიგაში ისევ საუკეთესო სამეულს მიღმა არიან, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან კი გავარდნენ.

ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბრისას მაგათმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ის დღე, როცა მას კარისკენ მიუთითეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დესპოტმა ფელიქსმა" „ბაიერნის" ბოსებს კბილი გაჰკრა. *„მათ შეეძლოთ, რომ ჩემთვის მხარი დაეჭირათ და ფეხბურთელები, რომლებიც აღარ მიჯერებდნენ და აღარ მომყვებოდნენ, მკაცრად დაეტუქსათ, მაგრამ ასე არ მოიქცნენ, რამაც ძალიან გამაკვირვა და გული დამწყვიტა,"* – უთხრა 53 წლის მწვრთნელმა გამოცემა „მიუნხენერ მერკურის" კორესპონდენტს და კითხვაზე, გაბრაზდა თუ არა „ბაიერნის" ფუნქციონერებზე, მან ასეთი პასუხი გასცა: *„ყველანაირად ვეცადე, რომ არ გავბრაზებულიყავი, მაგრამ არაფერი გამომივიდა."*

მაგათი პირდაპირ ამბობს, რომ გულდაწყვეტილია იმის გამო, რაც **ული ჰიონესმა** და **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** გაუკეთეს: *„იცით, ყველაზე მეტად რამ გამაბრაზა? ორი წლის მანძილზე ყველა ამბობდა, მაგათი „ბაიერნში" ძალიან კარგად მუშაობსო, მერე კი უცებ ალაპარაკდნენ, ფეხბურთელებს იშვიათად ესაუბრება და მათთან კონტაქტში არ შედისო. ხომ ხვდებით, აქ რაღაცაშია საქმე."* შეგახსენებთ, რომ ფელიქსმა „ბაიერნის" თავკაცად ორწელიწადნახევარი იმუშავა და პირველ ორ სეზონში რეკორდმაისტერს დუბლები შეასრულებინა (ორჯერ გახადა გერმანიის ჩემპიონი და ორჯერ მოაგებინა გერმანიის თასი). ფელიქსი აღიარებს, რომ პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა მომხდართან შეგუება, გული მტკიოდა, როცა ჩემს გუნდს ტელევიზორში ვუყურებდიო.

დღესდღეობით ფელიქსი სატელევიზიო ექსპერტია, მან ჰიტცფელდის თანამდებობა დაიკავა. მომავალი სეზონიდან კი ისევ მწვრთნელად სურს მუშაობა. ამბობს, უმჯობესი იქნება, თუ ძალებს გერმანიის საზღვრებს გარეთ, რომელიმე გრანდში მოვსინჯავო. *„ვიმედოვნებ, რომ ზაფხულში არაერთი შემოთავაზება მექნება, ოღონდ ყველამ უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ამბიციური გუნდების წინადადებებს განვიხილავ, გუნდებისა, რომლებიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან. თუ არაფერი გამოვა, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ მუშაობა გერმანიაში გავაგრძელო."*

ამასთან მაგათი აკონკრეტებს, რომ სიამოვნებით იმუშავებდა ბერლინის „ჰერტაში": *„ეს ისეთი გუნდია, რომელსაც უარს ვერასდროს ვეტყვი, მაგრამ ბერლინიდან ჯერ არავის დაურეკავს."* შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში „ჰერტას" ბოსებმა **ფალკო გიოტცი** დაითხოვეს და გუნდი სეზონის ბოლომდე მოყვარულთა თავკაც **კარსტენ ჰაინეს** ჩააბარეს. თუმცა ცხადია, რომ „ჰერტას" მომავალი სეზონისთვის მაგათის დარი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დასჭირდება. დედაქალაქელთა შეფი **დიტერ ჰიონესი** ამბობს, რომ სანამ სეზონი არ დამთავრდება, მოლაპარაკებებს არცერთ მწვრთნელთან არ დაიწყებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პიტერ კრაუჩთან

# კეთილი გიგანტი გიგანტური ამბიციებით

## ბავშვობაში კრაუჩი ჩელსის ფანი იყო, ახლა კი მის დასამარცხებლად ემზადება...

**ფეხბურთელისთვის შეუფერებელი აღნაგობისა და ცოტა მოუქნელობის მიუხედავად, ვერავინ უარყოფს, რომ პიტერ კრაუჩი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავია. ვარსკვლავები კი ტყუილად ვერ და არ ხდებიან. დაუღალავმა მუშაობამ მოედანზე და გადამწყვეტმა გოლებმა ორმეტრიანი თავდამსხმელი (მისი სიმაღლე 201 სანტიმეტრია) "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფიგურად აქცია. ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც ფიფას ყოველთვიურმა ჟურნალმა ინგლისელ ფორვარდს ჩამოართვა, ჟურნალისტი მას ასე ახასიათებს: "მოედნის მიღმა კრაუჩი კეთილი გიგანტია, მშვიდი, მეგობრული და უშუალო ხასიათით, მაგრამ ამის უკან მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალებზე ასვლის ამბიცია იმალება". გატეხილ ცხვირზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, 26 წლის ფორვარდი მოედანს 31 მარტს "არსენალთან" შესრულებული ბრწყინვალე ჰეთ-თრიკით დაუბრუნდა. ამის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში პსვ-ს გაუტანა და ახლა ნახევარფინალში "ჩელსის" ელის. სწორედ სამომავლო გეგმებზე, მოტივაციასა და ოცნებებზე ისაუბრა ინგლისელმა ფიფასთან ინტერვიუში.**

**- მისტერ კრაუჩ, მოვლენები ისე ვითარდება, რომ 2007 წელი მნიშვნელოვანი წელიწადი უნდა იყოს პირადად თქვენთვისაც და თქვენი კლუბისთვისაც.**

- მართალია. ეინდჰოვენში დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად, განმეორებით შეხვედრას დიდი სიფრთხილით მივუდექით, რადგან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასული ნებისმიერი გუნდი პატივისცემას იმსახურებს. ახლა "ჩელსისთან" ინგლისური ნახევარფინალი გველის.

**- თქვენი აზრით, რომელი გუნდები არიან წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები?**

- ვფიქრობ, რომ ამ მომენტისთვის შანსები თანაბარია. ბევრი საუბარია იმაზე, რომ ინგლისური გუნდები ძალიან მოძლიერდნენ, მაგრამ, გასული წლებისგან განსხვავებით, ამჯერად აშკარა ფავორიტს ვერ ვხედავ. "ლივერპულს" რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ წელს ჩვენგან გაცილებით მეტს ელიან, ვიდრე 2005 წელს, როცა ყველაფერი მოულოდნელად მოხდა.

**- მოგვიყევით თქვენი პროფესიული კარიერის პირველ წლებზე. სანამ "ლივერპულში" მაღალ დონეზე გამოჩნდებოდით, ძალები ბევრ სხვა გუნდში გამოსცადეთ. რამდენად რთული იყო თქვენთვის ის პერიოდი?**

- ცხადია, ჩემს კარიერაშიც იყო პერიოდები, როცა ძალზე იმედგაცრუებული ვიყავი, მაგრამ არასდროს დამიკარგავს სურვილი, რომ თავი უკეთესად წარმომეჩინა და ჩემი შესაძლებლობები დამემტკიცებინა. უკან დახევასა და დანებებაზე არასდროს მიფიქრია. "ლივერპულში" გადმოსვლის შემდეგაც მქონდა პერიოდი, როცა გოლები ვერ გამქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გატანა შევძელი, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შემეძლო, დაძაბულობისგან გავთავისუფლებულიყავი და ფეხბურთით სიამოვნება მიმეღო. მას შემდეგ სულ ასეა, ასეთი დამოკიდებულების წყალობით გაცილებით უკეთეს შედეგებს ვაღწევდი და ვაღწევ.

**- წარსულში ბევრ, ღარიბი ოჯახიდან წამოსულ თავდამსხმელს უთქვამს, რომ გოლების გატანის სტიმულს უკეთესი ცხოვრების სურვილი აძლევდა. თქვენ, საშუალო კლასის ოჯახში აღზრდილ ფეხბურთელს, რა გაძლევთ მოტივაციას?**

- მე თავდავიწყებით მიყვარს ფეხბურთის თამაში, მოედანზე ყოფნა და გოლების გატანა. ჩემთვის მოედანზე გატარებული ყოველი წამი სიამოვნებაა, განსაკუთრებით დიდ შეხვედრებში, სადაც ჩემი კლუბისა და ნაკრების წყალობით, ხშირად მიწევს მონაწილეობა. ფეხბურთით სიამოვნების მიღებაა ის, რაც სტიმულს მაძლევს.

**- არჩეულ პროფესიაში წარმატებისთვის რომ ვერ მიგეღწიათ, ახლა რა საქმიანობით იქნებოდით დაკავებული?**

- თინეიჯერულ ასაკში სერიოზულად ვეკიდებოდი ჩოგბურთსაც, ასე რომ, ფეხბურთში არაფერი რომ არ გამომსვლოდა, ალბათ ჩოგბურთის გზას გავყვებოდი.

**- თქვენ საყოველთაო აღტაცებას იწვევთ "მაკრატელათი" გატანილი გოლებით, რაც ძალზე იშვიათი თვისებაა თქვენი სიმაღლის ფეხბურთელისთვის. ეს თანდაყოლილი ნიჭის შედეგია თუ სავარჯიშო მოედანზე გატარებული საათების?**

- რამდენიმე ასეთი გოლი წარსულშიც მქონდა გატანილი და როცა ეს უკვე გაკეთებული გაქვს, თავდაჯერება გემატება და არ გეშინია, რომ კარიერის განმავლობაში კიდევ და კიდევ სცადო. ასე დარტყმას მხოლოდ მაშინ ვცდილობ, როცა შესაფერისი მომენტი მეძლევა. ბავშვობაში ხშირად და დიდი დაკვირვებით ვუყურებდი უგო სანჩესისა და მარკ ჰიუზის თამაშს, ვიმახსოვრებდი მათ ბრწყინვალე გოლებს, მერე კი ვცდილობდი, რომ მიმებაძა.

**- გასული წელი გარდამტეხი იყო თქვენს პროფესიულ ცხოვრებაში. მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იყავით, მაგრამ შინ მაინც უტიტულოდ დაბრუნდით. რას განიცდის ასეთ დროს ფეხბურთელი?**

- ცხადია, რომ ჩვენთვის ეს დიდი იმედგაცრუება იყო, რადგან ვგრძნობდით, რომ საკმარისი რესურსი გვქონდა ტურნირის მოსაგებად. ამის მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებების წინააღმდეგ თამაში ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო. ყოველთვის ვოცნებობდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლი გამეტანა და ამ ოცნების ახდენა განსაკუთრებულად სასიამოვნო იყო.

**- თუ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 2010 წლის მუნდიალის თასით ხელში?**

- რა თქმა უნდა. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სურვილი სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში და გამარჯვებაა. ცხადია, ყველა სხვა ფეხბურთელიც იგივეს განიცდის, მაგრამ მე მართლა მაქვს ასეთი სურვილი. ვფიქრობ, ინგლისის ნაკრებს ყველა აუცილებელი პირობა აქვს იმისთვის, რომ 2010 წელს შინ მსოფლიო თასით დაბრუნდეს.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი, როგორც ფეხბურთელის ყველაზე ძლიერი მხარე?**

- გოლების გატანის უნარი. გარდა ამისა, კარგად ვფარავ ბურთს კორპუსით და ოპონენტებისთვის მისი წართმევა ძალიან ძნელი ხდება, თუმცა ჩემი საუკეთესო თვისება ისაა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას ვჩნდები და გოლი გამაქვს. სწორედ ესაა ის, რისი კეთებაც ყველაზე მეტად მსიამოვნებს.

**- თავისუფალ დროს ფეხბურთის ტელევიზიით ყურება თუ გიყვართ?**

- ფეხბურთს ხშირად ვუყურებ, თუმცა ხანდახან ვამჯობინებ, რომ ფეხბურთს გამოვეთიშო და სხვა რაღაცის კეთებით გავერთო. თუ ტელევიზორში რაიმე დიდი თამაშია, არავითარ შემთხვევაში არ გამოვტოვებ, მაგრამ თავისუფალი დრო თუ მაქვს, არასაფეხბურთო ინტერესების დაკმაყოფილებასაც ვცდილობ.

**- ფეხბურთის სამყაროს მიღმა თუ არის ვინმე, ვისთან შეხვედრასაც ისურვებდით?**

- ძალიან გამიმართლა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ პრინც უილიამთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა. ეს დაუვიწყარი მომენტი იყო. ახლა ვისურვებდი, რომ თვით დედოფალს შევხვდე.

**- ბავშვობაში რომელი გუნდის გულშემატკივარი იყავით?**

- ბავშვობაში ხშირად დავდიოდი "ჩელსის" თამაშებზე და საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ ამ გუნდის ფანი გავხდი. ბედის ირონიით, ახლა მათ წინააღმდეგ თამაში მიწევს, ისინი არიან ჩვენი მეტოქეები პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში. "ჩელსი" დიდი გუნდია და ორმაგად სასიხარულო იქნება მისი დამარცხება.

**- ბოლო შეკითხვა. კარიერის შემდეგ, როგორ ფეხბურთელად ისურვებდით, რომ გაგიხსენონ?**

- თავდამსხმელად, რომელმაც უამრავი გოლი გაიტანა და უამრავი ტიტული მოიგო "ლივერპულთან" ერთად, დაწყებული წლევანდელი ჩემპიონთა ლიგით.

**გოგა ახალაძე**



ლივერპულელები პიტერ კრაუჩს მორიგ გოლს ულოცავენ



მაურიციო ძამპარინი



ფრანჩესკო გვიდოლინი

პალერმო

# ძამპარინი გუიდოლინით უკმაყოფილოა

სერია A-ს ბოლოსწინა ტურში "პალერმომ" შინ "კალიარისთან" 1:3 წააგო, რის შემდეგაც სიცილიელთა პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** გამოაცხადა, დღეიდან **გუიდოლინი** ჩვენი მწვრთნელი აღარ არისო. თუმცა პრეზიდენტი მალე მიხვდა, რომ მწვრთნელის ამ ეტაპზე გაშვებას აზრი არ ჰქონდა და რაც არ უნდა მოხდეს, სეზონის ბოლომდე თანამდებობაზე დარჩებაო. ამის შემდეგ ძამპარინიმ, შერიგების ნიშნად, გუიდოლინი პალერმოს ერთ-ერთ რესტორანში სადილზე დაპატიჟა. რამდენიმესაათიანი საუბრის შემდეგ ორივემ განაცხადა, რომ ერთმანეთთან ყველაფერი გაარკვიეს და, რომ დარჩენილ შვიდ ტურს "პალერმო" ახალი ენერგიით დამუხტული ჩაატარებდა. ყველაფერი თითქოს გამართლდა. კვირას სიცილიური გუნდი "ინტერს" "სან სიროზე" ეწვია და პირველ ტაიმში 2:0 მოუგო, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ნახევარში თამაში შემოატრიალეს და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა. "ინტერთან" სტუმრად მიღწეული ქულა ცუდი შედეგი არავისთვისაა, მაგრამ პრეზიდენტი მწვრთნელით მაინც აღშფოთებული დარჩა. აი, რა კომენტარი გააკეთა ძამპარინიმ ორშაბათს ერთ-ერთ რადიოსთან საუბრისას: *"ჩემი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მწვრთნელმა ამჯერადაც იმედები გამიცრუა. გასულ კვირაში მასთან პირადი საუბარი მქონდა, ვუთხარი, რომ მშვიდად ყოფნა სჭირდებოდა, რადგან დასაკარგი არაფერი გვქონდა. კვირას რამდენიმე სარისკო ნაბიჯზე წასვლა მოგვიწია, ძირითად შემადგენლობაში შემტევი ფეხბურთელები გამოვიყვანეთ. მაგრამ მეორე ტაიმში, როცა ჯერ კიდევ 2:0-ს ვიგებდით, გუიდოლინმა გადაწყვიტა, რომ თავდამსხმელი ნახევრმცველით შეეცვალა და ამით გუნდის თამაში მთლიანად დაირღვა. "ინტერის" წინააღმდეგ დაცვითი ფეხბურთის თამაში არ შეიძლება. შეიძლება, გუიდოლინი კარგი ტაქტიკოსია, მაგრამ არ შეუძლია გუნდის მართვა მაშინ, როცა მეტოქეს შენი პირობები უნდა უკარნახო. ის ძლიერია, როცა დიდი გუნდების წინააღმდეგ დაცვით ფეხბურთს თამაშობს. შესაძლოა, ჩემთვის შესაფერისი მწვრთნელი გარშემო არც არის, გუდოლინს შეეძლო, ასეთი ყოფილიყო, მაგრამ ის ძალიან სუსტი და სენტიმენტალურია, ჩემს გვერდით რომ იმუშაოს. მესმის, რომ იოლი არაა ისეთი მწვრთნელის პოვნა, ვინც ჩემი განცხადებების მიუხედავად, ღიმილით გააგრძელებს მუშაობას. ადამიანური თვალსაზრისით, გუიდოლინი ჩემში სიმპათიას იწვევს, მაგრამ "ინტერთან" შეხვედრის შემდეგ პირდაპირ ვუთხარი, რომ ქალაჩუნა იყო".*

საუბრის ბოლოს ძამპარინიმ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ "პალერმოსთვის" ახალ პრეზიდენტს ეძებს, თუმცა დასძინა, რომ პარალელურად სატრანსფერო კამპანიისთვისაც ემზადება: *"მე მემკვიდრე მჭირდება, ამის მიზეზი არის არა "პალერმოს" შედეგები, არამედ მხოლოდ ის, რომ იტალიურ ფეხბურთში მაინც არაფერი იცვლება და უკვე დაღლილი ვარ. ასეა თუ ისე, ამჟამად საზაფხულო ტრანსფერებს ვსწავლობ და იმედი მაქვს, რომ ისეთი ფეხბურთელების დამატებას შევძლებ, ვინც გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს".*

თავად გუდიოლინმა "სან სიროზე" ნათამაშები 2:2-ის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ინტერი" ჩემპიონატის აბსოლუტური დომინანტია, მაგრამ ეს გუნდი დღეს ისე ახლოს იყო წაგებასთან, როგორც არასდორს ამ სეზონში. სამწუხაროდ, მილანელების ასეთი მიუწვდომლობის მიზეზი ისაა, რომ მათ განკარგულებაში უზომოდ დიდი რესურსებია. მეორე ტაიმში აშკარად მოვუკელით, მაგრამ არა მენტალობის თვალსაზრისით. ყველაზე დასანანი ისაა, რომ მესამე გოლი ვერ გავიტანეთ. იმედია, რომ მომდევნო ტურში მივაწევთ გამარჯვებას, რომელსაც უკვე ორი თვეა ველით და უკვე სანატრელად გვექცა".*

## არგენტინა. კლაუსურა. X ტური

**ბოკა–რივერი 1:1**

ბოკა: კარანტა, იბარა, კატა დიასი, მორელი, კლემენტე როდრიგესი, პაბლო ლედესმა, ბანეგა, ნერი კარდოსო, რიკელმე, პალასიო (85. გილერმო ბაროს შელოტო), პალერმო.

რივერი: კარისო, ფერარი, ნასუტი, ტუსიო, ფედე დომინგესი, აუგუსტო ფერნანდესი, აჰუმადა (65. ლიმა), პონისიო (75. გალვანი), ბელუში (90. აბელაირასი), როსალესი, რუბენი.

გოლები: 1:0 ლედესმა (1), 1:1 როსალესი (49)

**სან ლორენსო–ხიმნასია (ლ) 1:0**

სან ლორენსო: ორიონი, ტულა, სებასტიან მენდესი, ბოტინელი, აურელიანო ტორესი (69. ვოზორილი), რივერო, კრისტიან ლედესმა, ოსმარ ფერეირა, გასტონ ფერნანდესი (66. ალვარადო), ლავეცი, სილვერა (84. რობერტო ხიმენესი).

გოლი: 1:0 გასტონ ფერნანდესი (17)

**ინდეპენდიენტე–გოდოი 0:2**

გოლები: 0:1 ტორესი (70-პენ), 0:2 დ. ვილარი (71)

**როსარიო–ნ. ჩიკაგო 3:0**

გოლები: 1:0 კილი გონსალესი (7-პენ), 2:0 დ. დიასი (57), 3:0 ბელოსო (62)

**ბანფილდი–ველესი 2:3**

გოლები: 0:1 ესკუდერო (3), 0:2 ესკუდერო (4), 0:3 ბალვორინი (17), 1:3 სანგინეტი (38), 2:3 ცვიტანიჩი (76)

**ბელგრანო–ნიუელსი 0:2**

გოლები: 0:1 ოსკარ კარდოსო (9), 0:2 ოსკარ კარდოსო (80)

**კოლონი–რასინგი 1:1**

გოლები: 0:1 ბერხესო (25), 1:1 რეინოსო (84)

**ხიმნასია (ხ)–არგ. ხუნიორსი 0:0**

**ესტუდიანტესი–ლანუსი 0:0**

**კილმესი–არსენალი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ლორენსო | 10 | 8 | 1 | 1 | 17-8 | 25 |
| 2. ბოკა | 10 | 7 | 2 | 1 | 23-9 | 23 |
| 3. ესტუდიანტესი | 10 | 5 | 4 | 1 | 14-7 | 19 |
| 4. არგ. ხუნიორსი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-7 | 17 |
| 5. რივერი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-9 | 17 |
| 6. გოდოი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-9 | 16 |
| 7. ნიუელსი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-14 | 16 |
| 8. არსენალი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-11 | 14 |
| 9. ლანუსი | 10 | 4 | 2 | 4 | 11-11 | 14 |
| 10. ველესი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-16 | 14 |
| 11. ხიმნასია (ხ) | 10 | 3 | 3 | 4 | 5-7 | 12 |
| 12. ხიმნასია (ლ) | 9 | 3 | 2 | 4 | 13-15 | 11 |
| 13. კოლონი | 9 | 2 | 4 | 3 | 13-13 | 10 |
| 14. როსარიო | 9 | 3 | 1 | 5 | 9-12 | 10 |
| 15. ბელგრანო | 10 | 2 | 3 | 5 | 10-13 | 9 |
| 16. ინდეპენდიენტე | 10 | 2 | 2 | 6 | 10-18 | 8 |
| 17. ნ. ჩიკაგო | 9 | 2 | 2 | 5 | 5-15 | 8 |
| 18. რასინგი | 9 | 1 | 4 | 4 | 10-14 | 7 |
| 19. ბანფილდი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-15 | 7 |
| 20. კილმესი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 6 |

ბომბარდირები: 8 - ოსკარ კარდოსო (ნიუელსი), პალერმო (ბოკა); 6 - გასტონ ფერნანდესი (სან ლორენსო); 5 - არსუაგა (გოდოი), ნერი კარდოსო (ბოკა); 4 - კალდერონი (ესტუდიანტესი), ლეგისამონი (ხიმნასია ლ), პალასიო (ბოკა), რამირესი (კოლონი), სილვერა (სან ლორენსო).

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

მსოფლიო ჩემპიონატი. U-19

# კანადამ დაგვითხოვა



კანადა-საქართველო. შუაში დავით ჩიჩუა

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ირლანდიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში დასანანი მარცხი განიცადა კანადის ნაკრებთან 3:19 და გაისად ისევ B ჯგუფში ითამაშებს.

პატარა ბორჯღალოსნები ოკეანესგაღმელებთან ვერას გახდნენ და ერთადერთი, რაც მოახერხეს პირველი ტაიმის მინურულს **ბექა ნიკლაურის** მიერ გატანილი საჯარიმო იყო. იქამდე ჩვენი გუნდი მშრალი ანგარიშით, 0:9 აგებდა: სამი საჯარიმო კანადელთა კაპიტანმა, 10 ნომერმა **ნეითან ჰირაიამამ** გაგვიტანა.

მეორე ტაიმის ორი მესამედი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მონაგარს ვერცერთმა გუნდმა შემატა რამე, დასკვნითი ათი წუთი კი კანადელებისა იყო. 29-ე წუთზე ჰირაიამამ კიდევ ერთი საჯარიმო გაგვიტანა. ექვს წუთში შუამარბმა **მაიკლ სხოლცმა** ლელოც მიითვალა, რომელიც იმავე **ჰირაიამამ** გარდასახა 19:3.

ახლა საქართველოს ნაკრები 20 აპრილს, მესამე ადგილისთვის ეთამაშება აშშ-ს გუნდს, რომელმაც მეორე ნახევარფინალში იტალიიელებთან წააგო - 6:31. ელიტაში გადასასვლელად იტალია და კანადა იბრძოლებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| კანადა-საქართველო | 19:3 |
|---|---|

საქართველო: (15-9) მ. ნიკლაური, ტუჩაშვილი, სვანიძე, ნუცუბიძე, (კიკვიძე 65), ბ.ნიკლაური, ხმალაძე, ზირაქაშვილი; (1-8) მირცხულავა, ჯაშიტაშვილი (სულუხია 50), ბასილაშვილი (ცირეკიძე 35), ჩიჩუა, ნიკოლაიშვილი (კალმახელიძე 35), მძინარიშვილი (კოლელიშვილი 36), კაკოვინი, კობაური - **ს (მ.ნიკლაური)**

მსაჯი: ჟერომ გარსე (საფრანგეთი)

**ნახევარფინალი**

**მე-9 ადგილისთვის:** რუმინეთი-ტაივანი 35:10, რუსეთი-კუკის კუნძულები 22:14; **მე-5 ადგილისთვის:** ურუგვაი-ჩილე 21:3, ტონგა-ზიმბაბვე 26:11; **პირველი ადგილისთვის:** საქართველო-კანადა 3:19, იტალია-აშშ 31:6

**ფინალი, 20 აპრილი**

**მე-11 ადგილისთვის:** კუკის კუნძულები-ტაივანი; **მე-9 ადგილისთვის:** რუმინეთი-რუსეთი; **მე-7 ადგილისთვის:** ზიმბაბვე-ჩილე; **მე-5 ადგილისთვის:** ტონგა-ურუგვაი; **მე-3 ადგილისთვის:** საქართველო-აშშ; პირველი ადგილისთვის: იტალია-კანადა

## ჩოგბურთი



ეკა გორგოძე



ოქსანა კალაშნიკოვა

ფედერაციის თასი

# ალჟირი დაგვემალა, ნორვეგიით ვიწყებთ

მავრიკის კუნძულების ჩოგბურთის ეროვნული ცენტრი ქალაქ ფინიქსში მასპინძლობს ფედერაციის თასის ევროპა-აფრიკის II ზონის ტურნირს, სადაც საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებიც თამაშობს. მონაწილე ქვეყნების შემადგენლობები უკვე გაგაცანით, თუმცა მას მერე ცვლილება მოხდა - ალჟირის ნაკრებმა ბოლო მომენტში უარი თქვა მავრიკეთში ჩასვლაზე. ასე რომ 7 გუნდი პირველი ზონის ორ საგზურს გაითამაშებს, ორიც მესამე დივიზიონში დაქვეითდება. წილისყრა უკვე გაიმართა - საქართველო სრულ (ოთხგუნდიან) B ჯგუფში მოხვდა პორტუგალიის, ნორვეგიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებებთან ერთად. A ჯგუფში სამი მონაწილეა: სამხრეთ აფრიკა, საბერძნეთი და ფინეთი.

დღეს პირველ ტურში საქართველო ნორვეგიის ნაკრებს დაუპირისპირდება, ხოლო პორტუგალია ბოსნიას შეხვდება. ნორვეგიელებს ფედერაციის თასზე შარშანწინ შევხვდით და 2:1 ვაჯობეთ. **თინათინ ყაველაშვილმა** კაროლინ სტეირო გაანადგურა - 6:0, 6:1, **მაკა ჩახნაშვილმაც** იოლად მოუგო იდუნ ჰერცბერგს - 6:2, 6:2. ჩვენებმა შემდეგ უმოტივაციო წყვილთა მატჩში დათმეს, სადაც მესამე და მეოთხე ჩოგნები ათამაშეს. იმ ნაკრებიდან ჩვენ მხოლოდ პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი შემოგვრჩა. ნორვეგიელები **სტეირო** და **ჰერცბერგი** კი კვლავ სკანდინაველთა ნაკრების პირველი და მეორე ჩოგნები არიან. სტეირო 18 წლისაა, ის მსოფლიოს 729-ე ჩოგანია. იდუნ ჰერცბერგი 19 წლისაა, ის მსოფლიოს 947-ე ჩოგანია. ნაკრებში არიან: **ჰელენ აუენსენი** (ურეიტინგო) და **ემა ბლუდი** (ურეიტინგო), თუმცა არა გვგონია დებიუტანტებმა საქართველოს ნაკრებთან ითამაშონ. ჩვენი უპირატესობა აშკარაა - მაკა ჩახნაშვილი მსოფლიოს 145-ე ჩოგანია. მის გარდა ნაკრებში არიან: **ეკა გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა** და **სოფიო ქვაცაბაია**. ნაკრების მიზანი ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლაა, შემდეგ კი ნახევარფინალის მოგება და პირველი ზონის საგზურის მოგება.

# ამერიკაში ქართველთა დუელი არ შედგა

ფედერაციის თასზე ეროვნულმა ნაკრებმა სამი ჩოგბურთელი მოისაკლისა. **სოფიო მელიქიშვილი, ანა ტატიშვილი** და **სალომე დევიძე** ამერიკაში ცხოვრობენ და ვარჯიშობენ, არადა ისინი საქართველოს მეორე, მესამე და მეოთხე ჩოგნები არიან რეიტინგით. სამივე დონტას საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი დოლარი) აპირებდა მონაწილეობას, თუმცა რეიტინგმა სალომე დევიძეს საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშის უფლებაც არ მისცა. საკვალიფიკაციოს პირველ წრეში ანა ტატიშვილი ავსტრალიელ **ნიკოლ კრიცს** (385) შეხვდა და იოლად აჯობა - 6:1, 6:0. სოფიო მელიქიშვილის მეტოქე მეორე ნომრად განთესილი ამერიკელი **ანჯელა ჰეინესი** (207) იყო. სამწუხაროდ, ჩვენებური ორ სეტში დამარცხდა - 5:7, 1:6. არადა სოფიოს რომ მოეგო, ძალზე საინტერესო დაპირისპირების მომსწრენი გავხდებოდით, დონტაში ერთმანეთს ტატიშვილი და მელიქიშვილი შეხვდებოდნენ, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. ახლა ანას სოფიოს დამარცხებისთვის ჰეინესზე შურისძიება მოუწევს.

# თავისუფალი ვარდნა

ანა ტატიშვილი ქართველთა შორის მეორე ჩოგანი აღარ არის, ახალმა რეიტინგ-ლისტმა ის ერთბაშად 85 საფეხურით ჩამოაქვეითა. 17 წლის ქართველს შარშან ჩარლსტონში მოპოვებული ქულები ჩამოაკლეს და მას მხოლოდ 44 ქულა დარჩა პირად აქტივში. ანა ახლა მსოფლიოს 405-ე ჩოგანია. მართალია, თავის მხრივ 46 საფეხურით დაიხია უკან **სოფიო მელიქიშვილმა**, მაგრამ მან ანას მაინც გაუსწრო, სოფიო მსოფლიოს 395-ე ჩოგანია. ჩვენი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** კვლავ 145-ეა.

სხვა ქართველები: 533 (+2) **სალომე დევიძე**, 692 (+2) **სოფიო შაფათავა**, 768 (+5) **ეკა გორგოძე**, 814 (+4) **მანანა შაფაქიძე**, 918 (+3) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 1071 (+6) **თეონა ცერცვაძე**, 1186 (+7) **სოფიო ქვაცაბაია** და 1322 (+9) **მარიამ ქურდაძე**.

ვაჟთა რეიტინგ-ლისტში **ირაკლი ლაბაძემ** კიდევ სამი საფეხურით დაიხია უკან - ირაკლი 236 სარეიტინგო ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 176-ე ადგილზეა. **ლადო ჩიხლაძე** მსოფლიოს 477-ე (+1) ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი

# ჩავიცვით, წავედით!



ბადრი ხასაია, რამაზ ნოზაძე და რევაზ ჭელიძე ახალი ფორმით

17-22 აპრილს სოფიაში გასამართი ევროპის პირველობის წინ ქართველმა მოჭიდავეებმა საჩუქრად სპორტული ეკიპირების ახალი კომპლექტი მიიღეს, რაც ფედერაციამ სპონსორის - "სახალხო ბანკის" დახმარებით მოახერხა. ესაა "ადიდასის", "ნაიკისა" და ამ რანგის სხვა ცნობილი ფირმების ნაწარმი - საჭიდაო ფორმა, მოსაცმელები, საჭიდაო თუ ყოველდღიური ფეხსაცმელი... ეს ფორმები გუშინ, სოფიაში გამგზავრების წინ გადასცეს ანტიკური ჭიდაობის ნაკრებს. მართალია, ტრადიციული საბაჟო პრობლემების გამო, ტვირთი სრულად ჯერ კიდევ არ იყო შემოტანილი, მაგრამ სალამომდე ყველაფერი უკლებლივ მიიღეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენებს საჭიდაო ფორმის ხშირად ერთმანეთისა თუ სხვებისგან თხოვა უწევდათ, ხშირად კი მოძველებული სამოსით ჭიდაობდნენ, ეს ნამდვილად კარგი საჩუქარია. ამბობენ, რომ იგი იაფი არ დამჯდარა, მაგრამ ნამდვილად საჭირო და კარგი შენაძენია. ამიერიდან ჩვენი ფალავნებიც უცხოელებივით ცივილურად ჩაცმულები ჩავლენ ტურნირებზე. ანალოგიურ საჩუქარს თავისუფალი ჭიდაობის გუნდიც ამ დღეებში მიიღებს.

"ანტიკოსთა" ნაკრები ამ დილით უკვე გაფრინდებოდა სოფიაში. შეგახსენებთ, რომ ნაკრებში **ირაკლი ჭოჭუა** (55), **დავით ბედინაძე** (60), **მუხრან მაჭუტაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96) შევიდნენ. განაცხადშია მძიმეწონოსანი **რევაზ ჭელიძეც**, ოღონდ ის სოფიაში არ იჭიდავებს. მოგეხსენებათ, მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ ფორმაში არაა, მაგრამ განაცხადში მაინც შეიყვანეს. მიზეზი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც თუ რომელიმე წონაში ევროპაზე მონაწილე არ გვეყოლება, იმ წონაზე არც მსოფლიო ჩემპიონატზე გვაჭიდავებენ. მძიმე წონაში ჭელიძის ორივე შემცვლელი ტრავმირებულია და მწვრთნელებმა ტურნირზე ისევ იგი იახლეს, სხვა თუ არაფერი, თავის მომავალ მეტოქეებს დააკვირდება კიდეცო. ჭელიძეს განაცხადში შეიყვანენ, აინონება კიდეც ანუ მონაწილედ დაფიქსირდება და არ იჭიდავებს.

გუშინ ფალავანთა კლუბში საჩუქრების მისალებად მთელი ნაკრები შეიკრიბა. როგორც სპორტსმენები, ასევე მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** განვლილი შეკრებებით კმაყოფილია. ორივე მხარე აღნიშნავდა, რომ გუნდი კარგადაა მომზადებული და წარმატებისა ეიმედებათ. რაც მთავარია, ტრავმები არავის აწუხებს. დარჩიას თქმით, იგი რამდენიმე მედლის მოპოვებას გეგმავს, მათ შორის, ოქროსაც.

ევროპის პირველობის მედლებს თავდაპირველად ქალები გაითამაშებენ. "ანტიკოსები" ჩემპიონატში ხუთშაბათს ჩაებმებიან - იმ დღეს 55, 66, 84 და მძიმე წონების ფალავნები იჭიდავებენ, პარასკევს - 60, 74 და 96-ის მოჭიდავეები. ევროპირველობას 21-22 აპრილს "თავისუფლები" დაასრულებენ, რომელთაგანაც პირველ დღეს იგივე ოთხი წონითი კატეგორიის ფალავნები იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

## საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 56 (2006)

1983 წელს, ცხენოსანთა კიდევ ერთი ასპარეზობა გაიმართა მოსკოვში, ბიტცას სპორტული კომპლექსის მანეჟში. ეს იყო სსრკ ზამთრის პირველობა, რომელიც დაბრკოლებათა გადალახვაში აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედლით დაასრულა გუდაუთელმა მხედარმა ხარლამ სიმონიამ (ცხენი "კასპი"). ხოლო ნალჩიკში, ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრიზზე დაბრკოლებათა გადალახვაში, მეორე იყო დ. თოფურია (ცხენი "ბრეზენტი"), ხოლო სამჭიდში კი ვერცხლის მედალს შ. ჭაფოძე (ცხენი "ნაივნაია") დაეუფლა.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** სსრკ თასის გათამაშება გაიმართა კრასნოდარში. ბრწყინვალედ იასპარეზა და მთავარი პრიზი მოიპოვა თბილისელმა **იგორ ბრიზგალოვმა**.

**ტყვიით სროლა.** სოხუმში იმ წელს საკავშირო რანგის ორი ასპარეზობა ჩატარდა. სსრკ ჩემპიონატში ქუთაისელი **ილია ჩაგანავაძე** პირველ ადგილზე გავიდა "გაქცეულ ტახზე" პნევმატური შაშხანიდან სროლაში. საკავშირო ტურნირში კი, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, მესამე პრიზიორი გახდა **ვ. დაუშვილი**. შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველობა (ყარაგანდა) დიდი უპირატესობით მოიგო **თემურ ლაკიამ**, რომელიც შეუდარებელი იყო ავტომატიდან ზუსტ სროლაში.

**სასტენდო სროლა.** მოსკოვში, სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებს, მრგვალ სტენდზე სროლაში, წილად ხვდა მესამე ადგილი. გუნდში გამოდიოდნენ **თამაზ იმნაიშვილი, ტარიელ ჟღენტი, თეიმურაზ მატოიანი** და **გივი შენგელია**. იმნაიშვილმა და ჟღენტმა კანადაში გამართულ მსოფლიო პირველობაშიც იასპარეზეს სსრკ ნაკრებში. მრგვალ სტენდზე სროლაში საბჭოთა ნაკრები ვერცხლის მედალს დაეუფლა.

**მშვილდოსნობა.** საქართველოდან საკავშირო სარბიელზე წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონის სოფლის სპორტსმენებმა. უზბეკეთში, ტრადიციულ ტურნირზე, მ-2 ვარჯიშში ხელვაჩაურელებმა მეორე გუნდური ადგილი დაისაკუთრეს, პირად პირველობაში კი მესამე იყო **თამაზ ფუტკარაძე** (30 გასროლა).

**ცურვა.** სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე, მოსკოვის "ლუჟნიკების" საცურაო აუზში, თბილისში დაოსტატებულმა ქუთაისელმა მოცურავე **ირინე გერასიმოვამ** ამ კომპლექსურ ლონისძიებაში უნიკალურ შედეგს მიაღწია: სამი ოქროს მედალი მოიგო (200 მ. კომპლექსურ, 100 და 200 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში). ამ წარმატებით მან ადგილი დაიმკვიდრა სსრკ ნაკრებში და მსოფლიო უნივერსიადაზე გაემგზავრა კანადის ქალაქ ედმონტონში. გერასიმოვამ აქაც სამი მედალი მოიპოვა: ორი ოქროსი (400 მ. კომპლექსურ ცურვასა და ესტაფეტაში) და ბრინჯაოსი 200 მ. თავისუფალი სტილით ასპარეზობაში. დიმიტრი იაკოვლევი საკავშირო სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად 200 მ. ბატერფლაით ცურვაში.

**წყალში ხტომა.** სსრკ პირველობაზე (როსტოვი) 3 მ-იანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში ვერცხლის მედალს დაეუფლა **დიანა მჭედლიძე**, რომელმაც მყარად დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ნაკრებში, საგულდაგულოდ მოინიშნეს მისი გვარი სსრკ ნაკრების მწვრთნელებმაც. ხალხთა



ირინა გერასიმოვა



თემურ აფხაზავა

სპარტაკიადის მეორე პრიზიორი ხდება თბილისის მე-13 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე **ნანა ქარდავა** (ტრამპლინიდან ხტომა).

**სინქრონული ცურვა.** საკავშირო პირველობას თბილისის საწყლოსნო კომპლექსმა უმასპინძლა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ საქართველოს "ზღვის ფერიებს" (**ნანა პატარაია**, ტყუპი დები - **ანა და ვალენტინა ჩემპონკუსები, ნინო მაისურაძე**).

**აფროსნობა.** ტალინი. საკავშირო თასის გათამაშება "ვარსკვლავის კლასში". მთავარ პრიზს ეუფლება **გურამ ბიგანიშვილი**. ხალხთა სპარტაკიადაზე (ტალინი) ვერცხლის მედალი მოიგო **ლ. ტკაჩენკომ** (ვინდსერფინგის კლასი).

**სპორტული ტანვარჯიში.** სპორტის ამ სახეობის სამყარო ეცნობა **ეკა ზეთურიძისა** და **ამირან ბერიანიძის** სახელებს. კაუნასში, 1968-71-წლიანთა საკავშირო პირველობაზე, ზეთურიძე უძლიერესის სახელს იხვეჭს, ხოლო 1965-69-წლიანებში ბერიანიძე მეორე პრიზიორი ხდება. ვერცხლის მედლები მოუტანეს საქართველოს ნაკრებს (სპარტაკიადა, ბჯენით ხტომები) **ანაიდა ბაბასიანმა და პავლე ლეონტიევმა**.

**ველოსპორტი.** ლვოვი. იუნიორთა საკავშირო პირველობა. **ოთარ მჭედლიშვილი** ორჯერ ადის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე - იგებს 500 და 1000 მ-ზე რბოლას. ამავე ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმეს **გ. გოდუნოვმა და ა. გეგენავამ** 4 კმ-ზე წყვილთა რბოლაში. **ემზარ გელაშვილი** ზამთრის საკავშირო პირველობაზე (მოსკოვი) მესამე იყო სპრინტში. სიმფეროპოლი. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა. გოდუნოვი და გეგენავა თავიანთ პროგრამაში აქაც პირველ ადგილზე გადიან, მჭედლიშვილი კი სპრინტში მეორე ადგილს სჯერდება. თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ტრეკზე რბოლაში. პირველი ადგილები: **ო. კაზაკოვი** (ინდივიდუალური რბოლა), **ი. ზემენკო** და **რ. ნაქაძე** (წყვილთა 6-დღიანი რბოლა). ოთარ მჭედლიშვილი, რომელიც მაშინ 17 წლის იყო, სსრკ თასს დაეუფლა 500 მ-ზე სპრინტში და მსოფლიო რეკორდსმენიც გახდა. ასპარეზობა ჩატარდა მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე.

**ავტომოდელიზმი.** სპარტაკიადის მონაწილეებს მინსკმა უმასპინძლა. სხვადასხვა მოდელებში, პირად შეჯიბრებებში, მოპოვებულია ოქროსა და ბრინჯაოს თითო და ვერცხლის ორი მედალი. პირველი იყო **პაატა შარიფაშვილი**, მეორე - **დავით კობახიძე** და **დავით ჩხაიძე**, მესამე - იგივე შარიფაშვილი. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

**პარაშუტიზმი.** გროზნო. საკავშირო სპარტაკიადის ფინალი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნიკოლოზ უშმაევი** აკრობატულ ნახტომში უნაკლოდ ასპარეზობს და ოქროს მედალს ეუფლება.

**ალპინიზმი.** 1983 წლის ნოემბერში შეჯამდა საკავშირო კონკურსის შედეგები სასიმაღლო ასვლებში. ტაჯიკეთის სამხრეთში, უსახელო პიკის (6100 მ) ურთულესი კედლის დაძლევისთვის, საქართველოს ნაკრებს (ხელმძღვანელი **გივი ქართველიშვილი**) მესამე ადგილი ერგო. მოიერიშე ჯგუფში შედიოდნენ: **ირაკლი გელდიაშვილი, დავით თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, ჯემალ ქელეხსაშვილი, თამაზ შარაშიძე**.

**სამთო თხილამურები.** გიგანტურ და სპეციალურ სლალომში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე (ვოლოვეცი), ბაკურიანელი **მერაბ კოზანაშვილი** პირველ ადგილზე გავიდა. უფაში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე, 45 მ-იან ტრამპლინიდან ხტომაში, პირველობა მოიპოვა წალვერელმა **ელგუჯა ორჯონიკიძემ**.

**ფიგურული ციგურაობა.** 15 წლის **ანდრეი ტოროსიანმა**, რომელიც თბილისის 52-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა, მეორე ადგილი დაიკავა ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე (ზაპოროჟიე). შემდეგ ტოროსიანი მესამე იყო რიგაში ჩატარებულ იუნიორთა საერთაშორისო ტურნირში, სამჭიდის ჯამში. იმავე ასპარეზობაში, სავალდებულო პროგრამაში, ყველას აჯობა თბილისელმა **ნელი დვალიშვილმა**. სსრკ თასის გათამაშებაში ვერცხლის მედალი ხვდა წილად **ბადრი ყურაშვილს**. ტუაფსეში კი "იმედის სტარტების" საკავშირო ფინალური შეჯიბრების მონაწილენი შეიკრიბნენ. თანატოლთა შორის ოქროს მედალს დაეუფლა ახმეტის რაიონის სკოლა-ინტერნატის VI კლასის მოსწავლეთა გუნდი.

**ჭადრაკი.** პირველ ადგილზე გადიან: **ნანა ალექსანდრია** - რუმინეთისა და იუგოსლავიის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში; **თამილა მესხი** - ლატვიის ქალთა საკავშირო ტურნირში; **ნონა გაფრინდაშვილი** - ესპანეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირში; გაფრინდაშვილმა მოიგო სსრკ ქალთა 43-ე ჩემპიონატი (ვილნიუსი). ნონას, პირველს გადაეცა ჟურნალისტების მიერ დაწესებული "ოსკარი". **ციური ქასოშვილმა** ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე პირველობა გაიყო ბულგარელ **ს. სავოვასთან**. ვაჟთა შორის ზიმბაბვეს საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთ მონაწილესთან I-II ადგილები გაინაწილა **ბუხუტი გურგენიძემ**. გფრ-ის ღია ჩემპიონატში მეორე იყო **თამაზ გიორგაძე**. წარმატებით გამოვიდნენ ჭაბუკები ასაკობრივ შეჯიბრებებში. ქუთაისის გუნდმა "იმედის თასზე" საკავშირო პირველობა (მოლდოვა) მოიგო. ქუთათური ყმაწვილები პირველები იყვნენ აგრეთვე "თეთრი ეტლის" საკავშირო გათამაშებაში (ივანო-ფრანსკოვსკი). სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები ვერცხლის პრიზიორი გახდა. ნაკრებს წარმოადგენდნენ **ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ბუხუტი გურგენიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გენადი ზაიჩიკი, ელიზბარ უბილავა, ზურაბ სტურუა, ედუარდ გუფელდი** და **თამაზ გიორგაძე**.

აქვე ვიტყვით, რომ 1983 წელს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობებში საქართველოს წარგზავნილებმა, პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში, გუნდურ და პირად პირველობებში სულ მოიპოვეს 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი წილად ხვდათ მერვე ადგილი.

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით დაადგინა საქართველოს 1983 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი.

პირველ ნომრად ერთხმად დასახელდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ქუთაისელი **თეიმურაზ აფხაზავა** ("დინამო", მწვრთნელი ი. ბობოხიძე). შემდეგ მოდიან: 2. **ხარლამ სიმონია**, ცხენოსნობა ("კოლმეურნე", მწვრთნელი ლ. პაპბა), 3. **ოთარ მჭედლიშვილი**, ველოსპორტი ("შრომითი რეზერვები", მწვრთნელი ო. ფხაკაძე), 4. **მაია ჩიბურდანიძე**, ჭადრაკი ("დინამო", მწვრთნელი ე. გუფელდი), 5. **ნონა გაფრინდაშვილი**, ჭადრაკი (ასკ, მწვრთნელი ე. უბილავა), 6. **თამაზ ნამგალაური**, ძიუდო ("დინამო", მწვრთნელი ა. მარტყოფლიშვილი), 7. **შოთა ხაბარელი**, ძიუდო (ასკ, მწვრთნელი ო. ნათელაშვილი), 8. **მალხაზ ბერუაშვილი**, ძიუდო ("დინამო", მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი), 9. **ნიკოლოზ დერიუგინი**, კალათბურთი ("დინამო", მწვრთნელი ლ. მოსეშვილი), 10. **დავით დავითაშვილი**, 1983 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (ახმეტა, მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი).

*გაგრძელება იქნება*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**




## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U-10

# ხუთი ცხრიდან

ადრეც ვწერდით, ჭადრაკის ფედერაცია ასაკობრივ ჩემპიონატებს წლის დასაწყისში ატარებს, რათა ევროპისა და მსოფლიოს ანალოგიური ტურნირების საგზურები თავიდანვე განაწილდეს. ამჯერად, თბილისის ჭადრაკის ფედერაციაში 10-წლამდელები შეიკრიბნენ: 36 გოგონა და 88 ბიჭი. შეჯიბრება 9 ტურად იმართება. პირველადგილოსანი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მიიღებს დაფინანსებას, მეორე პრიზიორი - ევროპის პირველობაზე.

სტარტიდან ხუთი ტურია გასული და ლიდერთა ჯგუფებიც გამოიკვეთა. გოგონებში ქულათა მაქსიმალური რაოდენობით **მარიამ ჭოლაძე** ლიდერობს. 4.5 ქულა ორს აქვს - **ნანა ჭავჭანიძესა და ნინო ხომერიკს**. ოთხი ქულით **ეკა ურდულაშვილი, ქეთევან ლომიძე და ქეთევან ხომერიკი** არიან.

ბიჭებში 5 ქულით **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** ლიდერობს. 4.5 ქულით მეორეზე **ზურაბ მესხია**; 4 ქულა თერთმეტ მონაწილეს აქვს; 3.5 - ექვსს. დღეს მეექვსე ტურია

გოგონები: **მარიამ ჭოლაძე (5)-ანა ჭავჭანიძე (4.5); ნინო ხომერიკი (4.5)-ეკა ურდულაშვილი (4); ქეთევან ლომიძე (4)-ქეთევან ხომერიკი (4); თათია კოხრეიძე (3.5)-თამთა ხურცილავა (3); მარი პაპავა (3)-ლიკა ყვინჩია (3.5); ნინო ჯლარკავა (3)-ქეთი საათაშვილი (3); ია ცომაია (3)-მარიამ მჟავია (3).**

ბიჭები: **ზურაბ მესხი (4.5)-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (5); მამუკა ანთაძე (4)-ირაკლი ფოფხაძე (4); მამუკა ქოჩაკიძე (4)-ნიკოლოზ ბერძენაძე (4); ბესიკ გრძელიძე (4)-დავით მამფორია (4); თემურ ოთხოზორია (4)-ბაჩი კიზირია (4); ნოე თუთისანი (3.5)-გოგი სიბაშვილი (4); ილია ხელაძე (3.5)-ვასილ დოთიაშვილი (3.5).**

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი

**სერგეი ტერნოვიხი.** დაიბადა 17.04.1960, სოხუმი. სამბო (52 და 57 კგ). მსოფიოს ორგზის ჩემპიონი (1984, 85), სსრკ ჩემპიონატების მეორე (1984) და ორგზის მესამე (1979, 83) პრიზიორი, სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1983). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველო
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

მიმოხილვა

# ჯერ მწვანეა, დასამწიფებლად დრო სჭირდება




მანუჩარ მარკოიშვილი ჰელიოსის ფარქვეშ

### ესპანეთი

კვირის მიმოხილვა **ვიქტორ სანიკიძეზე** საუბრით უნდა დავიწყოთ. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მას მეორედ მოუწია ევროტურნირის ფინალურ ოთხეულში თამაში. გასულ უქმეებზე ვიქტორის "ესტუდიანტესი" ხირონას ეწვია, სადაც ევროთასის ნახევარფინალში ადგილობრივი გუნდი ელოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით ძლიერმა ესპანურმა კლუბმა საშუალო დონის თანამემამულე იოლად დაამარცხა: "ხირონა"-"ესტუდიანტესი" 89:58.

იმ მატჩში ვიქტორს მონაწილეობა არ მიუღია - სათადარიგო იყო. ველოდით, რომ ნაოპერაციევ ქართველს მწვრთნელი მესამე ადგილისთვის მატჩში მაინც გამოიყვანდა. მოლოდინი გამართლდა - "ესტუს" თავკაცმა, **მანუელ დე პაბლომ** სანიკიძე სასტარტო შემადგენლობაში დააყენა, რაც ესპანელ ჟურნალისტებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ. "ელ მუნდო დეპორტივოში" ვკითხულობთ: *"ტრავმირებული იანსენის ნაცვლად, სტუდენტთა მწვრთნელმა ძირითად ხუთეულში ქართველი ვიქტორ სანიკიძე დააყენა. მართალია, იგი მანამდეც მოხვედრილა ხუთეულში, მაგრამ წინა თვეს ნაოპერაციევი სანიკიძის ძირითადში გამოჩენა უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ ფორვარდის პოზიციის ორი მოთამაშე ტრავმირებულია. სუპერთასის მესამე ადგილისთვის მატჩში, ბოლონიის "ვირტუსთან" ქართველს თავი არ შეურცხვენია. მართალია ჯერ "მწვანეა", მაგრამ "დასამწიფებლად" სწორედ თამაში სჭირდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო შეხვედრებში მას სათამაშო დროც გაეზრდება."*

როგორც მიხვდით, სანიკიძემ მესამე ადგილისთვის მატჩი იტალიურ "ვირტუსთან" ჩაატარა. მოედანზე 12 წუთი გაატარა და თამაშიდან ერთიც არ უსვრია. 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და 1 ქულას 4 მოხსნა და 1 პასი მიამატა. მისმა "ესტუდიანტესმა" კი ბოლონიელებთანაც წააგო (62:80) და ევროთასი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ვიქტორმა **ვატო ნაცვლიშვილთან** და "დიჟონთან" ერთად, 2003-04 წლების სეზონში ფიბას თასის ფინალშიც ითამაშა. დიჟონელები გადამწყვეტ მატჩში **მანუჩარ მარკოიშვილის** "მიტელდოიჩერთან" დამარცხდნენ.

თუკი "ესტუდიანტესის" მიერ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის გამოტოვება მის სატურნირო მდგომარეობაზე არ ასახულა, **ნიკა ცქიტიშვილის** "კახამ" პირიქით - ითამაშა და ერთი ნაბიჯით უკან გადაინაცვლა. სევილიელებს რვაეულში მოსახვედრად აუტსაიდერი "ვალიადოლიდის" ძლევა ჰაერივით სჭირდებოდათ, მაგრამ სტუმრად პირველივე მეოთხედში დათმეს ინიციატივა და საბოლოოდ 83:97 წააგეს.

მარცხის მიუხედავად, ნიკა ცქიტიშვილზე აუგის სათქმელად ენა, ალბათ, არც მწვრთნელს მოუბრუნდებოდა. ცქიტომ 17 წუთში 11 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა. მან ყველა დისტანციიდან 4-4 ტყორცნა შეასრულა და 2 ორქულიანი, 1 სამიანი და 4 საჯარიმო ჩააგდო.

ესპანეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური. 1. ტაუ -22, 2. რეალი - 22 მოგება, 3. ბარსელონა - 20, 4. ხუვენტუდი-19, 5. ხირონა -18, 6. გრან კანარია-17, 7. უნიკახა-15, 8. ვალენსია-15 / 9. **ესტუდიანტესი-15, 10. კახა-13,** 11. ფუენლაბრადა-12, 12. გრანადა-11, 13. ბილბაო-11, 14. ალიკანტე-11, 15. ვალიადოლიდი -11, 16. მურსია-10, 17. მენორკა - 9, 18. ბრუესა - 8.

### საფრანგეთი

ვახტანგ ნაცვლიშვილი და "დიჟონი" ფლეი ოფის (თორმეტეულში) ზონაში არიან, თუმცა მშვიდად თამაშის უფლება მაინც არ აქვთ, რადგან ამ ზონის მიღმა მყოფ "პარიზს" მხოლოდ სამი ქულით უსწრებენ. საკუთარ თავს დამშვიდების უფლებას არ აძლევს ვატო, რომელმაც 29-ე ტურში "როანის" წინააღმდეგ მორიგი ეფექტური მატჩი ჩაატარა: 24 წუთში კინაღამ ორმაგი დუბლი შეასრულა 11 ქული, 8 მოხსნა.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური. 1. ნანსი - 21 მოგება, 2. როანი - 20, 3. შალონი-19, 4. სტრასბური-19, 5. ლე მანი - 17, 6. ვილერბანი - 17, 7. პო ორტეზი-16, 8. ორლეანი - 16, 9. შოლე - 16, 10. დიჟონი - 15, 11. ლე ავრი - 15, 12. გრაველინი -14, 13. პარიზი -12, 14. კლერმონი-12, 15. ბეზანსონი - 11, 16. ტულონი -10, 17. ბურჟი - 7, 18. რეიმსი-5.

### სლოვენია

ოლიმპია ტრადიციას არ ღალატობს - მეტოქეს "ამოიჩემებს" და მასთან თამაშს თამაშზე აგებს. შარშან ოლიმპიელებმა "სლოვანთან" ფინალებამდე ოთხივე მატჩი დათმეს. წლეულს "ჰელიოსთან" ჯერ სლოვენიის თასის ფინალში წააგეს, შემდეგ ხუთმატჩიანი მოგებათა სერია სწორედ ჰელიოსელებთან შეწყვიტეს. თანაგუნდელებს სათანადოდ ვერ დაეხმარა მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც 7 ქულას დასჯერდა. არადა, წინა ხუთ მატჩში მისი საშუალო მონაგარი 18-ს აღწევდა.

სლოვენიის ჩემპიონატი. 6 ტურის შემდეგ. 1. **ოლიმპია - 5 მოგება,** 2. ჰელიოსი - 5, 3. ელექტრა - 4, 4. სლოვანი - 4, 5. ზლატოროგი - 3, 6. კრკა -2, 7. ლოკა - 1, 8. ალპოსი -0

### იტალია

ზუსტად ერთი კვირის უკან ვწერდით - "მონტეპასკიმ" მორიგი მატჩი მოიგო, ხოლო **ვლადიმერ ბოისა** მწვრთნელმა არასრულად დატვირთა. ახლაც იგივეს გამეორება გვიწევს: სიენურმა გუნდმა "უპეას" 77:58 სძლია, ხოლო ბოისამ მხოლოდ 10 წუთი ითამაშა და ერთი სამქულიანი ჩააგდო. სამაგიეროდ, ნეაპოლში "ფრინავს" **ტაირონ ელისი**. მისი 22 ქულის წყალობით "ნაპოლიმ" სტუმრად ლეგეა"დაამარცხა - 95:62.

იტალიის ჩემპიონატი. 28 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 24 მოგება,** 2. რომა -19, 3. მილანი -18, 4. ბენეტონი -18, 5. ვიდივიჩი - 17, **6. ნაპოლი -16,** 7. კანტუ-14, 8. ვარეზე -14, 9. პრემიატა -14, 10. ბიელა -14, 11. სკაფატი-13, 12. კლიმამიო -12, 13. უპეა-11, 14. უდინე - 11, 15. სივილია - 11, 16. აველინო - 9, 17. რეჯო ემილია - 9, 18. ლივორნო - 7.

### ბალტიისპირეთი

აპრილის დადგომასთან ერთად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ფლეი ოფების მატჩები გახურდა. ლიტვის პირველობაზე ორი ქართველის გუნდი კი ჩაება მეოთხედფინალში, მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც ერთი მატჩისკენაა მიმართული. საქმე ისაა, რომ ფლეი ოფში **სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნასი" **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისს" დაუპირისპირდა. ამ წყვილში პირველი შეხვედრა მასპინძელმა, "ნეპტუნასმა" მოიგო - 91:77. სასიამოვნოა, რომ ლიტვაში ქართული დუელი შედგა, მაგრამ, ალბათ არავის გაუხარდება, რომ ტატომაც და სერგომაც 10 წუთზე ნაკლები ითამაშეს. აქვე დავძენთ, რომ სერია 2 მოგებამდეა.

მიმოხილვას კარგი ამბით დავასრულებთ - "ტარტუ როკი" ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელებმა მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში "ველგი" სტუმრადაც დაამარცხეს (100:71) და ნახევარფინალში "დალკია"-"პირატას" შორის გამარჯვებულს ელიან. მეორე შეხვედრაში გიორგიმ მხოლოდ გუნდზე იმუშავა - 19 წუთში ერთხელაც არ უსვრია, სამაგიეროდ მოედანი 7 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 13.04 | ატლანტა-ვაშინგტონი 85:98 | არ უთამაშია | | | | |
| | | 14.04 | კლივლენდი-ატლანტა 110:76 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | ევროთასი | 13.04 | ესტუდიანტესი-ხირონა 58:89 | არ უთამაშია | | | | |
| | ევროთასი | 15.04 | ესტუდიანტესი-ვირტუსი 62:80 | 12 | 4 | 1 | 0 | 1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 14.04 | ვალიადოლიდი-კახა 97:83 | 17 | 4 | 0 | 0 | 11 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (თ.) | 12.04 | გრაველინი-დიჟონი 84:75 | 15 | 3 | 1 | 0 | 6 |
| | საფრანგეთი (ჩ.) | 14.04 | დიჟონი-როანი 86:98 | 24 | 8 | 1 | 0 | 11 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 15.04 | უპეა-მონტეპასკი 58:77 | 10 | 2 | 0 | 0 | 3 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 15.04 | ლეგეა-ნაპოლი 62:95 | 28 | 3 | 1 | 0 | 22 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 11.04 | კრკა-ოლიმპია 62:89 | 38 | 5 | 4 | 2 | 18 |
| | სლოვენია (ჩ.) | 14.04 | ოლიმპია-ჰელიოსი 82:87 | 29 | 4 | 4 | 2 | 7 |
| გიორგი ცინცაძე | ესტონეთი (ჩ.) | 11.04 | როკი-ველგი 96:67 | 25 | 5 | 6 | 2 | 7 |
| | ესტონეთი (ჩ.) | 14.04 | ველგი-როკი 71:100 | 19 | 3 | 7 | 2 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ლიტვა (ჩ.) | 13.04 | ნეპტუნასი-ნევეჟისი 91:77 | 7 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | ლიტვა (ჩ.) | 13.04 | ნეპტუნასი-ნევეჟისი 91:77 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ნოდარ შენგელია | ლიტვა (ჩ.) | 13.04 | შილუტე-აკადემია 83:63 | 17 | 1 | 0 | 0 | 2 |

## ველოსპორტი

# ფინიშზე ფეხით

თბილისსა და რუსთავში დასრულდა საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში. შეჯიბრებაში ასპარეზობდა 60 თბილისელი, ქუთაისელი და აჭარელი მრბოლი.

ჭაბუკთა პირველობაზე სამივე დისტანციაზე ჩემპიონი გახდა **ამირან სვანიძე**. უფროსების წრიული რბოლა რუსთავის ავტოდრომზე მიმდინარეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა **გიორგი ნადირაძემ**. მან მეორეადგილოსან **ნოდარ ყვავაძეს** მთელი 20 ქულით აჯობა...

სენსაციურად წარიმართა ჯგუფური რბოლა, რომელიც წითელი ხიდის მიმართულებით მიმდინარეობდა. თავიდან **სერგო მურჯიკნელი** დაწინაურდა, რომელსაც 30 კილომეტრის გავლის შემდეგ, წამოეწივნენ ნადირაძე, ყვავაძე და **კახაბერ ლოსეურაშვილი**. ფინიშის ხაზი პირველმა ლოსეურაშვილმა გადაკვეთა, ნადირაძეს ერთი წამით აჯობა და საქართველოს ჩემპიონობაც იზეიმა. მესამე ადგილზე ყვავაძე აღმოჩნდა, რომელსაც ფინიშის ხაზამდე 300 მეტრში, მზიდი ჯაჭვი გაუწყდა და ფეხით მივიდა ფინაშამდე. დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა ინდივიდუალური რბოლაც, სადაც ნადირაძემ და ლოსეურაშვილმა თანაბარი შედეგები აჩვენეს და პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს.

ჩემპიონატის შედეგებიდან გამომდინარე, შედგა ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც შავი ზღვის თამაშებზე იასპარეზებს. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი ჯერ ირანის საერთაშორისო ტურნირზე წავა, შემდეგ კი სამხრეთ აფრიკას ეწვევა, სადაც პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებაში ცდის ბედს.

**კობა ხატისაშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი

#### ჭაბუკები

**ინდივიდუალური რბოლა (10 კმ).** 1. ამირან სვანიძე (თბილისი, 15.01), 2. სანდრო ხუციშვილი (თბილისი, 17.10) 3. აჩიკო დოლიძე (თბილისი, 17.30)

**წრიული რბოლა (40 კმ, 10 ფინიშით).** 1. ამირან სვანიძე (თბილისი, 50 ქულა); 2. სანდრო ხუციშვილი (თბილისი, 33); 3. ნოდარ კაცაძე (აჭარა, 23)

**ჯგუფური რბოლა (40 კმ).** 1. ამირან სვანიძე (თბილისი), 2. სანდრო ხუციშვილი (თბილისი). 3. აჩიკო დოლიძე (თბილისი)

**საერთო ჩათვლა.** 1. სვანიძე (72 ქულა) 2. ხუციშვილი (60) 3. აჩ დოლიძე (40)

#### უფროსები

**ინდივიდუალური რბოლა (25 კმ).** 1-2. გიორგი ნადირაძე (თბილისი, 36.49,20), კახაბერ ლოსეურაშვილი (თბილისი, 36,49, 20); 3. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი, 37,02,10)

**წრიული რბოლა (60 კმ, 15 ფინიშით)** 1. გიორგი ნადირაძე (თბილისი, 55 ქ.), 2. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი, 35), 3. კოტე ალავერდაშვილი (თბილისი, 24)

**ჯგუფური რბოლა (105 კმ).** 1. კახაბერ ლოსეურაშვილი . 2. გიორგი ნადირაძე, 3. ნოდარ ყვავაძე

**საერთო ჩათვლა.** 1. ნადირაძე (68) 2. ლოსეურაშვილი (63); 3. ნოდარ ყვავაძე (54)

## მხატვრული ტანვარჯიში

# მარბელასა და პორტიმაოში



დონაძე, ხატიაშვილი, გავარდაშვილი

აპრილის ბოლოს ქართველ ტანმოვარჯიშეებს ორი დიდი ტურნირი ელით პირინეის ნახევარკუნძულზე. 19-დან 22 აპრილამდე, ესპანეთის საკურორტო ქალაქი მარბელა გრანპრის ტურნირს უმასპინძლებს. შეჯიბრების დასრულებიდან მეორე დღეს კი მოვლენები მეზობელ პორტუგალიაში გადაინაცვლებს, სადაც 23-29 აპრილს, მსოფლიო თასის ეტაპი შედგება ქალაქ პორტიმაოში.

ესპანეთშიცა და პორტუგალიაშიც **ქეთი ხატიაშვილი, თათია დონაძე** და **ელენე გავარდაშვილი** იასპარეზებენ. პორტუგალიაში მათ შეუერთდებიან **ელენე ტიტოვა** და **ციცია მკერვალი**, რომლებიც იქვე, გოგონათა ტურნირზე იასპარეზებენ.

პორტიმაოდან ჩვენი ტანმოვარჯიშეები 30 აპრილს დაბრუნდებიან და თბილისში გააგრძელებენ სამზადისს. წლეულს, მათი მთავარი სამიზნე სექტემბერში, საბერძნეთის ქალაქ პატრაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. იქამდე კი კიდევ რამდენიმე გრანპრი და მსოფლიო თასის ეტაპია.

**კობა ხატისაშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მსაჯმა დანკანი ააგდო და გააგდო

რეგულარულის დასკვნითი ეტაპი ძალიან ბევრი გუნდისთვის აღარაფერს ნიშნავს. იბრძვიან "გოლდენ სტეიტი" და "კლიპერსი" (ამაზე მერე ვისაუბრებთ), იბრძოდნენ "მეჯიქი" და "პეისერზი" (ეს ამბავიც დასრულდა - პირველი ფლეი ოფში გავიდა, მეორე - გავარდა), დალასში კი, სატურნირო თვალსაზრისით, არაფრის მომცემი, ისე კი პრინციპული დაპირისპირება შედგა - "მავერიქსი" "სპურსს" დაუხვდა.

**გრეგ პოპოვიჩის** ბიჭებს რომ მოეგოთ, წაუგებელ სერიას 7 მატჩამდე გააგრძელებდნენ. მაგრამ აქ ერთიც იყო - "სან ანტონიო" "ფინიქსს" მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გადაასწრებდა, თუ "სანზი" დარჩენილ ორ შეხვედრას წააგებდა - ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, დაუჯერებელია.

მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ისეთი თამაში იყო, ნაღდად ვერავინ იტყვის, მეტოქეები პარკეტზე მოვალეობის მოხდის მიზნით გავიდნენო.

შეხვედრა, ალბათ, ბოლომდე შეინარჩუნებდა ინტრიგას, მაგრამ ყველაფერი ერთმა მოულოდნელმა ინციდენტმა გადაწყვიტა. მესამე მეოთხედის ბოლოსკენ, **დირკ ნოვიცკიმ ტიმ დანკანს** ხელებში ჩასცხო, მსაჯმა **ჯოუი კროუფორდმა** ეპიზოდი რეაგირების გარეშე დატოვა, ხოლო როდესაც დანკანმა მას შეცდომაზე მიუთითა, "სპურსის" სუპერვარსკვლავს ეგრევე ტექნიკური მიარტყა.

პოპოვიჩმა დანკანი მაშინვე შეცვალა, დაახლოებით 20 წამში კი, დანკანი მეორე ტექნიკურით საერთოდ მიაბრძანეს მოედნიდან.

რა მოხდა? ჯერ ტიმის მოვუსმინოთ:

*"ჯოუი კარგი მსაჯია, მაგრამ დამიჯერეთ, იგი მოედანზე ერთადერთი მიზნით იყო გასული - მას ტიმ დანკანი უნდა გაეგდო. პირველი მეოთხედის ბოლოს, როდესაც გრეგთან მივედი და პარკერის წინააღმდეგ უხეშობაზე მივანიშნე, კროუფორდი ეგრევე ჩვენს სათადარიგოებთან გაჩნდა და მომაძახა, ჩემთან ჩხუბი თუ გინდა, აგერ ვარ და გამოდიო. მეგონა, გამეხუმრა, მაგრამ მსაჯი ჩემს პროვოცირებას აგრძელებდა და ერთხელაც მითხრა - შესვენებაა, ტიმ გელოდებიო. გრეგმა ეგრევე შემცვალა, თუმცა ყველა მიცნობს და მგონი, არავის შეეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მსაჯს არაფერს ვეტყოდი, მის შეურაცხყოფაზე ხომ საერთოდ ზედმეტი იყო საუბარი. ტექნიკურიც კომიკურ ვითარებაში მივილე - კროუფორდს მხოლოდ ეს ვუთხარი - ჯოუი, დარწმუნებული ხარ, ნოვიცკიმ ბურთი წესების დარღვევის გარეშე თუ ამართვა-მეთქი. პირველი ტექნიკური ამას მოჰყვა, მერე კი, როდესაც სკამზე ვიჯექი და ობერტოს რაღაცაზე ვესაუბრებოდი, კროუფორდი მოგვიახლოვდა და საერთოდ აფსურდული რამ გააკეთა - მომესმა, რომ თქვენს საუბარში ჩემი გვარი ფიგურირებდაო, გვითხრა და მეორე ტექნიკური მომცა. გეკითხებით, დამნაშავე ვარ?"* - ამბობდა ნამატჩევს დანკანი, პოპოვიჩმა კი კროუფორდს "დილეტანტი" უწოდა.

ცხადია, ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი** ამას რეაგირების გარეშე არ დატოვებს - დანკანი ფულადი ჯარიმით თუ შემოიფარგლა, "სპურსისთვის" ნამდვილი მისწრება იქნება, თუ არა და, ტიმის შეიძლება ერთი-ორი შეხვედრაც გამოატოვებინონ.

მსაჯმა კი, მომხდარის შესახებ მხოლოდ ეს თქვა, რომ დანკანი ყოველთვის ბევრს ლაპარაკობს და იმედი მაქვს, შემდგომში მსაჯის გადაწყვეტილებას აღარ გააპროტესტებსო. მოკლედ, ძალიან ჩახლართული ამბავია.

უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება, "სპურსმა" მატჩი ზედიზედ 9 (!) არაზუსტი სროლით დაასრულა, ნოვიცკიმ კი 36 წუთში თამაშიდან 21 ტყორცნიდან 10 გამოიყენა. გუნდებმა ჯამში 24 სამქულიანიდან მხოლოდ 5 შეასრულეს ზუსტად.

■ ■ ■

სასწაულებს სჩადის **დონ ნელსონის** "უორიორზი", რომელმაც "კლიპერსის" საშინაო ფიასკოს მერე, დასავლეთის საფლეიოფო დოლში მერვე ადგილზე გადაინაცვლა და ახლა საკუთარ ბედ-იღბალს თავად განაგებს.

ბოლო 8 მატჩში მეშვიდე გამარჯვებით, "გოლდენ სტეიტმა" მოგება-წაგების გრაფაში 50-პროცენტიანი მაჩვენებელი დაიბრუნა, რაც კალიფორნიელებისთვის იანვრის დასაწყისის მერე მიუღწეველი იყო.

"გოლდენ სტეიტს" დარჩენილი ორი მატჩის მოგება სჭირდება. მისი მეტოქეები უმოტივაციო "მავერიქსი" და ლამის მეორე შემადგენლობით დარჩენილი "პორტლენდი" იქნებიან.

*"ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. 12 წელი ფლეი ოფში არ ვყოფილვართ და დარწმუნებული ვარ, ნავსი ამ სეზონში გატყდება"*, - ამბობდა ნამატჩევს **ჯეისონ რიჩარდსონი,** რომელმაც 17 სროლიდან მხოლოდ 6 ვერ გამოიყენა.

"მინესოტაში" კი, არც ამჯერად უთამაშია **კევინ გარნეტს**.

**ზურაბ თალაკვაძე**



ტიმს და დირკს დიდი ბრძოლა ჰქონდათ

**დალასი-სან ანტონიო 91:86**

22:28, 30:27, 20:21, 19:10

**დალასი:** ნოვიცკი (21 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), დ. ჰარისი (21 ქ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 6 მ. 4 ჩ. 3 პ), სტექჰაუზი (14 ქ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (23 ქ), დანკანი (16 ქ. 7 მ. 6 პ. 2 დ), ჯინობილი (16 ქ. 5 მ).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 68:101**

14:28, 13:21, 23:28, 18:24

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (13 ქ), ჯ. ჰეიესი (11 ქ), ე. ტომასი (11 ქ. 11 მ. 2 დ), დ. ტეილორი (10 ქ. 5 პ. 2 ჩ).

**ჩიკაგო:** გორდონი (30 ქ. 4 მ), დენგი (16 ქ. 7 მ), ბ. უოლასი 9 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), ჰაინრიხი (8 ქ. 10 პ), ტაირუს ტომასი (5 ქ. 10 მ).

**კლიპერსი-საკრამენტო 100:105**

23:34, 18:26, 24:21, 35:24

**კლიპერსი:** ბრენდი (29 ქ. 14 მ. 7 პ. 3 დ. 2 ჩ), მაგეტი (21 ქ. 10 მ. 4 პ), როსი (14 ქ), ტიმ ტომასი (13 ქ. 5 მ), მობლი (11 ქ. 3 ჩ).

**საკრამენტო:** გარსია (16 ქ. 2 ჩ), არტესტი (15 ქ. 10 პ. 5 მ. 2 ჩ), ბიბი (15 ქ), სალმონსი (13 ქ. 4 პ), კევინ მარინი (13 ქ. 5 მ. 4 პ), ბ. მილერი (12 ქ. 5 მ).

**გ.სტეიტი-მინესოტა 121:108**

38:22, 30:28, 38:16, 15:42

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (32 ქ. 12 მ. 7 პ. 3 ჩ), ელ ჰარინგტონი (18 ქ. 6 მ), ბ. დევისი (17 ქ. 7 პ. 4 ჩ), მ. ელისი (12 ქ. 4 ჩ), მ. პიეტრუსი (11 ქ), აზუბუიკე (11 ქ).

**მინესოტა:** რ. დევისი (42 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), კ. სმიტი (14 ქ. 12 მ), ფოიე (13 ქ), მ. ჯეიმსი (12 ქ).

**ინდიანა-ნიუ ჯერსი 107:111**

22:28, 34:26, 24:26, 27:31

**ინდიანა:** ჯ. ონილი (20 ქ. 5 მ. 4 პ. 3 დ), დ. გრეინჯერი (17 ქ. 4 მ), მერფი (17 ქ. 4 მ. 4 პ), მ. დანლივი-უმცროსი (15 ქ. 2 ჩ), დ. არმსტრონგი (13 ქ. 5 პ), ს. უილიამსი (12 ქ), ტინსლი (10 ქ. 7 პ. 6 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (35 ქ. 5 მ. 4 პ), ნახბარი (25 ქ. 6 მ), რ. ჯეფერსონი (18 ქ. 6 მ. 5 პ), კიდი (12 ქ. 10 პ. 8 მ).

**ტორონტო-ნიუ იორკი 107:105**

30:27, 20:32, 27:19, 30:27

**ტორონტო:** ბოში (23 ქ. 8 მ. 7 პ. 2 ჩ), ე. პარკერი (19 ქ. 7 მ), ჯ. გრემი (19 ქ), კალდერონი (18 ქ. 6 მ. 4 ჩ), ჰამფრიზი (12 ქ. 5 მ).

**ნიუ იორკი:** კარი (30 ქ. 8 მ), ფრენსისი (28 ქ. 8 მ), მ. როუზი (18 ქ. 7 მ. 3 პ), მ. კოლინზი (12 ქ. 11 პ. 8 მ. 3 ჩ), ნ. რობინსონი (11 ქ).

**დეტროიტი-ფილადელ. 91:102**

28:27, 22:23, 20:27, 21:25

**დეტროიტი:** პრინსი (15 ქ), ე. ჯონსონი (12 ქ. 10 მ. 6 დ. 3 პ), ლ. ჰანტერი (12 ქ), დელფინო (11 ქ. 5 მ), მაქსიელი (10 ქ. 2 დ).

**ფილადელფია:** უ. გრინი (26 ქ. 7 პ. 5 მ), ს. ჰანტერი (16 ქ. 8 მ), ბ. ჯოუნსი (13 ქ), ჯო სმიტი (13 ქ. 9 მ), ა. მილერი (12 ქ. 9 პ).

**ორლანდო-ბოსტონი 88:86**

23:24, 25:16, 30:19, 10:27

**ორლანდო:** თურქოღლუ (20 ქ. 6 მ. 3 დ), გ. ჰილი (16 ქ. 2 ჩ), ნელსონი (16 ქ. 6 მ), დულინგი (12 ქ), დ. ჰოვარდი (10 ქ. 14 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ).

**ბოსტონი:** ელ ჯეფერსონი (28 ქ. 6 მ. 3 პ), დელონტე უესტი (19 ქ. 4 პ. 2 ჩ), რონდო (16 ქ. 4 ჩ).

**ლეიკერსი-სიეტლი 109:98**

29:15, 26:31, 26:28, 28:24

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (50 ქ. 8 მ. 2 ჩ), ოდომი (14 ქ. 5 მ. 5 პ. 3 ჩ), მ. ევანსი (10 ქ).

**სიეტლი:** უილკოქსი (24 ქ. 9 მ. 3 დ), უილქსი (22 ქ. 8 პ. 4 მ), რ. ლოუისი (20 ქ. 10 მ), უილკინსი (17 ქ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-დეტროიტი | 80 | 51 | 29 | 63.8 |
| 2. x-ჩიკაგო | 81 | 49 | 32 | 60.5 |
| 3. y-ტორონტო | 80 | 47 | 33 | 58.8 |
| 4. y-მაიამი | 80 | 44 | 36 | 55.0 |
| 5. x-კლივლენდი | 80 | 48 | 32 | 60.0 |
| 6. x-ვაშინგტონი | 80 | 40 | 40 | 50.0 |
| 7. x-ნიუ ჯერსი | 80 | 39 | 41 | 48.8 |
| 8. x-ორლანდო | 80 | 38 | 42 | 47.5 |
| 9. ინდიანა | 80 | 35 | 45 | 43.8 |
| 10. ფილადელფია | 80 | 34 | 46 | 42.5 |
| 11. შარლოტი | 81 | 33 | 48 | 40.7 |
| 12. ნიუ იორკი | 80 | 32 | 48 | 40.0 |
| 13. ატლანტა | 80 | 29 | 51 | 36.3 |
| 14. მილუოკი | 80 | 27 | 53 | 33.8 |
| 15. ბოსტონი | 80 | 23 | 57 | 28.8 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-დალასი | 80 | 66 | 14 | 82.5 |
| 2. y-ფინიქსი | 80 | 61 | 19 | 76.3 |
| 3. x-სან ანტონიო | 80 | 58 | 22 | 72.5 |
| 4. y-იუტა | 80 | 49 | 31 | 61.3 |
| 5. x-ჰიუსტონი | 80 | 51 | 29 | 63.8 |
| 6. x-დენვერი | 80 | 43 | 37 | 53.8 |
| 7. x-ლეიკერსი | 81 | 41 | 40 | 50.6 |
| 8. გ. სტეიტი | 80 | 40 | 40 | 50.0 |
| 9. კლიპერსი | 80 | 39 | 41 | 48.8 |
| 10. ნიუ ორლეანი | 80 | 37 | 43 | 46.3 |
| 11. საკრამენტო | 80 | 33 | 47 | 41.3 |
| 12. პორტლენდი | 80 | 32 | 48 | 40.0 |
| 13. მინესოტა | 80 | 32 | 48 | 40.0 |
| 14. სიეტლი | 81 | 31 | 50 | 38.3 |
| 15. მემფისი | 80 | 20 | 60 | 25.0 |

**შენიშვნა:** * - დივიზიონის ლიდერი; x - გაინაღდა ფლეი ოფის საგზური; y - დივიზიონის ჩემპიონი; z - კონფერენციის ჩემპიონი



ეროვნული ბიბლიოთეკა



დეტროიტთან კიპრუსოფს ბევრი სამუშაო აქვს

NHL. ფლეი ოფი. I წრე

# ანაჰაიმი ნახევარფინალს მიუახლოვდა

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგი (5)-ოტავა (4) 2:4**

1:1, 0:3, 1:0

**გოლები:** 1:0 გ. რობერტსი-2 (კროსბი-2, კ. არმსტრონგი-1), 1:1 მაკამონდი-1 (პრისინგი-1, ივსი-1), 1:2 კომრი-2 (მ. ფიშერი-2, კორვო-3), 1:3 ალფრედსონი-2 (რედენი-2, ჰიტლი-2), 1:4 ალფრედსონი-3 (მაკამონდი-2, ემერი-1), 2:4 კროსბი-3 (მალკინი-4, რეკი-4).

**სერია 1:2**

სერიის მესამე მატჩის შემდეგ, "ოტავა სენატორზმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა. სტუმრებმა მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა მეორე პერიოდში მიაყენეს, როცა სამი უპასუხო გოლი შეუგდეს **მარკ-ანდრე ფლერის**.

"პიტსბურგი" ამ მატჩში და მთლიანად სერიაში, შეტევაში მეტად პასიურად გამოიყურება. სამ შეხვედრაში, "ოტავამ" მეტოქეზე 33-ით მეტი დარტყმა შეასრულა. "პინგვინების" რიგებში, ერთადერთი **სიდნი კროსბის** გამოყოფა შეიძლება, რომელიც ფლეი ოფშიც ჩვეული შედეგიანობით თამაშობს, რასაც ვერ ვიტყვით გუნდის სხვა ახალგაზრდა ვარსკვლავებზე. მაგალითად, დებიუტანტ **ევგენი მალკინზე**. მართალია, რუსს ოთხი საგოლე პასი დაუგროვდა, მაგრამ გოლების გატანა უჭირს. ეს ცუდი ფორმა მალკინს რეგულარული ჩემპიონატიდან აქვს გამოყოლილი, სადაც ბოლო 27 მატჩში მხოლოდ 4 შაიბა შეაგდო.

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1)-კალგარი (8) 3:1**

2:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 დაციუკი-2, 2:0 ლიდსტრიომი-2 (მნაიდერი-2), 2:1 ფანოფი-1 (ჰუსელიუსი-2, ჰამრლიკი-1), 3:1 ფილპულა-2 (ფრანცენი-2, ჰუდლერი-2).

**სერია 2:0**

"დეტროიტ რედ უინგზმა" სერიის მეორე მატჩიც უპრობლემოდ მოუგო "კალგარის".

"წითლები" დაცვაში ბრწყინვალე თამაშის წყალობით იგებენ ამ სერიას. პირველ ორ მატჩში, "დეტროიტის" მეკარე **დომინიკ ჰაშეკს** საქმე თითქმის არ ჰქონია. სამი დღის წინათ, მას 20 დარტყმის მოგერიება მოუწია, ამჯერად კი, 15-ჯერ ჩაერთო თამაშში და ისევე, როგორც პირველ თამაშში, ერთადერთი გოლი გაუშვა.

ქების ღირსია დეტროიტელთა შეტევის ხაზიც, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს ჰაშეკის ვიზავის, შარშანდელი სეზონის საუკეთესო მეკარე **მიკა კიპრუსოფს**. ფინელ გოლკიპერს გუშინ 46 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

რაც შეეხება "კალგარის", ჯერჯერობით, ჩრდილში არიან ამ გუნდის ლიდერები. პირველ რიგში, ეს **ჯერომ იგინლაზე** ითქმის. ამ ჰოკეისტს არათუ გოლი არ გაუტანია, ორ მატჩში მხოლოდ ორი (!) ზუსტი დარტყმა შეასრულა. ესეც, "რედ უინგზის" დაცვის ხაზის დამსახურებაა.

სერიაში ორმატჩიანი უპირატესობა დიდი ფორაა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. საქმე ისაა, რომ "კალგარიმ" წლევანდელ რეგულარულში ყველაზე მეტი მატჩი (30) მოიგო საკუთარ მოედანზე. მომდევნო ორი შეხვედრა კი, სწორედ "ფლეიმზის" ყინულზე გაიმართება.

**მინესოტა (7)-ანაჰაიმი (2) 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ე. მაკდონალდი-1 (პრონგერი-2), 0:2 რ. ნიდერმაიერი-1 (პრონგერი-3), 1:2 ნუმელინი-1 (ბუშარი-1).

**სერია 0:3**

"დეტროიტის" მსგავსად, დაცვაში ბრწყინვალე თამაშის წყალობით, "ანაჰაიმმა" თითქმის გაინაღდა კონფერენციის ნახევარფინალის საგზური. "იხვებმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს.

სტუმრებმა მოახერხეს "მინესოტას" ბომბარდირების ნეიტრალიზება. "ანაჰაიმს" განსაკუთრებით რიცხობრივ უმცირესობაში გამოსდის დაცვაში კარგი თამაში. ამ დროს ყინულზე ორი შესანიშნავი მცველი - **სკოტ ნიდერმაიერი** და **კრის პრონგერი** მოქმედებენ. შედეგად, სამ მატჩში "მინესოტამ" 15-დან მხოლოდ ერთხელ გამოიყენა ზედმეტი ჰოკეისტი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსი მეკარის - **ილია ბრიზგალოვის** თამაში, რომელიც **ჟან-სებასტიან ჟიგერს** ცვლის. ამჯერად, ბრიზგალოვს 38 წამი დააკლდა შატაუტის შესასრულებლად.

ისე კი, "მინესოტას" შინ დამარცხება მოულოდნელობა არ ყოფილა. ამ გუნდს სტენლის თასზე 9 საშინაო შეხვედრა აქვს ჩატარებული და მხოლოდ ორში მიაღწია წარმატებას.

**დალასი (6)-ვანკუვერი (3) 1:2 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბარნსი-1 (რობიდასი-1, ბუშე-1), 1:1 ბულისი-1 (ჰანსენი-1, ბ. მორისონი-1), 1:2 პიატი-1 (სმოლინსკი-1, ლინდენი-2).

**სერია 1:2**

"ვანკუვერ კენაქსმა" მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია და საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა.

"დალასის" საშინაო მარცხს ობიექტური მიზეზები აქვს. პირველი რიგში ის უნდა აღვნიშნოთ, რომ სტენლის თასზე ამ გუნდს ოვერტაიმში ფატალურად არ უმართლებს. ამ სერიის პირველ და მესამე მატჩებში, "ვარსკვლავებმა" სწორედ დამატებით დროში დათმეს ორთაბრძოლები. ჯამში კი, "დალასს" ოვერტაიმში ზედიზედ ექვსი საფლეიოფო მატჩი აქვს წაგებული.

ამ გუნდის კიდევ ერთი პრობლემაა საკუთარი კედლების ფაქტორი. შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ "სტარზმა" ფლეი ოფში ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო შინ. და თუ ამ უსიამოვნო სერიას ზეგინდელ შეხვედრაში არ შეწყვეტს, ძალიან გაუჭირდება შემდეგ წრეში გასვლა.

ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ დალასელთა რიგებში მხოლოდ მეკარის - **მარტი ტურკოს** გამოყოფა შეიძლება. მან ამჯერადაც ბრწყინვალედ ითამაშა და 35 დარტყმა მოიგერია, მაგრამ პარტნიორებიდან მას მხარი ვერავინ აუბა. რეგულარულში მასპინძელთა გუნდის ორმა საუკეთესო სნაიპერმა - **მაიკ მოდანომ** და **იერე ლეჰტინენმა** ვერც ამ შეხვედრაში შეძლეს გოლის გატანა.

## ტურნირების მიმოხილვა

# ხორვატი გიგანტის პირველი ტიტული

ხორვატი გიგანტის, **ივო კარლოვიჩის** გამარჯვებით დასრულდა ჰიუსტონის სათიხნარო ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ძლიერი მოწოდების ხარჯზე, იოლად დაამარცხა არგენტინელი **მარიანო საბალეტა**.

საერთოდ, ძლიერი მოწოდება თიხისსაფარიან კორტებზე ნაკლებად მომგებიანია, მაგრამ კარლოვიჩმა, რომლის სიმაღლე 2.08 მეტრია, მაინც ეისების ხარჯზე მიაღწია დიდ უპირატესობას. მის მიერ მოწოდებული ბურთის სიჩქარე თითქმის ყოველთვის 200 კმ/სთ-ზე მეტი იყო. ყველაზე ძლიერი მოწოდებისას კი ელექტრონიკამ 238 კმ/სთ დააფიქსირა.

ამით კარლოვიჩმა ათ ეისს მიაღწია. იმ შემთხვევებში კი, როცა არგენტინელი ბურთის მიღებას ახერხებდა, ხორვატი მას ბადესთან ხვდებოდა და იოლად აგროვებდა ქულებს.

კარლოვიჩი 28 წლისაა და ტურნირის დაწყებამდე, რეიტინგში 108-ე ადგილი ეკავა. ჰიუსტონში რომ ფინალს მიაღწია, ეს მის კარიერაში სულ მესამე ფინალი იყო, რომელთაგან მანამდე ვერცერთი ვერ მოიგო.

*"პირველად მოვიგე ატპ-ს ტურნირი და ისიც თიხაზე. ეს დაუჯერებელია, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად გამიმართლა"*, - განაცხადა კარლოვიჩმა.

რაც შეეხება საბალეტას, ის 29 წლისაა და მან ორი წლის წინათ, მუხლის ტრავმის გამო, რვა თვე გააცდინა. 2004 წლის შემდეგ პირველად ითამაშა ატპ-ს ტურნირის ფინალში. ისე კი, კარიერაში სამი ტურნირი აქვს მოგებული, ჰიუსტონში ჩასვლამდე კი რეიტინგში 156-ე იყო.

ფინალის წაგების შემდეგ მან აღნიშნა, რომ კარლოვიჩის მოწოდების მიღება ძალიან რთულია და სწორედ ამან განაპირობა ფინალის ანგარიში. მისი მოწოდებული ბურთი რომ მოგხვდეს, მოგკლავსო - თავს იმართლებდა არგენტინელი, ვინც ნახევარფინალში ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს** მოუგო.

სხვათა შორის, ჰიუსტონმა აშშ-ის სათიხნარო ჩემპიონატს უკანასკნელად უმასპინძლა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ტურნირს სულ უფრო ნაკლები მაყურებელი ჰყავს. მისმა ორგანიზატორებმა ქალაქის გამოცვლა კი გადაწყვიტეს, მაგრამ სად გადაბარგდებიან, ეს ჯერ არ გადაუწყვეტიათ.

პარალელურად, ვალენსიაში, ქალაქის სათიხნარო ღია პირველობის ფინალში, ესპანელმა **ნიკოლას ალმაგრომ** სამ სეტში აჯობა იტალიელ **პოტიტო სტარაჩეს** და შეინარჩუნა შარშან მოპოვებული ტიტული.

21 წლის ესპანელმა პირველი სეტი კი დათმო, მაგრამ შემდეგ თავის რიტმს "მიაგნო" და მეტოქეს მეორე სეტის მოგების შანსი აღარ მისცა. გადამწყვეტი სეტიც ჩემპიონის მიერ აღებული ბრეიკით დაიწყო, რის შემდეგაც ფინალი უინტერესო გახდა - იტალიელმა ოდენ ერთი გეიმის მოგებაღა შეძლო.

*"საწყის სეტში საშინლად ვითამაშე, მაგრამ ამის გამო ბევრი არ მინერვიულია. მეორე სეტიდან კი სულ უფრო უკეთ ვთამაშობდი, რასაც სასურველი შედეგი მოჰყვა"*, - განაცხადა ალმაგრომ, ვისაც ვალენსიას ტურნირზე ზედიზედ ათი თამაში აქვს მოგებული.

დაბოლოს, აშშ-ის ქალაქ ჩარლსტონში, "ფამილი სირქლ კაპის" ფინალში, სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** ორ სეტში აჯობა რუს **დინარა საფინას** და თავის კარიერაში პირველად გახდა პირველი კატეგორიის ტურნირის (კაცების მასტერსის ტურნირის ტოლფასი) ჩემპიონი.

სხვათა შორის, თამაშის დაწყებამდე, ჩარლსტონში ძლიერი ქარი უბერავდა, რამაც ტურნირის ორგანიზატორებს ბევრი პრობლემა შეუქმნა. მართალია, არ წვიმდა, მაგრამ ქარი, რომლის სიჩქარე ზოგჯერ 80 კმ/სთსაც კი აღწევდა, ბურთს მიმართულებას უცვლიდა, ეს კი ჩოგბურთელებს საქმეს ურთულებდა.

*"ძალიან ძლიერი ქარი ქროდა. ბურთი თავის ნებაზე დაფრინავდა. ძალიან ძნელი იყო ზუსტი დარტყმების განხორციელება, მაგრამ ამას როგორღაც ვახერხებდით"*, - ნამატჩევს განაცხადა სერბმა, ვინც ამ გამარჯვების წყალობით, რეიტინგში მეშვიდე საფეხურამდე დაწინაურდა.

ტურნირის მოგებისთვის იანკოვიჩმა ბროლის თასის გარდა, 196 900 დოლარიც მიიღო. მართალია, ამაზე დიდი ტურნირი მას არ მოუგია, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო დიდი ჰონორარი გამოუმუშავებია. ეს შარშან, აშშ-ის ღია პირველობაზე მოხდა, სადაც მან ნახევარფინალში გასვლისთვის (იქ ბელგიელ **ჟუსტინ ანენთან** წააგო) 258 462 დოლარი დაიმსახურა.

რაც შეეხება საფინას, მან ფინალში თამაშისთვის 100 000 დოლარი მიიღო. რუსი ჩოგბურთელისთვის ეს პირველი კატეგორიის ტურნირის მეორე ფინალი იყო. პირველად ფინალში შარშან, რომში ითამაშა და მაშინ შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისთან** წააგო. ჩარლსტონის ფინალამდე საფინამ სეტის წაუგებლად



ივომ პირველად ასწია თასი

მიაღწია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ არც ნახევარფინალში უთამაშია ბოლომდე (რუსი **ვერა ზვონარევა** ტრავმის გამო გამოეთიშა) და არც მეოთხედფინალში, სადაც პიველი სეტის შემდეგ, ფრანგმა **ტატიანა გოლოვინამ** ტრავმის გამო შეწყვიტა თამაში.

### ATP

**U.S. Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 416 000 დოლარი

**ფინალი**

ივო კარლოვიჩი (ხორ)-მარიანო საბალეტა (არგ) 6:4, 6:1.

**Open de Tenis Comunidad**

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 332 800 დოლარი

**ფინალი**

ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)-პოტიტო სტარაჩე (იტა) 4:6, 6:2, 6:1.

**მონაკოს მასტერსი**

მონტე კარლო. თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 082 500 დოლარი

**I წრე**

ჰიუნ ტაი ლი (კორ)-იონას ბიორკმანი (შვედ) 7:6(6), 6:1; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ბენჟამინ ბალერე (მონ) 7:5, 5:7, 6:2; **არნო კლემანი (საფ)**-ფლორან სერა (საფ) 6:4, 7:6 (5); **მარატ საფინი (რუს)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 5:7, 6:3, 6:2.

### WTA

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 1 640 000 დოლარი

**ფინალი**

ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)-დინარა საფინა (რუს, 4) 6:2, 6:2.

## აგასიმ გრაფი დააზიანა

ლეგენდარულ გერმანელ ჩოგბურთელს, **შტეფი გრაფს** [illegible] მას შემდეგ, რაც მისმა მეუღლემ - **ანდრე აგასიმ** შტეფი[illegible] შემთხვევით ტრავმა მიაყენა. ეს ინციდენტი, კვირას დასრულებული ჰიუსტონის ტურნირის ფინალის შემდეგ, საქველმოქმედო აქციის დროს მოხდა.

გრაფი და აგასი ხელჩაკიდებულნი იდგნენ კორტზე და ახალგაზრდა ჩოგბურთელებთან ათამაშებდნენ ბურთს. ერთ-ერთ ეპიზოდში, ამერიკელმა ჩოგბურთელმა დარტყმის შესრულებისას, სახეში გაარტყა ჩოგანი მეუღლეს.

გერმანელი სასწრაფოდ ექიმს აჩვენეს, რომელმაც გრაფს ტუჩზე სამი ნაკერი დაადო.

*"შტეფის სერიოზული არაფერი სჭირს. ეს შემთხვევითი ინცინდენტი იყო"*, - თავი იმართლა ანდრე აგასიმ.

## შარაპოვა პრინცის მეუღლე?

WILLIAM HILL-ის საბუკმეიკერო კანტორამ, რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** ბრიტანეთის პრინცის - **უილიამის** სავარაუდო საცოლეთა სიაში შეიყვანა.

ამ დღეებში, ბრიტანეთის სამეფო ტახტის 24 წლის მემკვიდრემ თავისი საცოლე - **კეიტ მიდლტონი** მიატოვა - ამის შესახებ გაზეთი "სანდი თაიმსი" იტყობინებოდა. თავისი გადაწყვეტილება პრინცმა იმით ახსნა, რომ სურს, უფრო მეტი დრო დაუთმოს არმიაში სამსახურს. ბუკმეიკერებმა ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და მაშინვე შეადგინეს პოტენციურ საცოლეთა სია, ბუნებრივია, მათ გასწვრივ შესაბამისი კოეფიციენტებიც მიუწერეს.

ის, ვინც შარაპოვაზე გააკეთებს ფსონს, ერთი ფუნტით 33 ფუნტს მოიგებს. ფავორიტი კი, სამეფო ოჯახის მეგობარი - **ტარა პალმერ-ტომკინსონია**. მისი ფსონი 8/1 გახლავთ.

## TV სპორტი

**17 აპრილი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:35 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-შეფილდი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-პორტუ.
08:55 სპორტკლუბი.
09:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-ბრაგა.
12:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. შოტლანდიის თასი. 1/2 ფინალი. სტ. ჯონსტონი-სელტიკი.
15:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-ვერდერი.
17:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:35 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-სევილია.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი.
21:25 ჰოკეი. დღის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი.
21:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 სპორტინფორმი.
23:05 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
00:50 აფროსნობა. ამერიკის თასი.
01:15 სპორტინფორმი.
01:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-ბრაგა.
03:10 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
04:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-რეალი.
06:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

09:30 მულტისპორტი.
10:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
10:45 მულტისპორტი.
11:15 მძლეოსნობა. მარათონი. ბოსტონი. აშშ.
12:15 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ლონგ ბიჩი. აშშ.
13:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
14:00 სნუკერი.
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
17:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჰოლანდიის გრან-პრი.
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 53 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
20:00 სუმო.
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 56 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. ს. მერდოვი (უკრ)-დ. კოჯო სასუ (ტოგო). დონეცკი. უკრაინა (LIVE).
01:00 პოკერი. ევროტური. ბადენი. ავსტრია.
02:00 ექსტრემალური სპორტი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ფილადელფია.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
20:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ვალენსია. ესპანეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. 1/2 ფინალი. ბელფასტი. ირლანდია (LIVE).
23:15 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. 1/2 ფინალი. ბელფასტი. ირლანდია.
00:30 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ფილადელფია.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალია**

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| სამბენედეტეზე-იუვე სტაბია | 3:1 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-აუე | 2:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრესტი-პავრი | 2:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-ბრაგა | 0:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ბრანი-სტრიომსგოდსეტი | 3:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ჰალმსტადი | 2:0 |
| ჰელსინგბორგი-გეფლე | 3:1 |
| მალმიო-გაის | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანდსკრონა-ენჩოპინგი | 1:1 |
| ნორჩოპინგი-აგვიდაბერგი | 1:0 |
| სუნდსვალი-მიალბიუ | 0:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-სიგმა | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონაკო**

| | |
|---|---|
| აკასუსო-ანდრეევი | 4:6, 1:6 |
| ბალდატისი-მირნი | 5:7, 4:6 |
| მაიერი-ჟიკელი | 5:7, 7:5, 5:7 |
| მატიო-ვლიეგენი | 5:7, 3:6 |
| სიოდერლინგი-ო. როხუსი | 6:4, 6:4 |
| ტურსუნოვი-გაუდიო | 7:5, 2:6, 2:6 |
| ფერერო-ჰენმანი | 7:5, 6:2 |
| ჩელა-ფერკერკი | 7:5, 6:2 |
| იუჟნი-მოია | 6:2, 6:1 |
| სეპი-გაბაშვილი | 6:1, 6:3 |
| ნალბანდიანი-ლუცი | 3:6, 6:2, 6:1 |
| სტეპანეკი-მონფილსი | 6:0, 6:0 |

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4875 |
| 3(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2755 |
| 6(6). ტომი რობრედო (ესპ) | 2645 |
| 7(7). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2540 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2270 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 2125 |
| 11(10). ტომი ჰაასი (გერ) | 2100 |
| 12(12). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1805 |
| 13(13). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1775 |
| 14(14). ტომაš ბერდიხი (ჩეხ) | 1715 |
| 15(15). რიშარ გასკე (საფ) | 1620 |
| 16(16). დავიდ ფერერი (ესპ) | 1615 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1545 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1315 |
| 19(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1250 |
| 20(20). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1250 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 276 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 272 |
| 3(3). ენდი მარეი (ბრიტ) | 212 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 5(6). ტომი ჰაასი (გერ) | 209 |
| 6(5). რაფაელ ნადალი (ესპ) | 205 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 180 |
| 8(8). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 170 |
| 9(9). მიხაილ იუჟნი (რუს) | 152 |
| 10(10). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 146 |
| 11(11). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 124 |
| 12(12). გილერმო კანიასი (არგ) | 120 |
| 12(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 120 |
| 14(15). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 119 |
| 15(14). ტომი რობრედო (ესპ) | 112 |
| 16(16). მარდი ფიში (აშშ) | 99 |
| 17(17). კარლოს მოია (ესპ) | 95 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 92 |
| 19(19). რიშარ გასკე (საფ) | 85 |
| 20(35). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 82 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 360 370 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 019 365 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 759 845 |
| 4. ტომი ჰაასი (გერ) | 563 790 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 566 580 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 540 640 |
| 7. ენდი მარეი (ბრიტ) | 529 205 |
| 8. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 506 395 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუს) | 490 860 |
| 10. გილერმო კანიასი (არგ) | 385 500 |
| 11. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 375 400 |
| 12. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 307 330 |
| 13. ბობ ბრაიანი (აშშ) | 284 210 |
| 13. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 284 210 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპ) | 280 250 |
| 16. ტომი რობრედო (ესპ) | 275 190 |
| 17. ფაბრის სანტორო (საფ) | 234 425 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვი) | 221 380 |
| 19. მარდი ფიში (აშშ) | 211 800 |
| 20. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 207 010 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3859 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3388 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 2776 |
| 4(4). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2699 |
| 5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2667 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2294 |
| 7(9). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2257 |
| 8(8). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1957 |
| 9(7). ნადია პეტროვა (რუს) | 1869 |
| 10(12). დინარა საფინა (რუს) | 1963 |
| 11(10). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1847 |
| 12(11). სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 13(13). ელენა დემენტიევა (რუს) | 1635 |
| 14(14). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1616 |
| 15(17). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1525 |
| 16(15). შაარ პეერი (ისრ) | 1508 |
| 17(18). ნა ლი (ჩინ) | 1432 |
| 18(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1390 |
| 19(16). პატი შნიდერი (შვეიც) | 1337 |
| 20(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 1253 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1430 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1050 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1036 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 1030 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 985 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 937 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 936 |
| 9. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 865 |
| 10. დინარა საფინა (რუს) | 851 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 851 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 850 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 827 |
| 14. ამელი მორესმო (საფ) | 825 |
| 15. ნადია პეტროვა (რუს) | 816 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერ) | 816 |
| 17. ნა ლი (ჩინ) | 742 |
| 18. ვერა ზვონარევა (რუს) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 600 |
| 20. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 540 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 783 930 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 745 440 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 724 805 |
| 4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 590 483 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 554 892 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 528 238 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 511 195 |
| 8. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 491 810 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 468 328 |
| 10. შაარ პეერი (ისრ) | 388 366 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 366 193 |
| 12. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 353 606 |
| 13. ამელი მორესმო (საფ) | 340 373 |
| 14. კარა ბლეკი (ზიმ) | 338 676 |
| 15. სამანტა სტოსური (ავტრა) | 308 713 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 302 976 |
| 17. ნადია პეტროვა (რუს) | 297 915 |
| 18. დინარა საფინა (რუს) | 290 603 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 276 268 |
| 20. ვერა ზვონარევა (რუს) | 269 254 |

პრო ტური

# ჩრდილოური ჯოჯოხეთის ავსტრალიელი ჩემპიონი

ავსტრალიელი ველომრბოლი **სტიუარტ ო'გრეიდი** მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია სატრეკო რბოლებში, მაგრამ რაც ტრეკიდან საგზაო რბოლებზე გადაერთო, დიდი გამარჯვება არ მოეპოვებინა. ჰოდა, ეს დანაკლისი გასულ უქმეებზე, საგზაო ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძველ და პრესტიჟულ კლასიკურ, პარიზი-რუბეს რბოლაში მოიპოვა, რომელსაც ჩრდილოურ ჯოჯოხეთადაც მოიხსენიებენ ხოლმე.

ველოსპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ეს მეტსახელი რბოლას იმის გამო შეარქვეს, რომ ველომრბოლებს უსწორმასწორო ქვაფენილიან გზებზე უწევთ ასპარეზობა, რაც მათ საქმეს მეტად ურთულებს და თუ ამინდიც არ ვარგა, გზაზე ნამდვილი ჯოჯოხეთი იქმნება ხოლმე. ამჯერად ამინდი არ გაფუჭებულა, თუმცა რბოლა არც მტვრის აკომპანიმენტს გაუადვილებია.

რბოლას ფავორიტები არ აკლდა, მაგრამ მათ შორის ო'გრეიდი არ ფიგურირებდა. მან აილო და, ფინიშამდე 24 კილომეტრით ადრე, მას შემდეგ, რაც მდევართა ჯგუფმა ორი დაწინაურებულის, ბელგიელი **კევინ ვან იმპესა** და ბრიტანელი **დევიდ კოპის** დაწევა შეძლო, გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო. პირველი ცდა უშედეგო გამოდგა, მაგრამ მეორეზე, რომელიც ოზმა ველომრბოლმა 28-დან ბოლო ქვაფენილიან სექტორზე დაიწყო, წარმატებული გამოდგა. ის იმდენად სწრაფად მიქროდა ფინიშისკენ, რომ ერთხელ დაეცა კიდეც, თუმცა არ დანებდა, სწრაფადვე მოახტა თავის ბაიკს და პირველი შეიჭრა რუბეს ძველ ველოდრომზე, სადაც ტრადიციულად მთავრდება ხოლმე რბოლა.

ფინიშის ხაზი რომ გადაკვეთა, ო'გრეიდიმ ბევრი იტირა – ავსტრალიელი კი ვარ, მაგრამ ამ ქალაქში დავიბადე და ბუნებრივია, ძალიან მინდოდა, ამ რბოლის მოგება – ნარბოლევს განაცხადა ო'გრეიდიმ.

სხვათა შორის, დანიურ გუნდ CSC-ს ფავორიტი პარიზი-რუბეს შარშანდელი ჩემპიონი, შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა** იყო, ვინც როგორც წესი, სასტუმროს ნომერში ავსტრალიელთან ერთად სახლობს ხოლმე. ფავორიტი კი იყო, მაგრამ შუა რბოლაში უგრძვნია, რომ მოგების თავი არ ჰქონდა, რაც თანაგუნდელს თავადვე აუწყა. ჰოდა, ოზსაც ხელ-ფეხი გაეხსნა.

ო'გრეიდის ოლიმპიური მედლები ბარსელონაში, ატლანტასა და ათენში აქვს მოპოვებული, ორჯერ კი ტურ დე ფრანსის ეტაპებიც მოიგო, მაგრამ თავად თვლის, რომ კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას სწორედ პარიზი-რუბეზე მიაღწია.

ასეა, ჩრდილოურ ჯოჯოხეთში გამარჯვება ძვირად ფასობს...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

პარიზი-რუბეს 105-ე კლასიკური (259 კმ)

1. სტიუარტ ო'გრეიდი (ავსტრალია, CSC) 6:09.07 (42.181 კმ/სთ); 2. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, რაბობანკი) 0.52; 3. შტეფან ვესემანი (შვეიცარია, ვიზელჰოფ ფელტი) 0.52; 4. ბიორნ ლოიკემანსი (ბელგია, პრედიქტორ-ლოტო) 0.53; 5. რობერტო პეტიტო (იტალია, ლიკიგაზი) 0.55; 6. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.55; 7. როჯერ ჰამონდი (ბრიტანეთი, T-მობილი) 0.55; 8. ენრიკო ფრანცოი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.56; 9. კევინ ვან იმპე (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 1.24; 10. ფაბიო ბალდატო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 2.27...



სტიუარტ ო'გრეიდი

პრო ტურის კლასიფიკაცია

1. სტიუარტ ო'გრეიდი (ავსტრალია, CSC) 79 ქულა; 2. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 77; 3. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 62; . ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 58; 5. ხუან ხოსე კობო ასებო (ესპანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 57; 6. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 57...



და მაინც, სოლისის ცოლს უფრო მაგარი დარტყმა აქვს...

კრივი

სატიტულო ბრძოლები

# პაკიაომ სოლისი დაანოკაუტა

ქვემსუბუქი წონის (59 კგ-მდე) ფილიპინელმა ვარსკვლავმა **მენი პაკიაომ** სან ანტონიოს რინგზე მორიგი ბრძოლა გამართა, რომელშიც მექსიკელ **ხორხე სოლისს** ნოკაუტით მოუგო და შეინარჩუნა WBC-ს საერთაშორისო ჩემპიონის ტიტული, რითაც ამავე საკრივო გაერთიანების მსოფლიო ჩემპიონთან, მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლის უფლება მოიპოვა.

ბრძოლა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პაკიაოს (44-3-2, 34 ნოკაუტი) პირველ რაუნდებში გაუჭირდა სოლისის შეტევების მოგერიება, თუმცა მეექვსე რაუნდში შეხვედრაში გარდატეხა შეიტანა და ორი რაუნდის შემდეგ, ნოკაუტი აგემა სოლისს, ვინც IBF-ის ვერსიით ქვემწერის წონის (50 კგ-მდე) ჩემპიონის, **ულისეს სოლისის** ძმაა.

ნოკაუტით წაგების მიუხედავად, სოლისი, ვინც პროფესიულ რინგზე პირველი მარცხი იგემა (წინა 34 მოგებული აქვს), მაინც ტრაბახობდა, პაკიაოს დიდ პატივს კი ვცემ, მაგრამ მუშტში ძალა არ ჰქონია - მაგაზე ძლიერად ჩემი ცოლი ურტყამსო. *"მენი ძალიან სწრაფი, მარდი მოკრივეა. მუშტებს იმდენად სწრაფად იქნევდა, ვერც კი ვასწრებდი მათ დანახვას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბევრი დარტყმა ვიგემე, თუმცა ამას დიდი ტკივილი არ მოუყენებია"*, - განაცხადა სოლისმა.

ბრძოლაში გარდატეხა კი მაშინ მოხდა, როცა მექსიკელის ქაოტურ მოძრაობას მოკრივეთა თავებით შეჯახება მოჰყვა. ფილიპინელს წარბი გაუსკდა, მაგრამ ამან უფრო გაახელა და ჟინიც შემატა. აქედან მოყოლებული, პაკიაოს მუშტები სულ უფრო ხშირად ხვდებოდა მიზანს და ბრძოლა ნოკაუტითაც რომ არ დასრულებულიყო, ის ქულებით მაინც შეძლებდა გამარჯვებას.

*"რატომღაც, ხორხემ ამ ბრძოლაში თავი იმდენი იქნია, რომ ბოლოს და ბოლოს, ნოკაუტი გამომტყუა. რინგზე რომ ხტუნაობდა, თავსაც აქეთ-იქით იქნევდა. ერთხელ, როცა ცეკვავდა, სწრაფად მივუახლოვდი და მისი თავი სახეში მომხვდა. ამან გამაბრაზა და ამის შემდეგ, ჩემი დარტყმები უფრო ზუსტი გახდა"*, - განაცხადა პაკიაომ, ვინც სხვადასხვა გამოკითხვებით, თითქმის ყოველთვის ხვდება მსოფლიოს ათი საუკეთესო მოკრივის (წონის გაუთვალისწინებლად) სიაში.

პაკიაოს წარბი მეექვსე რაუნდში გაუსკდა. იმავე რაუნდის მიწურულს, მან ძლიერი შეტევა განახორციელა - მეტოქე კუთხეში მიიმწყვდია და მუშტების სეტყვა მიაყარა. სოლისი გონგმა იხსნა განსაცდელისგან, მაგრამ დროებით. მერვე რაუნდში მექსიკელი ორჯერ დაეცა რინგზე. მართალია, ორივეჯერ წამოდგომა შეძლო, მაგრამ ნოკაუტს მაინც ვერ გადაურჩა. მისთვის მესამე დაცემა წაგების მომტანი გამოდგა.

პაკიაოსა და სოლისის ბრძოლის ანდერქარდზე, ზე-მწერის წონაში (52 კგ-მდე) WBC-ს ჩემპიონმა, მექსიკელმა **კრისტიან მიხარესმა** (31-3-2) ქულებით მოუგო თანამემამულე **ხორხე არსეს** (46-4-1) და ტიტული შეინარჩუნა. ბრძოლის მეცხრე რაუნდში, ჩემპიონმა პრეტენდენტს ცხვირი გაუტეხა, თუმცა არსემ მაინც ბოლომდე იბრძოლა.

ანდერქარდზევე, ქვე-მწერის წონაში WBC-ს ვაკანტური ტიტულისთვის ბრძოლაში, მექსიკელმა ჩემპიონმა **ედგარ სოსამ** (27-5), ბოლო რაუნდის მოგების წყალობით, შეხვედრაც მოუგო ჰავაელ ყოფილ ოლიმპიელ **ბრაიან ვილორიას** (19-2) და ჩემპიონი შეიქნა. ბრძოლა საინტერესო იყო და სოსამ ორი მსაჯის ბარათზე მოპოვებული უპირატესობის (115-113) წყალობით მოიგო. მესამე მსაჯმა ფრე დააფიქსირა.

სან ანტონიოშივე, არასატიტულო ბრძოლა გამართა სახელოვანი მექსიკელის, **ხულიო სეზარ ჩავესის** შვილმა, **ხულიო სეზარ ჩავეს უმცროსმა**, რომელმაც მეორე რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი **ენტონი შულერი** (20-5-1). ჩავესმა (31-0-1, 24 ნოკაუტი) სანყის გონგზევე შეუტია მეტოქეს, რომელიც პირველ რაუნდში მეტ-ნაკლებად ახერხებდა თავის დაცვას. მეორეს დასაწყისში კი მძიმე დარტყმა გაუპარა, რამაც მისი დაცვა ერთიანად მოშალა. პირველ დაცემაზე ამერიკელმა წამოდგომა შეძლო, მაგრამ ჩავესმა იქვე სწრაფი კომბინაცია განახორციელა და კიდევ ერთხელ დასცა მეტოქე. ამჯერად, რეფერის თვლაც კი არ დაუწყია, ისე შეწყვიტა ბრძოლა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი

## ლეიკერსი ჯექსონის შენარჩუნებას აპირებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარ მწვრთნელთან, - **ფილ ჯექსონთან** კონტრაქტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

ამ სახელოვან მწვრთნელთან მიმდინარე კონტრაქტს, მომავალი სეზონის ბოლოს გასდის ვადა. მაგრამ "ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა** და ჯექსონის აგენტმა - **ტოდ მაშბურგერმა** შაბათს დაიწყეს საგაისო კონტრაქტზე მოლაპარაკებები.

ჰოკეი

## ფინეთმა შევსება მიიღო

ფინეთის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბანაკში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშე ჰოკეისტები გამოცხადდნენ.

ქვეყნის ჰოკეის ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე შემდეგი ჰოკეისტები ითამაშებენ: მეკარე **ფრედრიკ ნორენა** ("კოლამბუსი"), მცველი **ლასე კუკონენი** ("ფილადელფია"), თავდამსხმელები - **ნიკო კაპანენი** ("ფინიქსი"), **ვილე პელტონენი** ("ფლორიდა"), **ტუომო რუუტუ**, **ტონი სალმელაინენი** (ორივე "ჩიკაგო").

აქვე ცნობილი გახდა, რომ სავარაუდოდ, მსოფლიო პირველობაზე ვერ ვიხილავთ მცველ **იონი პიტკანენს** ("ფილადელფია") და ფორვარდ **ოლი იოკინენს** ("ფლორიდა"). შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ტრავმის გამო ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა "მონრეალის" ლიდერმა **საკო კოივუმ**.

## ჩეხეთმა სავარაუდო შემადგენლობა დაასახელა

პირველი სანვრთნელი შეკრების შემდეგ, ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალოის გადამჩიკმა** თავისი გუნდის შემადგენლობიდან 12 ჰოკეისტი დაითხოვა. მათ ადგილს, სულ მალე NHL-ში მოთამაშე 10 ლეგიონერი დაიკავებს.

გადამჩიკს საბოლოო განაცხადი ჯერ არ შეუვსია, მაგრამ ცნობილია მისი გუნდის სავარაუდო შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** რომან ჩეხმანეკი ("ტრშინეცი"), ადამ სვობოდა ("სლავია"), მარეკ პინცი ("ვიტკოვიცე");

**მცველები:** ტომაშ ჟიჟკა ("სლავია"), ლუკაშ ზიბი ("ლიბერეცი"), მიხალ ბარინკა ("ვიტკოვიცე "), მიროსლავ ბლატაკი ("მორა", შვედეთი), როსტისლავ კლესლა ("კოლამბუსი", NHL), რადეკ ჰამრი ("კლოტენი", შვეიცარია), იან პლატილი (ცსკა, რუსეთი), ზბინეკ მიხალეკი ("ფინიქსი", NHL), ლადისლავ შმიდი ("ედმონტონი", NHL), კარელ პილარჟი ("ტორონტო მარლიზი", AHL);

**თავდამსხმელები:** პეტრ გუბაჩეკი, ზბინეკ ირგლი (ორივე - "ვიტკოვიცე"), იაროსლავ ბედნარი ("სლავია"), იოზეფ სტრაკა ("ლუკო", ფინეთი), ირჟი ნოვოტნი ("ვაშინგტონი", NHL), ლადისლავ კონი ("ესპოო", ფინეთი), იაროსლავ ბალაშტიკი (ჰვ-71, შვედეთი), პეტრ ტენკრატი ("ბოსტონი", NHL), იან მარეკი ("მეტალურგი" მ, რუსეთი), დავიდ ვიბორნი ("კოლამბუსი", NHL), როსტისლავ ოლეში ("ფლორიდა", NHL), ტომაშ პლეკანეცი ("მონრეალი", NHL), პეტრ ჩაიანეკი ("სენტ ლუისი, NHL).

ამ შემადგენლობას "სპარტასა" და "პარდუბიცეს" ჰოკეისტებიც დაემატებიან, რომლებიც ჩეხეთის ჩემპიონატის ფინალში არიან გასულები. სავარაუდოდ, ეს მოთამაშეები იქნებიან - **იაროსლავ გლინკა, იან ჰლავაჩი, პეტრ სიკორა და ტომაშ როლინეკი**.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგაავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბივი ვემაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა